ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 13 ივნისი 2003 №108 (1879) ფასი 50 თეთრი


# შუშაკის საქმე



გაზრი კოილაძის ფოტო

## ფრთხილად, ქართველია!

თეორიებზე ლაპარაკი არ ღირს, თორემ შეგვიძლია რამდენიც გვნებავს ვიძახოთ, რომ დაკარგული ჯერ არაფერია და რომ საქართველოს ნაკრები ევებ პლეი ოფის გავლით პორტუგალიაში მოხვდეს.

საქართველოს ნაკრებისთვის ყველაფერი მაშინ დაიკარგა, შესარჩევი ეტაპის პირველ სამ მატჩში რვა ქულა რომ დაკარგა, ის რვა ქულა, რომლის ნახევარი მაინც ახლა ჯიბეში უნდა გვდებოდა.

ასე რომ მომხდარიყო, ფეხბურთის ფედერაციას თავიდანვე ცოტა სხვაგვარად უნდა წარემართა მუშაობა და კარგ მწვრთნელზე ჯერ კიდევ შესარჩევი ციკლის დაწყებამდე უნდა ეზრუნა.

მწვრთნელის საკითხი შემთხვევით არ გაგვხსენებია. ირლანდიასთან მატჩის დასრულებისთანავე საქართველოს ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა — მოგეხსენებათ, ფედერაციას ივო შუშაკთან მხოლოდ ორი მატჩით ჰქონდა დადებული ხელშეკრულება.

დღეს კი შეიქმნა ვითარება, რომლის თაობაზეც ადრეც ვწერდით და ვშიშობდით, რომ სწორედ ასე იქნებოდა, ანუ შუშაკს მოკლე კონტრაქტი დაუმთავრდა, ფედერაციაში კი ჯერ არაფერი გადაუწყვეტიათ — ისევ ხორვატს შესთავაზებენ ნაკრებში მუშაობას, უფრო მაღალი კლასის მწვრთნელს მოიწვევენ თუ ეროვნულ გუნდს ქართველ, ესე იგი, უფრო დაბალი კვალიფიკაციის მწვრთნელს მიუჩენენ.

ერთი რამ ცხადია — დარჩენილ სამ შეხვედრაში ნაკრები იმან უნდა გაწვრთნას, ვინც გუნდს მომავალი შესარჩევი ციკლისთვის, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოამზადებს. დროებითი მწვრთნელის მოწვევა სულელური გადაწყვეტილება იქნება, რაც ნაკრებისკენ ძლივს მობრუნებულ ხალხს ისევ უკან გაატრიალებს.

არადა, გადაწყვეტილების მისაღებად ბევრი დრო არ რჩება. მართალია, საქართველოს ნაკრებს მომდევნო თამაში სექტემბერში აქვს, მაგრამ მწვრთნელობას ისევ ივო შუშაკს თუ სთავაზობენ, ფედერაციაში ვინძლო ახსოვდეთ, რომ შუშაკი „დინამოს" მწვრთნელიცაა, სულ მალე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი ეწყება და კაცმა უნდა იცოდეს, კლუბში რჩება, ნაკრებში მიდის თუ შეთავსებას სთავაზობენ. ისე, ფედერაცია „დინამოს" უფროსობასაც ხომ უნდა დაეკითხოს?

და თუ შუშაკზე უკეთესი მწვრთნელის მოყვანას აპირებენ, კი ბატონო — ხორვატს, საქართველოს ნაკრების დიდი გამარჯვების შემოქმედს, დიდ მადლობასაც გადავუხდით და მარად მადლიერებიც ვიქნებით — ოღონდ, ამ ახალი მწვრთნელის მოყვანა დროზეა საჭირო და ისე არ გამოვიდეს, ბოლო წამს თქვან, გვიანდება, ვერ ვასწრებთ და, მოდით, დროებით ვინმე ქართველ მწვრთნელს მივაბაროთ ეს საქმეო.

ხოლო სანამ ახალი მწვრთნელის საკითხი გაირკვევა, ერთხელაც გადავუხადოთ შუშაკის ფეხბურთელებს მადლობა დუბლინში ნაჩვენები თავგანწირვისთვის. პირდაპირ ვთქვათ: ეროვნულმა გუნდმა ცუდად ითამაშა, მაგრამ ეს ის ცუდი თამაში აღარ იყო, შეურაცხყოფილად რომ გვაგრძნობინებდა ხოლმე თავს. არადა, ხომ გახსოვთ, რამდენი ასეთი თამაში გვინახავს.

ახლა კი შოთა არველაძისა უნდა ვთქვათ — მატჩამდეც შეუძლოდ იყო, შესვენებისას უარესად შეიქნა და მაინც ბოლომდე კაცურად ითამაშა, რაც საბოლოოდ საავადმყოფოში მოხვედრად დაუჯდა. მაგრამ ბრძოლას რომ შეგიქებენ, კი ღირს საავადმყოფოში ერთ გასეირნებად.

ავადმყოფობა იქით იყოს და, სანამ არველაძეს დუბლინელი ექიმები დასტრიალებდნენ თავს, თბილისში ჩამოსულ გიორგი ლომაიას კიევის „დინამოს" სელექციონერი ანდრეი ბიბა დაადგა თავზე. ჰოდა, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, საქართველოს ნაკრების მეკარე კახა კალაძის და გორგი დემეტრაძის გზას დაადგება. რა ვუყოთ, რომ ვალერი ლობანოვსკი ცოცხალი აღარ არის, კიევის „დინამო" თბილისის „ლოკომოტივს" ულობანოვსკოდაც ჯობია.

მთავარი კი მაინც ნაკრების მწვრთნელის საკითხია.

# მწვანე ალბომი


ჯონ ოში

ამ არჩევანს, ისევე როგორც ჩვენ და ჩვენი ირლანდიელი კოლეგები, არ დაეთანხმა იმ დღის მთავარი სპეციალისტი — მასპინძელთა თავკაცი ბრაიან კერი. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე კერმა „სარბიელის“ კითხვას, იყო თუ ოში საუკეთესო, ჯერ დუმილით, მერე კი ასე უპასუხა: „ვფიქრობ, რომ კინმა ძალიან ძლიერად ითამაშა, ჩვენი მოგება მისი უდიდესი დამსახურებაა. თუმც მე მაინც ვერავის გამოვარჩევ, კარგად ითამაშა ნახევარდაცვამ და უკანა ხაზმაც. რთული კითხვაა, საუკეთესო ფეხბურთელი მე არ დამისახელებია და არც ვაპირებ ამის გაკეთებას“.

## აბა ულა ანუ საგამო მშიდობისა

საქართველოს ნაკრები „ლენსდაუნზე“ მოსათელად რომ გამოვიდა, ხუთი წუთი თავს შინ გრძნობდა. ვერ გეტყვით, „ლენსდაუნზე“ ასეთი ტრადიციაა თუ რა, ფაქტია, სტადიონზე სტუმარ ქართველთა ხალხური სიმღერა „აბა ულა“ აჟღერდა. ქართველებს მასპინძელთა ასეთი ჟესტი თავიდან კი გაგვიკვირდა და მოულოდნელობისგან ვერც გავარჩიეთ, „აბა ულა“ იყო თუ ირლანდიური ფოლკლორი, მაგრამ მერე, სიმღერა რომ გაწყდა და ინფორმატორი ქართველობას ქართულად მოგვესალმა, დავრწმუნდით, „აბა ულა“ ისმოდა. „საგამო მშიდობისა, მოგესალმებით „ლენსდაუნ როუდზე“ — გაისმა და სიმღერაც გაგრძელდა. სასიამოვნო იყო ირლანდიის მთავარ სარბიელზე იმ წუთს ყოფნა.

## გამწვანებული 36 000

დუბლინში ჩასვლისთანავე ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელს რომ გამოველაპარაკეთ, გვითხრა, ოთხშაბათის მატჩზე უკვე ყველა 34 ათასი ბილეთი გაყიდულიაო. ფასი 30-50 ევრო იყო.

ქართველები სტადიონზე მატჩამდე საათით ადრე მივედით. ჟურნალისტები პრესლოჟის ბოლო რიგში მოგვათავსეს, ქომაგები კი დასავლეთ ტრიბუნის პირველ იარუსზე, სხვათა შორის, შოტლანდიელებთან ერთად, რომლებიც ჩვენებს გულშემატკივრობდნენ.

მატჩის დაწყებამდე რჩება ნახევარი საათი, ოცი წუთი, ათი, ხუთი, გავცქერით „ლენსდაუნის“ ტრიბუნას და ცარიელია, ათასამდე ქომაგი თუა. წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება. მოედანზე გამოჩნდა ორკესტრიც, რომელსაც ჰიმნები უნდა შეესრულებინა. ამ დროს თავჩარგულები ვართ და ბლოკნოტში ირლანდიურ ამბებს ვინიშნავთ. გუნდები მოედანზე წუთი წუთზე უნდა გამოვიდნენ. თავი ავწიეთ და... 34 800 ადგილიან სტადიონზე თავისუფალი სკამი აღარ არის. მატჩს 36 ათასი მაყურებელი დაესწრო. ტრიბუნები თამაშის დაწყებამდე ორი-სამი წუთით ადრე შეივსო. ირლანდიელი ქომაგობა იქამდე პაბებში ლუდს მიირთმევდა. სტადიონზე მისულთ კი სკამებზე მწვანე ფერის ფურცლები დახვდათ. ირლანდიელ ფეხბურთელთა გამოჩენისას ტრიბუნა ერთიანად გამწვანდა.

## ირლანდიური დედაბოძი

საფრანგეთს თუ ეიფელი აქვს, ინგლისს ბიგ ბენი, ჩვენც ხომ რაღაც გვინდა, ერთმანეთისთვის უკითხავთ ამბიციურ ირლანდიელებს და მოიფიქრეს: ის რაღაც დუბლინის ცენტრალურ, ოკონელ სტრიტზეა ჩარჭობილი და 15 მილიონი ევრო ღირს. იტყვით, ალბათ, რა არის ამისთანა, რისი სიმბოლოა, რა დანიშნულებისო და ვერაფერს გიპასუხებთ. შუა ქუჩაში ასოცი მეტრი სიმაღლის ვერცხლისფერი ბოძი დგას. მიწასთან ბოძი ფართოა, დაახლოებით ერთი მეტრის დიამეტრისა, კენწეროსკენ ვიწროვდება, თავზე კი წითელი ნათურა ანათებს, ალბათ, თვითმფრინავთა უსაფრთხოებისთვის...

დანარჩენი ხვალ იყოს

**კობა ინასარიძე**
***დუბლინი — თბილისი***

## ქინი გაოშდა, ხალხი გაოცდა

როგორ ფიქრობთ, ირლანდია — საქართველოს მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ვის დაასახელებდნენ?

რობი კინსო — იტყვით და, სადაც სამართალია, მოდავეც არ უნდა გყავდეთ, მაგრამ...

ირლანდიაში, ეტყობა, ფეხბურთს სხვაგვარად უყურებენ და აღიქვამენ. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე „ლენსდაუნ როუდზე“ შეკრებილი 36 ათასი ქომაგი წამით დადუმდა და ადგილობრივი ინფორმატორის ხმაც გაისმა, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად მანჩესტერელი ჯონ ოში გამოაცხადეს. ასეთი იყო სპეციალისტთა აზრი, თუმც

# შუშაკი ან შუშაკზე მაღალი

## ფედერაციას ნაკრები უთავკაცოდ დაურჩა

**„ლენსდაუნ როუდზე“** ედუარდო იტურალდე გონსალესის საფინალო სასტვენმა საქართველოს ნაკრების მორიგ მარცხს ხომ შეგვაგუა და ერთი ფაქტიც შეგვახსენა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ივო შუშაკის ორმატჩიან შეთანხმებას ყავლი დუბლინში გაუვიდა.

ხორვატი მწვრთნელი თბილისში არც დაბრუნებულა. ალბათ, კუთვნილი შვებულებით ისარგებლებს და სამშობლოში დაისვენებს. იქიდან მობრუნებული „დინამოს“ მოსამზადებელ ეტაპზე დაიწყებს ფიქრს და ეროვნულ ნაკრებს ძალაუნებურად დროებით მაინც დაივიწყებს.

არც დრო იყო საიმისო და არც ხალისი, ფედერაციას დუბლინში შუშაკთან ურთიერთობები ერკვია. ამიტომ, მოგვწონს თუ არა, დღეს ჩვენი ეროვნული ნაკრები უთავკაცოა.

ხორვატის დამოძღვრილმა ნაკრებმა „ლოკომოტივზე“ რუსეთი წააქცია და იმ გამარჯვებით გამოწვეული სიხარული ქომაგს კიდევ კარგა ხანს არ დაავიწყდება. ბატონ ივოზე ალალიც იყო და დამსახურებულადაც მიიღო ქომაგის ათასი მადლობა, მაგრამ შუშაკი დამარცხდა დუბლინში, სადაც ბევრ ობიექტურ მიზეზთან ერთად ჩვენი გუნდის თავკაცის ორიოდ მცდარი გადაწყვეტილებაც იკითხებოდა. თუმც მატჩის შემდეგ მარჩიელობა, მოგეხსენებათ, ადვილია...

ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების გასაწვრთნელად შუშაკზე მაღალი დონის უცხოელი სპეციალისტი რომ მოიწვიოს, ამ ქვეყანაში აუგის მთქმელიც არავინ ყოლება. შესარჩევი ეტაპის ბოლომდე უკვე ნაცადი ქართველის დანიშვნა კი უაზრობა, ისევ უკან, უკუნში დაბრუნება გამოვა. ჰოდა, თუ უკეთესი ვერ მოგვყავს, მაშინ ჯობს, ისევ ივოს შეაბან ეჟვანი, თუმც ვალერი ჩოლარიასთან გუშინდელ საუბარში გაირკვა, რომ ჯერჯერობით ფედერაციას მწვრთნელის საკითხზე არც უფიქრია:

— სიმართლე გითხრათ, მწვრთნელის თაობაზე ფედერაციის ხელმძღვანელებს ჯერ არ გვითათბირია. ვერც ივო შუშაკს დაველაპარაკეთ და, ბუნებრივია, არც მისი აზრი ვიცით — გვითხრა მან — დუბლინურ მატჩამდეც ორი მიმართულებით ვმუშაობდით. ეროვნული გუნდის თავკაცად კვალიფიციურ, მაღალი დონის სპეციალისტსაც ვეძებდით და პარალელურად არც შუშაკის დამსახურება გვავიწყდებოდა. მას რომ გუნდის შეკვრა და ათამაშება შეუძლია, რუსეთთან შეხვედრაშიც გამოჩნდა. ნაკრების ახალ მწვრთნელს მხოლოდ შესარჩევი ციკლის ჩასამთავრებლად ხომ არ მოვიწვევთ, თანაც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრაზეც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. მოკლედ, ჯერ ბევრი რამ არის საფიქრალ-გასაანალიზებელი, მაგრამ იმასაც გპირდებით, რომ ნაკრების მწვრთნელის ვინაობა მალე გაირკვევა.

**მამუკა კვანტალიანი**

# შოთამ დუბლინში ნაღველიც დაანთხია

## მოწამლულმა არველაძემ 90 წუთს გაუძლო

ირლანდია — საქართველოს ნამატჩევს „ლენსდაუნ როუდის“ გასახდელთან შოთა არველაძემ ადრეულად დაასრულა ინტერვიუ „რუსთავი 2“-თან — მან თავი ძალიან ცუდად იგრძნო და დუბლინის ერთ-ერთ კლინიკაში გააქანეს.

არველაძე მატჩის დღეს უქეიფოდ გახლდათ, თუმც თამაშს თავი არ აარიდა, ხოლო პირველი ტაიმის შემდეგ პირღებინება ჰქონდა. ნაკრების ექიმ დიმიტრი ზაალიშვილთან საუბრის შემდეგ შოთამ გადაწყვიტა, მაინც გაეგრძელებინა მატჩი. გასახდელიდან სუფთა ჰაერზე გასულს თავი უკეთ კი უგრძვნია, მაგრამ რაც მატჩის შემდეგ დაემართა, ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

კლინიკაში არველაძეს გამოკვლევა ჩაუტარეს — მოწამვლა და ინტოქსიკაციის ფონზე გაღიზიანებული ნაღვლის ბუშტი — ასეთი გახლდათ ირლანდიელი ექიმების დიაგნოზი.

ორდღიანი მკურნალობის შემდეგ შოთას ნება დართეს კლინიკიდან გაწერილიყო — საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „რეინჯერსის“ შემტევი თბილისში დღეს გვიან ჩამოვა ძმა რევაზთან და ზაალიშვილთან ერთად.

**დავით თავართქილაძე**


რეზო და შოთა არველაძეები თბილისში დღეს ჩამოვლენ

# ლომაიას ბიბამ თბილისში კიევი დაახვედრა



**საად გააგრძელებს** კარიერას საქართველოს ეროვნული გუნდის მეკარე გიორგი ლომაია? ერთის თქმა, ალბათ, ახლავე შეიძლება — იგი ახალი სეზონიდან ეროვნულ ჩემპიონატში არ ითამაშებს.

ჯერაც თბილისის „ლოკომოტივის“ გოლკიპერის ტრანსფერზე უკვე რა ხანია ლაპარაკობენ — ლომაიას თვით ლონდონის „არსენალი“ იწვევს, „მეთოფეთა“ სკაუტები მის საქმეში სანახავად თბილისშიც აპირებენ ჩამოსვლას თუ არა და, ინგლისური ბობოლა გუნდის ფრანგი მენეჯერი არსენ ვენგერი თავად აპირებს 11 ივნისს დუბლინში ჩასვლას, „ლენსდაუნ როუდზე“ ირლანდია — საქართველოს მატჩს დაესწრება და ქართველ მეკარეს პირადად შეათვალიერებსო.

ინგლისელთა შემონათვალს საქმე არ მოჰყოლია.

არადა, ვენგერის სკაუტებს ჯერ კიდევ „ლოკომოტივი“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩზე ველოდით. გახსოვთ, ალბათ, ვინც იმ დღეს ვაკეში მისვლა არ დაიზარა, ჩინებულად მოთამაშე ნაკრების მეკარეც გაახსენდება — ლომაიამ ორი თერთმეტმეტრიანი მოიგერია.

მოკლედ, 11 ივნისიც მიილია, გიორგი ლომაიამ დუბლინშიც ითამაშა და გუშინ გამთენიისას თბილისში დაბრუნდა. თბილისში დაბრუნებულს კი სიურპრიზი დაახვედრეს, უფრო სწორად კი სიურპრიზი მას თავად დაადგა თავზე — კიევის „დინამოს“ სელექციონერი ანდრეი ბიბა.

უკრაინელი სტუმარი პირველად არაა საქართველოში, იგი ჩვენში ადრე რამდენჯერმე სტუმრობდა, ბოლოს მაშინ გახლდათ, „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობასთან ორი ფეხბურთელის თაობაზე რომ სურდა მოლაპარაკება, ნახევარმცველი დავით სირაძე და მეკარე გიორგი ლომაია მოგვწონს და გასასინჯად ვიწვევთო.

ახლა კი, პირადად ლომაიას კიევის „დინამოში“ ტრანსფერის გასაჩარხად ჩამოსულა. როგორც გუშინ შევიტყვეთ, ანდრეი ბიბა გუშინვე შეხვედრია რკინიგზის სახელმწიფო დეპარტამენტში „ლოკომოტივის“ პრეზიდენტს აკაკი ჩხაიძეს და კარგა ხანს უსაუბრიათ. ბიბა-ჩხაიძის მოლაპარაკების დეტალები ჩვენთვის უცნობია, თუმც ერთი ვიცით, უკრაინელის სურვილი: გიორგი ლომაია კიევში დროულად წაიყვანოს.

დღეს ბიბა კიდევ ერთხელ შეხვდება ჩხაიძეს, ამჯერად ბატონ აკაკის სტუმარი კიეველ სელექციონერთან ერთად ლომაიაც იქნება და არაა გამორიცხული, კიევის „დინამოს“ სკაუტმა ჩხაიძისგან მისთვის სასურველი პასუხი მიიღოს, თუ ასე მოხდა, გიორგი ლომაიას დღესვე მოუწევს უკრაინის დედაქალაქში აბარგება, მას ხომ იქ ყოველგვარი სინჯების გარეშე ელიან.

ერთი სიტყვით, შანსია ლომაია ახლო მომავალში კიევის „დინამოს“ მეკარე გახდეს და ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად ალექსანდრ შოვკოვსკის და ვიტალი რევას სერიოზული კონკურენცია გაუწიოს.

**გიორგი გაჩეჩილაძე**


მერაბ [illegible] ფოტო

# ახირება და დემაგოგია

**ქვემოთ** ახირებული კაცის წერილს გთავაზობთ, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანების მსგავსად ორი თვალი და ტელევიზორი აქვს, დენი არ გამოურთეს, არ ჩასძინებია, ირლანდია — საქართველოს ცქერისას ბევრი რამ უარყოფითი დაინახა, სხვა თუ არაფერი, იხილა როგორ დამარცხდა მისი ქვეყნის ნაკრები და არასდროს მოუბრუნდება ენა იმის სათქმელად, რომ წაგება კარგია, დამარცხებული გუნდი კი გამარჯვებულია. მაგრამ ახირებულია და ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ დადებითზე სურს ლაპარაკი. ერთი სიტყვით, თუ გნებავთ, ეს ყველაფერი დემაგოგიად მიიჩნიეთ, მაგრამ ახირებული კაცი იმიტომაც არის ახირებული, რომ თავისი იმეოროს და მაგალითად ასეთი რამ იკითხოს: გინახავთ ოდესმე გუნდი ჯერ წლობით აგებდეს, ყოველ მომდევნო შეხვედრაში ცოდვილობდეს, უსუსურად წვალობდეს, მერე კი ადგეს და ერთი მშვენიერი დღიდან თბილისში რუსეთთან, დუბლინში ირლანდიასთან და ყველგან ყველასთან მოიგოს და მოიგოს?

ასეთი რამ არ არსებობს. ეს ზღაპარია, ზღაპრების კი რაღაც ასაკის შემდეგ აღარ სჯერათ ხოლმე. ამიტომ, ნაკრების ამბავზე, კარგიაო, მხოლოდ იმ შემთხვევაში კი არ უნდა ვთქვათ, როდესაც ის ჯადოქრის დახმარებით მეტოქეებს ერთმანეთზე მიაწყობს, არამედ მაშინ, როდესაც წინ გადადგმულ ნაბიჯებს, ტენდენციას შევატყობთ. ტენდენცია კი ასეთია: თავდადებული თამაშის ხარჯზე გამარჯვება რუსეთთან და დიდი მონდომებით მზადება ირლანდიასთან შესახვედრად (გვერწმუნეთ, გუნდში შემართებული, ვაჟკაცური ატმოსფერო იყო), რაც შეძლებისდაგვარად მოედანზეც აისახა. და სანამ წაგებით გაღიზიანებულნი ამ წინადადების გამო გამოგვლანძღავდეთ, ის გაიხსენეთ, რომ თავდადებისა და ნაკისრები დატვირთვის გამო შოთა არველაძე დუბლინში, თამაშის შემდეგ ცუდად გახდა, საავადმყოფოში შეიქნა წასაყვანი. ეჭვი არაა, სხვა ბიჭებიც გაითანგნენ და მარცხი განიცადეს... მართლა განიცადეს! ჰოდა, განა ამის მერე ახირებული კაცის მტკიცება, რომ ეს შემართება უკვე კარგია, მართალი არ არის?!

რატომ წავაგეთო. იმიტომ, რომ ირლანდიის ნაკრები ასეთი რანგის ფეხბურთს ათწლეულობით თამაშობს, ჩვენ კი „ავჭალური კენწლაობიდან“ ახლა ვაპირებთ გამოსვლას. დუბლინში არ გამოვიდა? სასოწარკვეთას ნუ მივეცემით, განწყობა შევინარჩუნოთ და სხვა დროს გამოვა. რაც შეეხება ჯგუფიდან გასვლას, ამის იმედი რუსეთამდე დაკარგული ქულების გამო, თუ მართლა ბავშვები არ ვართ, არც უნდა გვქონოდა.

კეთილი და პატიოსანი, განვაგრძოთ ახირებული და დემაგოგიური მსჯელობა: როგორ ფიქრობთ, იმ დღეს ნახევარდაცვაში კობიაშვილს, ნემსაძეს და ცქიტიშვილს რომ ეთამაშათ, ჩვენი გუნდი იქნებოდა თუ არა თვისებრივად სხვანაირი? აბა, გავიხსენოთ, საქართველოს გუნდის მთავარი ნაკლი ირლანდიელებთან შეხვედრაში — თამაშის ხანგრძლივი მონაკვეთების განმავლობაში თავდაცვისას ძირითადი დატვირთვა მხოლოდ ბოლო ხაზზე მოდიოდა, შეტევისას კი ბურთი თავდამსხმელებამდე ვერ აღწევდა, კარში რომ დაერტყათ. ჰოდა, რა არის თავდასხმას და დაცვას შორის? ნახევარდაცვა, რომელმაც ისე უნდა ქნას, რომ მეტოქე პირდაპირ შენს საჯარიმოს ვერ მიადგეს, ხოლო შენმა თავდამსხმელმა მომენტი იხელთოს. აი, ახლა კი დავუბრუნდეთ აბზაცის დასაწყისში დასმულ კითხვას: იმ დღეს ნახევარდაცვაში კობიაშვილს, ნემსაძეს და ცქიტიშვილს რომ ეთამაშათ, ხომ გავუწევდით ირლანდიელებს მეტ წინააღმდეგობას? ეს სამეული და პლუს რამდენიმე საჭირო ფეხბურთელი კი ტრავმების გამო არ იყვნენ, შესაბამისად, ახირებული კაცი ამტკიცებს — დუბლინში საქართველოს ნაკრების უძლიერეს შემადგენლობას არ წაუგია, ხოლო უძლიერესი შემადგენლობა რომ ყოფილიყო...

და ამის შემდეგ ახირებული კაცი გოლებს იხსენებს. ის ამტკიცებს: მიუხედავად იმისა, რომ ირლანდიამ საქართველოს აჯობა, სტუმართა კარში ორივე გოლი მაინც მსაჯის შეცდომის გამო გავიდა. პირველ შემთხვევაში — თან უსაძაგლეს დროს, ტაიმის დამთავრებამდე წუთით ადრე — ხიზანიშვილს თამაშის წესი არ დაურღვევია და ამიტომ ჯარიმა ჩვენების კარის მიმართულებით არ უნდა დანიშნულიყო, ხოლო მეორე შემთხვევაში მისტერ რობი კინმა ბურთს ხელი წააშველა. ასე და ამგვარად, კი ბატონო, ირლანდიამ საქართველოზე უკეთ ითამაშა, მაგრამ ორი მომენტი მსაჯს სწორად რომ განესაჯა, ანგარიში 0:0 იქნებოდა.

და ბოლოს ახირებული კაცის დასკვნა: საქართველოს ნაკრების შემართებულმა, მაგრამ სუსტმა შემადგენლობამ სტუმრად, ირლანდიის გამოცდილ ნაკრებთან მსაჯის ორი შეცდომის გამო წააგო.

ნუ, რა თქმა უნდა, მარტო ასეც არ არის, მაგრამ...

**პაპუნა ძიძია**

# დუბლინის შემდეგ

**საქართველოს ნაკრებმა** წააგო თავისი ხმაურიანი თამაში დუბლინის „ლენსდაუნ როუდზე“ და ამით ხელახლა წამოწია ძველი ლაპარაკები, რომ არაფერი გვეშველება, რომ რუსეთთან თამაში კურაჟისა და სახალხო განწყობის შედეგი იყო, რომ ივო შუშაკი იქნება თუ ნიკიფორე ვილაცაშვილი, შედეგი ერთია და ა.შ.

ჩემი მოკლე ჭკუით, საქართველოს ნაკრები შეზღუდული შესაძლებლობების გუნდი იყო ოთხშაბათ საღამოს, მას არ ჰყავდა ნახევარმცველები. საერთოდ კი, საქართველოს ნაკრებს არა ჰყავს შემცვლელები სწორედ რომ ნახევარდაცვაში და ამან დიდად იმოქმედა ირლანდიაში ქართველთა თამაშზე. თამაში არ შედგა არა იმიტომ, რომ შუშაკი არაფრით განსხვავდება დაბალი კვალიფიკაციის მწვრთნელებისაგან, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს გუნდში არ იყვნენ გიორგი ნემსაძე, ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი და დავით კვირკველია.

თამაში სწორედ იმიტომ არ გამოვიდა, რომ მწვრთნელს არა აქვს შემადგენლობის როტაციის საშუალება. როცა როტაციის საშუალება არა გაქვს, ტაქტიკის არჩევის შესაძლებლობებიც შეზღუდულია. როცა ტაქტიკის არჩევის საშუალება შეზღუდულია, მაშინ იმას კი არ თამაშობ, რაც გადაგიწყვეტია, არამედ იმას, რისი საშუალებაც დუხჭირ არჩევანს მოუცია.

ძალიან ძნელია, როცა მოწინააღმდეგე ყველა რგოლში გამართულია და იმგვარი მოქნილი თამაში შეუძლია, რომ თავისი ერთ-ერთი ლიდერის, ამ შემთხვევაში დემიენ დაფის არყოფნით გაჩენილ ორმოს მშვენიერ ხუფს უძებნის, მით უმეტეს, რომ შენ ამ ორმოს პოვნას ვერც ცდილობ.

ისე კი, სიმართლე რომ ითქვას, ბოლო ათ წელიწადში საქართველოს ნაკრებს სამიოდეჯერ თუ უთამაშია ხარისხიანი ფეხბურთი, გასვლაზე კი ორადორჯერ თუ მოუგია და ამგვარი შეძლება თავის დაღს ასვამს მის ახალ თამაშს და აღმაფრენის მცდელობას. წინსვლა, ცხადია, ძნელია, მაგრამ თუ ამ ნაკრებმა, ანუ ფეხბურთელებმა ხელი არ ჩაიქნიეს, მათ თამაშს უკვე ბევრი რამ ეტყობა.

ირლანდიელებთან მატჩში თავი არავის დაუზოგავს. სხვა საქმეა, რომ გუნდის ნახევარს ნამდვილად არ გააჩნდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში თამაშის შესაბამისი ოსტატობა და როლებიც, რომლებიც მათ გაუნაწილა შუშაკმა, განუზომლად დიდი იყო მათთვის. თუმც, სხვა შემსრულებლები მწვრთნელს არ ჰყავდა. რა თქმა უნდა, ყოველთვის შეიძლება მწვრთნელის გადაწყვეტილებათა გაკრიტიკება და მის ტაქტიკურ ჩანაფიქრზე დავა, ოღონდ ეს, ჩვეულებრივ, თამაშის შემდეგ ხდება. და ახლაც ასეა.

საქართველოს ამ მატჩში ჰყავდა სამი მაგარი ფეხბურთელი: კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი და შოთა არველაძე და ჰყავდა უნიჭიერესი და საოცარი მალხაზ ასათიანი. ირლანდიას არ ჰყავდა დაფი, მაგრამ ჰქონდა ყველაფერი: ორი-სამი კაცი, რომელთა ზურგზეც აეწყო ის თამაში, იყვნენ სტივ კარი, კევინ კილბეინი, ჯონ ოში და, რა თქმა უნდა, რობი კინი, რომელსაც ინატრებდა ყველა. ვერც იცნობ იმ მოთამაშეებს, რომლებმაც ჩვენი ნახევარდაცვა მოგუდეს, ერთმანეთისგან ვერ გამოარჩევ. უბრალოდ, ისინი კვალიფიციური ფეხბურთელები არიან. მეტი არაფერი.

ამ დუბლინური თამაშით საქართველოს ნაკრებთან ხანმოკლე შეთანხმება დაუმთავრდა ივო შუშაკს. ოფიციალურად, უცნობია მისი და ფედერაციის პოზიციები ნაკრების სათავეში მისივე დარჩენის თაობაზე. ამ ორი მატჩიდან სურათი ისეთი გამოდის, რომ უმჯობესია შუშაკი დარჩეს და ეგებ, ბოლოს და ბოლოს, საბოლოოდ თუ როგორც გინდათ, ისე, საქართველომ ნაკრების შენება დაიწყოს. ნაკრები სახლზე ძნელი და ქვეყანაზე იოლი ასაშენებელია. ამას თანდათან, შენების დროს უფრო კარგად დავინახავთ. აქამდე ხომ არც ვაშენებდით და არც რამე, ბურთის გორება და კაი ბიჭობის მტკიცება იყო. ახლა ცდა ჩანს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ? მე კი მგონია...

# ჰერ ლოთარ?
## ვინ იქნება კობიაშვილის ხუმარათუხუცესი

*ბუნდესლიგის „შალკე" უკვე ქართველთათვის საინტერესო კლუბია. ლევან კობიაშვილისა და „შალკეს" კონტრაქტი „ხუმრებს", ცხადია, საქართველოშიც მოუმრავლებს გულშემატკივარს*

**მართალია**, „შინდისფერთა" ერთ-ერთი ლიდერისა და „შალკეს" შეთანხმებამ გვარიანად გაწელილი ხმაური გამოიწვია, მაგრამ მერე ყველაფერი გაცხადდა — ლევან კობიაშვილმა ახალ კლუბს სამი წლით დაუკავშირა ბედი.

ჰოდა, ახლა ამ ახალ კლუბში მიმდინარე ამბებზე. „შალკეს" მთავარი პრობლემა დღესდღეობით მთავარი მწვრთნელის ცარიელი სავარძელია. „ხუმარები" გაფაციცებით დაეძებენ სასურველ სპეციალისტს და კანდიდატთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. გუშინ კი სჯა-ბაას-ვარაუდთა ზედაპირზე კიდევ ერთი ცნობილი გვარ-სახელი ამოტივტივდა — ლოთარ მათეუსი.

შედგება თუ არა კობიაშვილ-მათეუსის თანამშრომლობა, ჯერჯერობით უცნობია. თვად ჰერ ლოთარი კი „შალკეში" მუშაობის პერსპექტივით ერთობ მოხიბლული ჩანს:

„გელზენკირხენულ კლუბს ბოლო სეზონი ჩაუვარდა. კლუბმა მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწია და გასაკვირი არაა, რომ ხელმძღვანელობა ახალ მწვრთნელს ეძებს. „შალკეს" ისეთი მწვრთნელი სჭირდება, რომელსაც დიდი დაწოლის გაძლება შეუძლია. მე კი ასეთ რამეებს არასოდეს გავურბოდი. მოხარული ვარ, რომ კანდიდატთა სიაში მეც აღმოვჩნდი" — განუცხადა 42 წლის მათეუსმა პოპულარულ „ბილდს".

შეგახსენებთ, რომ „შალკეს" ბოლოს მისი ერთ-ერთი თილისმა, ბელგიელი ნახევარმცველი მარკ ვილმოტსი წვრთნიდა, თუმცა მან სეზონის დასრულებისთანავე დატოვა პოსტი. ლოთარ მათეუსი კი ამჟამად ბელგრადის „პარტიზანის" თავკაცია და ამ კლუბს თავის სადებიუტო სეზონშივე ქვეყნის ჩემპიონობა მოაგებინა.

**ქახა ზალამბერიძე**





მიუვა ლევან კობიაშვილს „შალკეში" ლოთარ მათეუსი?



*ვალერი აბრამიძე, ერთ დროს საქართველოს ნაკრების მცველი, ახლა მოსკოვის „სპარტაკის" შავ დღეზე ფიქრობს. რუსების საყვარელი „სახალხო გუნდი" ღრმა კრიზისშია. გუშინწინ „სპარტაკმა" ბოლოხანს მასავით დაჩიავებულ „ლოკომოტივთანაც" წააგო და სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო დაიმძიმა, მაგრამ შესაძლოა, ვალერი აბრამიძე წლეულს უტიტულოდ მაინც არ დარჩეს — „სპარტაკს" რუსეთის თასის ფინალი აქვს სათამაშო კერკეტ „როსტოვთან".*

*გუშინ ვალერი აბრამიძეს მოსკოვში შევეხმიანეთ და კლუბის გარდა საქართველოს ნაკრებზეც ვესაუბრეთ*

# აბრამიძის მოდი, ნახე
## მწვრთნელს თვალში ვერ ჩაუხტები

**— ჩავარდნას თავი ჯერაც ვერ დააღწიეთ, რა ხდება გუნდში?**

— ზუსტად ვერც მე ვხვდები, რამ გამოიწვია ასეთი კრიზისი. კლუბის ხელმძღვანელობა ყველაფერს ცდილობს და იმედი მაქვს, მალე ძველი „სპარტაკი" დაბრუნდება.

**— ასე დაბლა „სპარტაკი" კარგა ხანია, არ ყოფილა...**

— მართლაც ცუდი ვითარებაა. სტარტიც ძალიან უვარგისი გვქონდა და ამის შემდეგ გუნდში რაღაც ზედმეტად ნერვული სიტუაციაა. ყოველი თამაშის წინ მოედანზე შიშით გავდივართ, ვაითუ დავმარცხდეთ. ფსიქოლოგიურად ძალიან გვიჭირს.

**— ბოლო ტურში „ლოკომოტივთან" 1:2 წაგებულ მატჩზე რას იტყვი?**

— გაახალისებული შემადგენლობით ვითამაშეთ და, ცხადია, შედეგზე ამანაც იმოქმედა. ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი გვაკლდა, ამიტომ მეტოქეს ბევრი ვერაფერი დავუპირისპირეთ.

**— ახლა რას აპირებთ?**

— განსაკუთრებულს არაფერს. თასის ფინალისთვის ვემზადებით.

**— ესე იგი, „სპარტაკის" უპირველესი მიზანი თასია?**

— არა, რატომ? დარწმუნებული იყავით, ჩემპიონატშიც ვიტყვით სათქმელს. სეზონის დამთავრებამდე ჯერაც საკმაო დროა და ვითარების გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება.

**— თასის ფინალში მეტოქედ გყავთ „როსტოვი", რომელიც ამ სეზონში ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს...**

— ეგ არაფერი. დაუმარცხებელი არავინაა. თან ჩვენ ძალიან სერიოზულად ვემზადებით. ტრავმირებული ფეხბურთელებიც დაგვიბრუნდებიან. ასე რომ, თასის მოსაგებად არაფერს დავიშურებთ.

**— ნაკრებზეც ვთქვათ. ირლანდია — საქართველოს თუ უჟურე და რა შთაბეჭდილება დაგრჩა?**

— ჩემი აზრით, წასაგები თამაში არ იყო. ირლანდიელებმა ძალიან მაღალ ტემპში ითამაშეს, მაგრამ ბიჭებმა არაფერი დაუთმეს. ფრე მაინც რომ ყოფილიყო...

**— თავად საქართველოს ნაკრებზე რას იტყვი?**

— კარგია, რომ გუნდი გაახალგაზრდავდა. ნაკრებს მწვრთნელის ხელიც აშკარად ეტყობა. ბიჭებიც უფრო მონდომებულნი და მობილიზებულნი ჩანან.

**— შენ თუ ხედავ შენს თავს საქართველოს ნაკრებში?**

— მე რას უნდა ვხედავდე, მთავარია, მწვრთნელებმა დაინახონ. კლუბში სისტემატურად ვთამაშობ, ტრავმაც საბედნიეროდ აღარ მაწუხებს და ახლა მხოლოდ „სპარტაკზე" ვფიქრობ. როცა გამომიძახებენ, მერე ვიფიქრებ ნაკრებზე. ასე რომ, ახლა ამაზე ლაპარაკი ნაადრევი მგონია.

**ქახა ზალამბერიძე**

# კორღალიძის ვარიანტი: რუსული ფანჯარა

**ლატვიური „სკონტოს"** ქართველი ნახევარმცველი ლევან კორღალიძე სრულად გამოჯანმრთელდა და გუშინწინ კლუბს დაუბრუნდა. „სკონტო" ქვეყნის ჩემპიონატში მაჩანჩალა „არმას" ესტუმრა და 6:0 დაამარცხა. ლევან კორღალიძე კი მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე და მატჩის ბოლო წუთზე გოლიც გაიტანა. „არმას" რიგებში სრულად ითამაშა თამაზ პერტიამ.

კორღალიძემ ეს სეზონი უიღბლოდ დაიწყო. მოსამზადებელ ეტაპზე „სკონტოს" ირლანდიურ საწვრთნელ შეკრებაზე დაშავდა, ტრავმა კი მოირჩინა, მაგრამ ჩემპიონატის მესამე ტურში მეტოქე ისე ეუხეშა, რომ ზედიზედ რამდენიმე ტური გამოატოვებინა.

ახლა კორღალიძემ ეს ტრავმაც მოიშუშა და უკვე გოლითაც გაიხარა. ჩემპიონობისთვის მებრძოლი „სკონტო" კი მთავარ კონკურენტ „ვენტსპილსს" ოდენ ბურთების უარესი შეფარდებით ჩამორჩება.

ჩვენებური „სკონტოს" დაუბრუნდაო, ვწერთ, მაგრამ შესაძლოა, ის რიგაში დიდხანს არც შერჩეს. რა ხანია, კორღალიძეს ახალ კლუბში გადასვლა სურს და პირველი წრის შემდეგ იქნებ მოახერხოს კიდეც. მისი თქმით, რუსული ვარიანტები აქვს და ეცდება, ხელიდან არ გაუშვას. რუსეთში სატრანსფერო ფანჯარა 24 ივნისიდან იხსნება.

**ქახა ზალამბერიძე**





# ჯიქიამ ჯერ ამიცა იცის

**პოლონური „ამიცას"** ქართველი ნახევარმცველი მამია ჯიქია დაახლოებით ორ კვირაში განაახლებს ვარჯიშს. თითქმის ოთხთვიანი უქმობის შემდეგ ჯიქიამ დაშავებული მუხლი თითქმის მოიშუშა და უკვე თავისუფლად სირბილიც შეუძლია. შეგახსენებთ, რომ მან ტრავმა თებერვალში საქართველო — მოლდოვას ამხანაგურ მატჩში მიიღო, მერე კი ნატკენი მუხლი „ამიცას" საწვრთნელ შეკრებაზე გაუმიზეზდა და ფეხბურთსაც დროებით ჩამოშორდა.

ჯიქიას ოპერაცია ცნობილმა ავსტრიელმა ქირურგმა შენკიმ გაუკეთა. სარეაბილიტაციო პერიოდი დაგეგმილზე ადრეც კი დასრულდა.

— ორშაბათს ამომიღეს ფეხიდან მეტალი. ერთ კვირაში ძაფებსაც ამოიღებენ და ალბათ მალე ვარჯიშსაც დავიწყებ. ტრავმას სხვა გართულებები არ მოჰყოლია — გვითხრა გუშინ მამია ჯიქიამ, როცა პოლონეთში შევეხმიანეთ.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ქართველი ნახევარმცველი ახალ სეზონსაც „ამიცაში" გაატარებს. ჯიქიას თქმით, კლუბში კონტრაქტით კიდევ ერთი წელი უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ასეთი მძიმე ტრავმა გადაიტანა და სხვა კლუბში გადასვლაზე ახლა ლაპარაკიც ზედმეტია.

— ახალ სეზონსაც „ამიცაში" ვითამაშებ. მერე რა მოხდება, არ ვიცი. თუ კლუბი კონტრაქტის გაგრძელებას შემომთავაზებს, დავფიქრდები, არადა, სხვა გზას მოვძებნი — ასეთია ჯიქიას აზრი.

**ქახა ზალამბერიძე**


სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა"
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15


2003 წლის 14 ივნისს, 15 საათზე, სკ „ვიტ ჯორჯიას" ოფისში, თამარაშვილის 19, შედგება გულშემატკივართა კლუბის შეკრება.

მსურველებს გთხოვთ, მობრძანდეთ

*ირლანდიური მედია რობი კინისა და ბრაიან კერის ქებად დაშვრა. თუმც ნაჯაფარი არც სხვას დაუკარგა და ერთი-ორი სიტყვა ჩვენებურებზეც გამოიმეტა*

# დიდი დოჰერტის წილი

## რატომ დარბოდა კალაძე და რატომ შეჰყმუოდნენ არველაძეს

## Spirit of Irish football alive and kicking

„მისია შესრულებულია. ბრაიან კერს და მის ფეხბურთელებს შეუძლიათ, საზაფხულო არდადეგების პირველი დღიდან იმაზე იოცნებონ, თუ როგორ გაატარონ გაისად ივნისი პორტუგალიაში" — ასე იწყებს საამმატჩო მიმოხილვას წამყვანი ირლანდიური გაზეთი „აირიშ ინდეპენდენტი".

იმავ გაზეთი ცალკე წერილს უძღვნის რობი კინს და თუ რა დითირამბებით, ამით თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ ერთ მცირე ფრაგმენტს შემოგთავაზებთ: „რობი კინი ქვეყნად მხოლოდ ერთია. ის ისე თამაშობს, თითქოს სკოლის სათამაშო მოედანს დაუბრუნდა, ყოველი ბურთის მოსახელთებლად გამეტებით იბრძვის და ცდილობს, ნებისმიერი წყვილი ფეხი მოამტვრიოს, რომელიც მისი ფეხების და მეტოქის კარს შორის გამოჩნდება, სანამ ბურთს ოსტატურად არ გაახვევს ბადეში".

„აირიშ ინდეპენდენტი" აქებს სელტიკელ კოლინ ჰეილს, რომელმაც საქართველოსთან მატჩში მარკ კინსელა შეცვალა.

„გულწრფელად რომ ვთქვა, არა მგონია, მეთამაშა, დაფის ტრავმა რომ არა. დაფის ტრავმა არ გამიხარდა, მაგრამ მისი არყოფნით მე შანსი მომეცა — თქვა კევინ კილბეინმა, რომელმაც ჩინებულად ითამაშა და მშობლიური პრესისგანაც ქება-დიდება დაიმსახურა — ჩემი თავით კმაყოფილი ვარ. საგოლე ჯარიმა საჭირო სივრცეში ჩავაწოდე და არაჩვეულებრივი იყო, ბურთთან დოჰერტის თავი რომ დავინახე".

ერთი სიტყვით, ირლანდიელებს სათადარიგო ფეხბურთელებმა ძალიან გაუმართლეს — ჰეილმა და კილბეინმა სამშობლოში უკვე არცთუ პატარა სახელი დაიგდეს.

მეტ ჰოლანდზე და ლი კარსლიზე კი ითქვა, კინსელა-კილბეინთან ერთად ქართველთა ხუთკაციან ნახევარდაცვას მუსრი გაავლესო. მოკლედ, ირლანდიური მედიის აზრით, მასპინძლებმა სტუმრებს პირველ რიგში უკეთესი ნახევარდაცვის წყალობით სძლიეს. ხოლო დოჰერტი ქართველოლოგად შერაცხეს — საქართველოს პირველი გოლი 1999 წელს გაუტანა 19-წლამდელთა ნაკრებში, მეორე წლეულს მარტში, მესამე კი ახლაო.

ჩვენს ნაკრებზე კი „აირიშ ინდეპენდენტმა" დასძინა, ქართველებს გავლენიანი მოთამაშე გიორგი ქინქლაძე მოაკლდათ მუცლის ტკივილის გამო და მათ ვერც „მილანის" კახა კალაძით შეძლეს ირლანდიის გაბრაზებაო. კალაძეზე ისიც ითქვა, თანაგუნდელების აყოლიებას ცდილობდა დაცვიდან წინ, შორ დისტანციაზე სირბილით, რათა ბურთი მალხაზ ასათიანამდე მიეტანა, მაგრამ არც ამან გასჭრაო.

ირლანდიურ მედიას არც შოთა არველაძე გამორჩენია — „რეინჯერსის" შემტევი თავისი მონდომების გარდა ირლანდიელ ფანებს იმადაც აღიზიანებდა, რომ რეინჯერსელიაო. მოგეხსენებათ, „სელტიკი" კელტთა გუნდია და ირლანდიაში „რეინჯერსს" ვერ იტანენ. ამ მომენტს ბრიტანული BBC-იც ეხმაურება და დასძენს, არველაძეს ბურთთან ყოველი შეხებისას შეჰყმუოდა აირიშული ფანობაო.

„აირიშ ინდეპენდენტმა" ათბალიანი სისტემით შეაფასა ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელები, თუმც უმაღლესი შეფასება არავის ერგო. საუკეთესონი ჰეილი, კილბეინი და კინი აღმოჩნდნენ — 9 ბალი.

რა თქვა ნამატჩევს ბრაიან კერმა? „დამსახურებული ჯილდო მივიღეთ განსაცვიფრებელი გუნდური ძალისხმევის საფასურად. კმაყოფილი ვარ მეორე ტაიმითაც და იმით, თუ როგორ ვაკონტროლებდით ბურთს მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საგოლე შანსი არ შეგვიქმნია. მეტოქეს ჩვენს საჯარიმო მოედანში შესვლის შესაძლებლობა ფაქტობრივად არ მივეცით. კოლინ ჰეილმ ძალიან კარგად იმუშავა, ხოლო ლი კარსლიმ ისე მუყაითად იშრომა, როგორც ყოველთვის. დიდი გარი დოჰერტის გოლი კი სწორედ ის იყო ჩვენი გუნდისთვის, რაც პირველ ტაიმში გვაკლდა".

**დავით თავართქილაძე**










### ირლანდიური სათაურები

ბრაიან კერი:
გონებაში საქართველო და სამი ქულა მიტრიალებს

კახა კალაძე:
იმედი მაქვს, ისე კარგად ვითამაშებ, ჩემი გატაცებული ძმა სადაც არ უნდა იყოს, იქ გაიგებს

შოთა არველაძე:
იყვირონ, არ მეშინია

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი 11 ივნისი

## ჩვენი ჯგუფი. VI ტური

# ბრიგელი საქართველოს ჟენევიდან დაემუქრა

**შვეიცარია 3:2 ალბანეთი**

**1:0 ჰაასი (10), 1:1 ლალა (23), 2:1 ფრეი (32), 3:1 კაბანასი (72), 3:2 შკელა (86პ)**
**შვეიცარია: შტილი, ბ. ჰაასი, ანშო (ცვისიგი 76), მ. იაკინი, ბერნერი, ფოგელი, კაბანასი, ვიკი (შპიხერი 64), ჰ. იაკინი, შაპუიზა, ფრეი (სელესტინი 83)**
**მწვრთნელი: იაკობ კუნი**
**ალბანეთი: სტრაკოშა, ბექირი, ჩიპი (კანა 46), ალიაი, კ. დურო (დრაგუშა 74), ჰასი, ლალა, შკელა, ბელაი, ბუში (რაკლი 62), ტარე**
**მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი**
**გაფრთხილება: ტარე, ბექირი, ლალა, ალიაი, ბერნერი**
**მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)**
**26 000 მაყურებელი**

**ქართველთათვის** გულის გასახეთქი სიტყვები წერია შვეიცარია — ალბანეთის უეფასეულ რეცენზიაში: „ალბანეთმა ყურები არ უნდა ჩამოყაროს, ჰანს-პეტერ ბრიგელის გუნდისთვის ჯერ არაფერი არ არის დაკარგული, რაკილა ორი დარჩენილი მატჩი „არწივებს" აუტსაიდერ, უშანსო საქართველოსთან აქვთ" — ვკითხულობთ უეფას ოფიციალურ საიტზე.

შევნიშნოთ, რომ ჯგუფიდან გაღწევის თეორიული შანსი ქართველებსაც აქვთ, მით უფრო, რომ ალბანელებზე ერთით მეტი აქვთ სათამაშო, მაგრამ უეფა მაინც უშანსოდ მიგვიჩნევს და ალბათ ასეცაა.

იაკობ კუნის ვარაუდი გამართლდა, შვეიცარიას მძიმე თამაში ჰქონდა. დუბლინის მსგავსად, ბრიგელის გუნდმა ჟენევაშიც გაიტანა, თანაც ორჯერ, მაგრამ ლალას და შკელას გოლები ალბანელთათვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

მასპინძლებმა მძლავრად დაიწყეს მატჩი და მეათე წუთზე მურატ იაკინის კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ბერნტ ჰაასი აუხტა საგოლედ. ალბანელები ამგვარი კითარებისთვის მზად აღმოჩნდნენ, აკი დუბლინშიც ნაადრევი გოლის გაქვითვა მოუხდათ. სტუმრებმა მღელვარების გარეშე გააგრძელეს თამაში, ხუთიოდ წუთში სათამაშო უპირატესობაც ხელთ იგდეს და თავგამოდებით შეუტიეს იორგ შტილის კარს. 23-ე წუთზე ბრიგელის ბიჭებმა ოთხსვლიანი, ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და ალტინ ლალამ მოხდენილი დარტყმით ჟენევური სარბიელი დაადუმა.

შვეიცარიელებს გაუმართლათ, რაკილა ამგვარ ვითარებაში მალევე შეძლეს დაწინაურება — ჰაკან იაკინის ყუმბარასავით გასროლილი ბურთი გამოცდილმა ფოტო სტრაკოშამ ვერ დაიმორჩილა და დამატებაზე ალექსანდრ ფრეიმ ივარგა — 2:1. შეგახსენებთ, ფრეიმ რუსეთთან მატჩში დუბლი გააკეთა, ალბანელთა კარში გატანილი გოლი კი მისთვის მეცამეტე გამოდგა 19 სანაკრებო მატჩში და რაღა გასაკვირია, რომ ფრანგული „რენის" შემტევს ხოტბა შეასხა შვეიცარიულმა მედიამ.

ალბანელები დანებებას არ აპირებდნენ, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ფრეის გოლმა გარკვეულწილად მაინც შეასუსტა სტუმართა მონდომება, მიუხედავად ამისა, ტაიმის ბოლომდე საამმატჩოდ ბოლოსლა მომჯობინებულმა იგლი ტარემ და ალბან ბუშიმ თითოჯერ ლონივრად გაიწიეს შტილის კარისკენ, მაგრამ მურატ იაკინის მიერ შედუღაბებულ დაცვას ვერაფერი დააკლეს. შვეიცარიელები გრძნობდნენ, რომ 2:1 არ იძლეოდა დამშვიდების საშუალებას, ამიტომ მასპინძლებმა მეორე ტაიმიც ენერგიულად დაიწყეს, კუნმა რამდენიმე ტაქტიკური გადაადგილება მოახდინა და შაპუიზას და ფრეის არაერთხელ შეეძლოთ სტრაკოშას დახვრეტა. მონდომებული იყო რიკარდო კაბანასიც. ხუთწუთიან მონაკვეთში ამ ენერგიულმა ნახევარმცველმა დახვეწილი საჯარიმო დარტყმებით ორჯერ ბეწვის ხიდზე გაატარა სტრაკოშა — ერთხელ ხარიხას მოხვდა ბურთი, ერთხელაც მეკარემ საოცაურებრივი რეაქცია გამოავლინა.

კაბანასმა მაინც არ მოისვენა და 72-ე წუთზე მურატ იაკინის პასს საგოლე დარტყმა მიაყოლა. ალბანელთა საქმეც აქ მორჩა, მაგრამ ბრიგელის გუნდს დანებება არც უფიქრია, რაც შეეძლო, ის აკეთა და 86-ე წუთზე იგლი ტარემ მატჩის ინგლისელ არბიტრს პენალტი გამოსტყუა. შკელამ გაქვითა და დარჩენილი ოთხი წუთი სანერვიულო გაუხდათ მასპინძლებს, თუმც შვეიცარიელებმა მობილიზება შეძლეს, მატჩის გადარჩენის მოსურნე სტუმრებს დაცვაში არ ჩაუსხდნენ, იქით შეუტიეს და ბოლო წუთზე სტეფან შაპუიზა დადგა საპენალტე ნიშნულთან, მაგრამ უხეიროდ დაარტყა, თუმც გაცუდებულ პენალტს შვეიცარიელთათვის დიდად არ დაუწყვეტია გული, რაკილა სტივ ბენეტმა მალე საფინალოდ დასტვინა და შესარჩევი ეტაპის დასრულებამდე ორი ტურით ადრე შვეიცარიამ ორქულიანი სხვაობა შეინარჩუნა ირლანდიასთან. მომდევნო მატჩი იაკობ კუნის გუნდს რუსეთთან ელის, ალბანეთი კი აუტსაიდერ საქართველოს დაუპირისპირდება.

„ჩვენ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ ურთულეს ბრძოლაში. სიცხე იყო, რაც ალბანელთა წისქვილზეასხამდა წყალს, მაგრამ მობილიზება შევძელით და ტექნიკურ მოწინააღმდეგეს შანსი არ მივეცით" — თქვა მატჩის შემდეგ პენალტის გამფუჭებელმა სტეფან შაპუიზამ. ალბანელთა თავკაცმა ჰანს-პეტერ ბრიგელმა კი უიღბლობაზე დაიწუწუნა, თუმც შვეიცარიელთა შექებაც არ დავიწყებია, კარგი გუნდია, ალალად დაიმსახურეს გამარჯვებაო. ბრიგელმა ალბანელთა შანსებზეც ილაპარაკა, მოტივაცია ჯერაც შეგვრჩენია და ძალიან გავუჭირვებთ ქართველებსო.

**პაატა ქვანტალიანი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 6 | 3 | 3 | 0 | 12:7 12 |
| ირლანდია | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 10 |
| რუსეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:9 7 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:11 5 |
| საქართველო | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 4 |



REUTERS

ჰაკან იაკინი პირველი გოლის გამტან ბერნტ ჰაასს სიყვარულით ჩაეხუტა

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი 11 ივნისი

## II ჯგუფი

# მისია შესრულებულია

## განიამ დანია ვერ გასწია



ლუქსემბურგი — დანია. მორტენ სკუბო (№18) მოედანზე რომ შევიდა, მის თანაგუნდელებს მასპინძელთა საქმე მოთავებული ჰქონდათ

### ნორვეგია 1:1 რუმინეთი

0:1 განია (64), 1:1 სოლსკიაერი (783)
ნორვეგია: ოლსენი, ბასმა, ბერგი (ლუნდეკვამი 86), რ. იონსენი, ბერგდოლმო, სოლსკიაერი, ბაკე, ანდერსენი, ფ. იონსენი (ტ. ფლო 70), რიისე, კარეუ (ივერსენი 81)
რუმინეთი: ლობონტი, კონტრა, რატი, იენეში, კივუ, რადოი, სოავა, პანზუ (ბრატუ 86), განია, მუტუ, ილიე (სტოიკა 46)
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
24 890 მაყურებელი

### ლუქსემბურგი 0:2 დანია

0:1 კ. იენსენი (22), 0:2 გრავესენი (50)
ლუქსემბურგი: ბესიჩი, რეიტერი, ფედერშპილი, შულსი, შტრასერი, რემი, ლევეკი, მოლიტორი, ჰოსინგი, მ. ბრაუნი, გ. ბრაუნი (კრისტოფი 70)
დანია: სორენსენი, ვიგჰორსტი (თ. ლარსენი 52), ჰენრიკსენი, ლაურსენი, ნ. იენსენი, ბოგელუნდი, გრავესენი, გრონკიაერი (რომედალი 63), კ. იენსენი, მ. იორგენსენი, სანდი (სკუბო 74)
მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)
6 869 მაყურებელი

მარტში დანიასთან შინ დამარცხებულ რუმინეთს ჯგუფში მდგომარეობა გაუუარესდა. რუმინელთა მთავარმა მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმ მაშინ წასვლა გადაწყვიტა. წავიდა კიდეც, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის პრეზიდენტის თხოვნით საქმეს დაუბრუნდა.

მოგვიანებით დანიამ მოულოდნელად ბოსნიასთან წააგო და გენერალ იორდანესკუს ნაკრებს ევრო 2004-ზე გამგზავრების შანსი კვლავ გაუჩნდა.

გასულ შაბათს კოპენჰაგენში ნორვეგიის მარცხმა და რუმინელთაგან ბოსნიელთა ძლევამ ცხრილს ინტრიგა ხელახლა შესძინა. სწორედ ასეთ ვითარებაში „გენერალი" არმიითურთ ოსლოში ნილს იოჰან სემბას ეწვია.

სტუმართა გამარჯვების შემთხვევაში ისინი პორტუგალიის საგზურისთვის რბოლაში საგრძნობლად დაწინაურდებოდნენ. ანგელ იორდანესკუ მოსაგებად ჩავიდა სავიკინგოში, იქიდან კი ქულით გულდაწყვეტილი დაბრუნდა. გულდაწყვეტილ იმიტომ, რომ იოან განიას გოლით რუმინელები მეორე ტაიმის შუაწელში დაწინაურდნენ, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. ამ გოლსა, ბარემ, აქვე ვთქვათ: ადრიან მუტუს პასით. განია მასპინძელ მცველებს დაუსხლტა და მეკარე ფროდე ოლსენმაც ხელი ვერ შეუშალა — 0:1.

პირველ ტაიმში ნორვეგიელები უფრო ლონივრად გამოიყურებოდნენ. როგორც სჩვევიათ, წარამარა საჯარიმოში აწოდებდნენ, მაგრამ რუმინელები მეტოქის შეტევებს გამართული დაცვით უმკლავდებოდნენ.

შესვენების შემდეგ ვიკინგებს დალლა დაეტყოთ, მოიშალნენ და იოან განიას გოლიც ამის შედეგი იყო.

ოსლოდან სამი ქულის წაღებაზე მეოცნებე გენერალს ოცნების ახდენამდე თორმეტი წუთი დააკლდა. სლოვაკმა მსაჯმა ლუბოშ მიხელმა კრისტიან კივუ ხელით თამაშში ამხილა და მასპინძელთა სასარგებლოდ თერთმეტმეტრიანი დანიშნა. „მანჩესტერ იუნაიტედის" მეგოლემ ოლე გუნარ სოლსკიაერმა პენალტი გოლად აქცია.

რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა კრისტიან ბივოლარუმ მატჩის შემდეგ ლუბოშ მიხელის ნამსაჯი დაიწუნა: „ჩვენ გამარჯვებას ვიმსახურებდით, რადგან მეორე ტაიმში მეტოქე აშკარად დავჩაგრეთ. გოლიც გავუტანეთ, მაგრამ მსაჯის ერთმა შეცდომამ დაგვღუპა. შედეგი მატჩის ხასიათს არ შეესაბამება. რუმინეთმა ნორვეგია დაჯაბნა".

მასპინძელთა თავკაცი ნილს იოჰან სემბა ფრემ გაახარა: „პირველ ტაიმში ბიჭებმა ძალიან მოინდომეს, ბლომად ოფლი ღვარეს და მეორე ნახევარში მალევე დაიქანცნენ. გოლი ამიტომაც გავუშვით, თუმცა სასიხარულოა, რომ მეტად მნიშვნელოვანი ქულა გადავარჩინეთ".

ჯგუფის ლიდერმა დანიამ ლუქსემბურგი სტუმრად მოკრძალებული, ორბურთიანი სხვაობით დაამარცხა. შესვენებამდე იესპერ გრონკიაერის პასით კლაუს იენსენმა შეაგდო. მეორე ტაიმში კი „ევერტონის" ჯილამ ტომას გრავესენმა თავისი მძლავრი დარტყმით ლუქსემბურგელი მეკარე „გახვრიტა".

დანიელთა მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა მოკლედ დასხლიტა: „მისია შესრულებულია — ჩვენ სამი ქულა მივითვალეთ".

შემოდგომამდე დრო კიდევ არის, მაგრამ დარჩენილ ორ ტურზეც ვთქვათ. ნორვეგიელები ბოსნიას ესტუმრებიან, ლუქსემბურგს კი მიიღებენ.

რუმინეთიც ლუქსემბურგს უმასპინძლებს, მერე კი დანიას ეწვევა, ხოლო თავად დანიელები, გარდა იმისა, რომ რუმინელებს დაუხვდებიან, ბოსნიას ეწვევიან.

ბოსნიელთაგან კოპენჰაგენში დანიელთა ძლევას თუ გავიხსენებთ, შეიძლება ვივარაუდოთ — შედარებით რთული კალენდარი სწორედ მორტენ ოლსენის ბიჭებს აქვთ. ნორვეგიას და რუმინეთს ლუქსემბურგელთა ძლევა და მუქთა სამ-სამი ქულის მოპოვება ალბათ არ გაუჭირდებათ.

### გაშა ხუციშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 6 | 4 | 1 | 1 | 12:6 | 13 |
| ნორვეგია | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 |
| რუმინეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 15:7 | 10 |
| ბოსნია | 5 | 2 | 0 | 3 | 4:7 | 6 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:15 | 0 |

## III ჯგუფი

# საბჭოური ხუთგოლედები

## ავსტრიამ იკითხოს, ჩეხეთს რა ენაღვლება

### ჩეხეთი 5:0 მოლდოვა

1:0 შმიცერი (41), 2:0 კოლერი (723), 3:0 სტაინერი (81), 4:0, 5:0 ლოკვენცი (88, 90)
*იანკულოვსკიმ ვერ გაიტანა პენალტი (36, ძელი)*
ჩეხეთი: ჩეხი, გრიგერა, ბოლფი, უიფალუში, იანკულოვსკი, პობორსკი (სტაინერი 65), გალაშეკი, შმიცერი (ბაროში 59), როსიცკი, ნედვედი, კოლერი (ლოკვენცი 79)
მოლდოვა: ხმარუკი, კოვალენკო, კატინსუსი, პრიგანიუკი, ტესტიმიცანუ, ოლექსიკი, ბ. ჩებოტარი (ფრუნზა 76), კოვალჩუკი (პოგრებანი 83), ბორეცი, როგაჩოვი (პაცულა 76), ს. ივანოვი
გაძევება: პრიგანიუკი (78)
მსაჯი: კრისტინ იაკობსონი (ისლანდია)
12 097 მაყურებელი

### ავსტრია 5:0 ბელარუსი

1:0 აუფჰაუზერი (33), 2:0 ჰაასი (47), 3:0 კირხლერი (52), 4:0 ვალნერი (62), 5:0 ჩერნი (69)
ავსტრია: მანდლი (პაიერი 85), შარნერი, ემანი, დოსპელი, შტრანცლი (ჰაიბლინგერი 46), აუფჰაუზერი, ჩერნი, ფლოგელი, მ. ჰაასი (ვალნერი 60), ვაგნერი, კირხლერი
ბელარუსი: ტუმილოვიჩი, კულჩი, ოსტროვსკი, ლუხვიჩი, შტანიუკი (ხრაპკოვსკი 66), გურენკო, ომელიანჩუკი, ბელკევიჩი (კოვება 55), რომაშჩენკო, ლავრიკი, კუტუზოვი (ვასილიუკი 46)
მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
8 100 მაყურებელი




ჩეხეთი — მოლდოვა. რაკი იქამდე მასპინძლებმა პენალტი გააფუჭეს, ანგარიშის გახსნა ვლადიმირ შმიცერმა ითავა

ჩეხეთსა და ავსტრიაში ანუ ოლომოუცსა და ინსბრუკში ყოფილი სსრკ-ს ორი წევრი — მოლდოვა და ბელარუსი უმოწყალოდ გვემეს.

ავსტრიელთა მწვრთნელი ჰანს კრანკლი ტირასპოლში მოლდოვასთან დამარცხებისთვის გვარიანად შეახურეს. მწვრთნელმა თავის მხრივ შეგირდები შეაჯანჯღარა და შედეგმაც არ დააყოვნა.

კრანკლის გუნდს ტირასპოლში რომ ემარჯვა, ევრო 2004-ზე გამგზავრების გაცილებით უკეთესი შანსი ექნებოდა. ახლა მოლდოვასთან დაკარგულის პოვნა სტუმრად ჰოლანდიასთან და შინ ჩეხეთთან მატჩებში მოუწევს, რომლებიც შემოდგომაზე გაიმართება.

ოლომოუცში მატჩი ინსბრუკთან შედარებით თხუთმეტი წუთით ადრე დაიწყო. თამაშებიც დაახლოებით მსგავსად მიმდინარეობდა. პირველი ტაიმი ორივეგან 1:0 დასრულდა, რაც ნიშნავს, რომ მეორე ნახევარში ოთხ-ოთხი გოლი გავიდა.

პირველი გოლი ინსბრუკში რენე აუფჰაუზერმა გაიტანა და ბელარუსთა მეკარის, გენადი ტუმილოვიჩის ტანჯვაც დაიწყო.

ჩეხეთში თავისიანების დაწინაურება მარეკ იანკულოვსკის შეეძლო, მაგრამ ევგენი ხმარუკმა პენალტი მოიგერია.

იანკულოვსკის შეცდომა მოგვიანებით ვლადიმირ შმიცერმა გამოასწორა. თავური დაჰკრა, ძელმა ბურთი დაუბრუნა და ლივერპულელმა ზუსტად დამატება შეძლო.

ორივე მატჩში შესვენებების შემდეგ გოლები წამოწვიმა, თუმცა ერთი განსხვავებით — ინსბრუკში მეორე ნახევრის დაწყებიდანვე დასეტყვეს სტუმრათა კარი, ოლომოუცში კი ტაიმის შუაწელიდან.

ავსტრიელებმა ისეთი შტურმი მოუწყვეს ბელარუსებს, რომ გენადი ტუმილოვიჩი საკუთარი კარის სიღრმეში ბურთის გამოსატანად უფრო ხშირად დადიოდა, ვიდრე მოედანზე. მასპინძლებს სულ 22 წუთი დასჭირდათ ედუარდ მალოფეევის ნაკრების წასახდენად. მარიო ჰაასის გოლს ხუთიოდ წუთში როლანდ კირხლერმა მიამატა. შეცვლაზე ახალშესულმა რომან ვალნერმა სხვაობა ოთხამდე გაზარდა, ჰარალდ ჩერნიმ კი ხუთი თითი აწია — 5:0.



ავსტრია — ბელარუსი. ჰარალდ ჩერნიმ ანდრეი ლავრიკი სიმწრისგან ააცეკვა

დაზაფრულ სტუმრებს საერთოდ თამაშის, მასპინძლებს კი შეტევის ხალისი დაეკარგათ და მსაჯის სასტვენსლა ელოდნენ. დაახლოებით იმ დროს, ავსტრიაში მესამე გოლი რომ გავიდა, ოლომოუცში ჩეხები კერკეტი მოლდოველების გატეხვას ცდილობდნენ. დამხვდურებს ბევრის გატანა სჭირდებოდათ, რადგან შესაძლოა ბურთების სხვაობა საბოლოოდ გადამწყვეტი აღმოჩნდეს. ევგენი ხმარუკი ჩეხთა იერიშებს მეორე ტაიმის დაწყებიდან იგერიებდა, მაგრამ იან კოლერის ზუსტმა თერთმეტმეტრიანმა სტუმრები „გაალღო", თუმც კიდევ დაახლოებით ათ წუთს გაჯიუტდნენ მოლდოველები. შეცვლაზე შესულ ირჟი შტაინერს კი გოლის შეგდება ძალიან სწყუროდა და კიდეც მოახერხა პირველი სანაკრებო გოლის გატანა.

შეხვედრის დასრულებამდე თერთმეტი წუთით ადრე შეცვლაზე მეორე იღბლიანიც შევიდა. „კაიზერსლაუტერნის" ლეგიონერმა ვრატისლავ ლოკვენცმა ოთხწუთიან მონაკვეთში დუბლი შეასრულა.

ჩეხთა მწვრთნელ კარელ ბრიუკნერის დაუმარცხებელი 15-მატჩიანი სერია ჯერჯერობით გრძელდება, ავსტრიელებმა კი, პორტუგალიაში გამგზავრება თუ სურთ, შემოდგომაზე სასწაული უნდა მოახდინონ. სასწაულისა ჰანს კრანკლს არ სჯერა: „ახლა ზუსტად იმ ადგილზე (მესამე) ვართ, რომელსაც ვიმსახურებთ. უკაცრავად და, ჩეხებს და ჰოლანდიელებს წლეულს ვერ შევეჯიბრებით. კი, ბატონო, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ მე რეალისტი ვარ".

### გაშა ხუციშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 14:1 | 13 |
| ჰოლანდია | 5 | 4 | 1 | 0 | 11:2 | 13 |
| ავსტრია | 6 | 3 | 0 | 3 | 9:8 | 9 |
| მოლდოვა | 6 | 1 | 0 | 5 | 3:13 | 3 |
| ბელარუსი | 6 | 1 | 0 | 5 | 2:15 | 3 |

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი 11 ივნისი

## IV ჯგუფი

# დუდეკის მრუდე ხელი



REUTERS სან მარინოდან

სან მარინო — უნგრეთი. ზოლტან ბოორმა ნაგოლევს მაისურა გაიხადა და თანაგუნდელებიც ისე გაახარა, თითქოს ვინმე ბობოლა გუნდისთვის გაეტანოს

**შვედეთი 3:0 პოლონეთი**

1:0 ა. სვენსონი (16), 2:0 ოლბოკი (43), 3:0 ა. სვენსონი (71)

**შვედეთი:** ისაკსონი, ლუკიჩი (მიხაელ სვენსონი 87), მელბერგი, იაკობსონი, ედმანი, მიალბი, ნილსონი, ა. სვენსონი, ლიუნგბერგი, ოლბოკი, იონსონი (მაგნუს სვენსონი 72)

**პოლონეთი:** დუდეკი, ბაშჩინსკი (კლოსი 46), ბაკი, ჰაიტო, სტოლარჩიკი, შიმკოვიაკი (ბურხარდტი 76), დავიდოვსკი, ცდებელი, კოსოვსკი (ზაიაცი 64), კრჟინოვეკი, ვიშნიარეკი

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

35 220 მაყურებელი

**სან მარინო 0:5 უნგრეთი**

0:1 ბოორი (5), 0:2 ლისტეში (20), 0:3 კენეში (62), 0:4 საბიჩი (77), 0:5 ლისტეში (82)

*ხელვამ ვერ გაიტანა პენალტი (75, მეკარე)*

**სან მარინო:** ფ. გასპერონი, ვალენტინი, მარანი, ალბანი, მატეონი, ბაჩოკი, ბ. გასპერონი, ძონძინი, დე ლუიჯი (მონტანა 70), ე. სელვა, ვანუჩი (ჯენარი 65)

**უნგრეთი:** ვეგი, ბოდოგი, დრაგონერი, სეკერეში (ფუზი 56), ბოორი, ლიპჩეი (ლენდვაი 74), დარდაი (ზავადსკი 80), ლისტეში, ლიოფი, კენეში, საბიჩი

მსაჯი: კენი კლარკი (შოტლანდია)

1 000 მაყურებელი

პოლონელთა თავკაცმა პაველ იანაშმა მატჩამდე დაიწუწუნა, იმდენი ქულა დავკარგეთ, სტოკჰოლმში ფრეც გაგვიხარდებაო.

შვედ მწვრთნელთა დუეტს ნაკლებად აღელვებდა პაველ იანაშის გულისტკივილი. მათ სამი ქულა სჭირდებოდათ და კიდეც მიიღეს. აქამდე ოდენ ერთი გოლის გამშვებ პოლონეთს სტოკჰოლმში ერთბაშად სამი გაუტანეს.

მასპინძელთა თამაშის დამლაგებელი „საუთჰემპტონის“ ნახევარმცველი ანდრეას სვენსონი გახლდათ. პასებსაც უხვად არიგებდა და დუბლიც მიითვალა. სვენსონს გარჯა მალევე დაუფასდა. ტაიმის მესამედი იწურებოდა, „მეთოფე“ ფრედერიკ ლუნგბერგმა ჩვეული სისწრაფით ფლანგზე რომ ჩაირბინა და საუთჰემპტონელს დაუგორა. ირჟი დუდეკი ძლიერ და ზუსტ დარტყმულს ვერ შესწვდა.

გაშვებული გოლის შემდეგ პაველ იანაშმა შეგირდებს დაუცაცხანა, მაგრამ სტუმრები უშნოდ დაიზლაზნებოდნენ მოედანზე. მასპინძლებმა მეტოქის უსუსურობა იგრძნეს და კიდევ უფრო მეტი ჟინით შეუტიეს. შესვენებამდე სამიოდ წუთით ადრე სვენსონის დაწყებული კომბინაცია ჰენრიკ ლარსონად მონათლულმა მარკუს ოლბოკმა გააგრძელა და გოლით დაასრულა.

მეორე ტაიმში პოლონელთა თავკაცმა თავდასხმის გაძლიერება სცადა. მცველ ბაშინსკის ნაცვლად ფორვარდი ტომაშ კლოსი შეუშვა. მაგრამ ამით საქმეს მაინც ვერ უშველა. სტუმართა იერიშები დამხვდურთა მცველების, ოლაფ მელბერგისა და ანდრეას იაკობსენის ფეხებთან სრულდებოდა.

შეხვედრის დასრულებამდე ოცი წუთით ადრე დუდეკმა თავისი საფირმო ნომერი გაითამაშა: ანდრეას სვენსონის მიერ საჯარიმოს გარედან დარტყმული ბურთი ხელიდან გაუსხლტა და მესამე გოლი გაუშვა.

„ჩვენი ბედი ახლა ჩვენს ხელთაა. ეს შანსი არ უნდა გავუშვათ“ — თქვა შვედთა მწვრთნელთაგანმა ლარს ლაგერბეკმა.

„მეტოქე აშკარად დავჩაგრეთ და გამარჯვებაც დავიმსახურეთ“ — დასძინა სვენსონმა.

ამასობაში კი შვედების ცხრილში კუდზე უნგრელები დასხდნენ, რომელთაც სან მარინოს ძლევა არ გასჭირვებიათ. ლუქსემბურგი, ჩრდილოეთ ირლანდია და სან მარინო — ამ ტრიოს ჯერ გოლი არ გაუტანია.

უნგრელთა მასპინძლებმა ევროპის ჩემპიონატების შესარჩევში 33-ე მატჩი წააგეს. წააგეს, მაგრამ ერთი გოლის გატანის ასპროცენტიანი შანსი ნამდვილად ჰქონდათ.

შეცვლაზე შესულმა სტუმართა მიკლოშ ლენდვაიმ სიმონე ბაჩიოკი საპენალტედ წააქცია. „ჯუჯები“ უკვე ოთხი ბურთის სხვაობით აგებდნენ. შოტლანდიელმა მსაჯმა კენი კლარკმა, ეგებ ერთი მაინც გაიტანონო, თერთმეტმეტრიანი დანიშნა. დამხვდურთა საწყალობლად, მათ ფორვარდ ენდი სელვას დარტყმა გაუცუდდა.

სანმარინოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მხოლოდ მსაჯის იმედზე არ ყოფილან. პენალტის გარდა თამაშიდან რამდენჯერმე რეალური საგოლე მომენტიც კი შექმნეს, მაგრამ ზუსტად დასრულებაზე ნურას უკაცრავად.

უნგრელთა ლიდერობა ბრემენის „ვერდერის“ ლეგიონერმა კრისტიან ლისტემ იკისრა. ხუთი გოლიდან ოთხმა ბრემენელის ფეხზე გაიარა.

მეხუთე წუთზე ზოლტან ბოორი მცველებს დაუსხლტა და ფედერიკო გასპერონის ახლოდან გაუტანა. მალე ლისტემ ზუსტად შეასრულა საჯარიმო — ბურთი კედელს გადაავლო და მეკარისგან მალულად კარში შეაპარა.

შესვენების შემდეგ „ვერდერის“ ლეგიონერმა მასპინძლები ხელმეორედ იასპარის შექმნისას გამოაჭარა და „ზალცეგერსეგის“ ფორვარდი კრისტიან კენე გასპერონის პირისპირ შეახვედრა — 0:3.

მეოთხე თავის ანგარიშზე იმრე საბიჩმა გაიფორმა, ხოლო კარგად დაწყობილი საქმე კრისტიან ლისტემ ზუსტი დარტყმით დაასრულა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 12:2 | 11 |
| უნგრეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:4 | 11 |
| ლატვია | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| პოლონეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:4 | 7 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 0:25 | 0 |

## V ჯგუფი

# რაღაც უნდა შეიცვალოს

## ისლანდიამ ცოტა მოითხოვა და ბევრი მიიღო

**ფარერები 0:2 გერმანია**

0:1 კლოზე (89), 0:2 ბობიჩი (90)

**ფარერები:** მიკელსენი, ო. იოჰანსენი, ი. იოენსენი, ტორსტეინსონი, ი. იაკობსენი, რ. იაკობსენი, ბენიამინსენი, ი. იონსონი, ე ბორგი (ელტორი 60), იონ პეტერსენი, კ. იაკობსენი (იან პეტერსენი 77)

**გერმანია:** კანი (როსტი 46), ფრიდრიხი, რაუ (ჰარტმანი 72), ვიორნსი, რამელო, ფრაიერი, ნოივილი, კელი, ბობიჩი, შნაიდერი, იერემისი (კლოზე 65)

მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)

6 130 მაყურებელი

**ლიტვა 0:3 ისლანდია**

0:1 ტ. გუდიონსონი (60), 0:2 გუდიონსენი (72), 0:3 ჰრეიდარსონი (90)

**ლიტვა:** სტაუჩე, შემბერასი, დედურა, ბარასა (მაციულევიჩუსი 72), პეტრენკო, ჟვირგჟდაუსკასი, რ. ჟუკაუტასი (კარჩემარსკასი 70), მორინასი, იანკაუსკასი (დანილევიჩუსი 79), რაჟანაუსკასი, შკარბალიუსი

**ისლანდია:** არასონი, გუნარსონი, ვიდარსონი, ლ. სიგურდსონი, ჰრეიდარსონი, კრისტინსონი, ბერგსონი, ი. გუდიონსონი (გრეტარსონი 89), გუდიონსენი, ტ. გუდიონსონი, ჰ. სიგურდსონი (გუდმუნდსონი 82)

მსაჯი: სორინ კორპოდია (რუმინეთი)

8 000 მაყურებელი

ისლანდიელთა კაუნასურმა ტრიუმფმა ამათ ჯგუფში ვითარება საშინლად ჩახლართა. თუმცა არა, ვითარება ისედაც ჩახლართული იყო. აი, ჯგუფის მეორე შეხვედრაში ფარერელებს სასწაულისთვის რომ გამოეკრათ ხელი (რასთანაც ახლოს იყვნენ), ჩახლართვა მაშინ უნდა გენახათ. ახლა კი რა: ისლანდია მეორე ადგილზე აბრძანდა, ლიტვა მეოთხეზე ჩაცურდა.

გერმანიამ კი მოიგო და პირველია, მაგრამ ვაი, ამ მოგებას! უბალაკოდ მოთამაშე გერმანიის ნაკრებმა ფარერის კუნძულებს 89 წუთი გოლი ვერ გაუტანა და მიუხედავად იმის, რომ თამაში ცალკარა იყო, მიდიოდა რუდი ფიოლერის ბიჭებმა ულაზათოდ, მძიმედ ითამაშეს.

ფრედი ბობიჩმა ძელს გაარტყა, ოლივერ ნოივილს იაკუბ მიკელსენმა აუღო, იონ იაკობსენმა ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა, კარსტენ რამელომ ერთხელაც გააჟღერა ფარერული ძელი, მაგრამ გოლი არა და არ ჩანდა.

ბუნდესნაკრები სირცხვილისგან შეცვლაზე შესულმა მიროსლავ კლოზემ იხსნა — მან, რა თქმა უნდა, თავით გაიტანა, ხოლო საგოლე პასი ჯარიმოდან ნოივილმა უბოძა.

მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში სებასტიან კელმა დაჰკრა თავური, მიკელსენის მოგერიებული ბურთი კი ბობიჩმა აულელვებლად შეაგორა კარში.

„როგორც ველოდი, მატჩი პრობლემური გამოდგა. გოლის გატანას ვერ ვახერხებდით, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ეს დროის საკითხი იყო. ძნელია, ბრწყინავდე ისეთ მეტოქესთან, რომელიც მხოლოდ დაცვაზეა კონცენტრირებული. რაც შეეხება ტრავმირებულ ბალაკს, როცა ის არ გვყავს ან მას თამაში არ მისდის, ჩვენ ძალიან პატარები ვჩანვართ. ამის გამო რამე უნდა ვიღონოთ“ — უთქვამს მატჩის შემდეგ ფიოლერს.

გერმანულმა პრესამ ნაკრების თამაშს სამარცხვინო უწოდა. ისიც კი ითქვა, ეს ჩვენი გუნდის ყველაზე ყისმათიანი მოგება იყოო. ხოლო „ბილდმა“ თამაშს ასეთი სათაური უძღვნა: „რუდი, რაღაც უნდა შეიცვალოს“.



REUTERS ტორსჰავნიდან

ფარერები — გერმანია. შეცვლილი ოლივერ კანი უეფას წარმომადგენელს ისე მხიარულად ემუსაიფებოდა, ვინძლო, ბუნდესნაკრების გამარჯვებაში დარწმუნებული იყო

კარგა ხანს გოლი არც კაუნასში გადიოდა. კუნძულელებმა სამივე გოლი შესვენების მერე გაიტანეს, პირველი ტაიმი კი ორმხრივი შეცდომებით გამოირჩა, ბურთის დაკარგვას და არაზუსტ პასებს სათვალავი არ ჰქონდა.

ანგარიში თორდურ გუდიონსენმა გახსნა მატჩის დაწყებიდან ერთი საათის თავზე, როცა მცველებს გაეპარა და გრძელ პასს თავი შეაგება.

ამის მერე — თუმც აქ სჯობს, თავად ისლანდიელთა მწვრთნელს, ასგეირ სიგურვინსონს მოვუსმინოთ: „გოლი რომ გავიტანეთ, მეტოქე გამოცოცხლდა და წნეხში მოგვაქცია. ამის გამო ტაქტიკა შევცვალეთ და კონტრშეტევებზე გადავედით“.

ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევისას ჩელსელმა ფორვარდმა ეიდურ გუდიონსენმა ლიტველთა სიფხიზლის მორიგი მოდუნებით ისარგებლა და დაბალი დარტყმით მეორე გოლი გაიტანა.

ისლანდიელთა მესამე გოლი კი პირველის მსგავსი გამოდგა — გრძელი პასი და ზუსტი თავური, ხოლო შემსრულებელი „ჩარლტონის“ მცველი ჰერმან ჰრეიდარსონი გახდა.

ნამატჩევს ლიტველთა თავკაცმა, გერმანიასთან ფრის შემდეგ გმირად შერაცხულმა ალგიმანტას ლიუბინსკასმა თავისი გუნდის შანსები ასე შეაფასა: „მოდით, რეალისტები ვიყოთ — ჩვენ არათუ მეორე, მესამე ადგილზე გასვლის შანსიც ფაქტობრივად დავკარგეთ. დღეს კი იმიტომ დავმარცხდით, რომ პირველი გაშვებული გოლის მერე გაუმართლებელ რისკზე წავედით და ზურგი მოვიშიშვლეთ“.

ისლანდიელთა მწვრთნელმა კი დასძინა, კაუნასში ფრისთვის ჩამოვედით და სამი ქულით ვბრუნდებით, უკეთესი რა უნდა იყოსო.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| ისლანდია | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 9 |
| შოტლანდია | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| ლიტვა | 6 | 2 | 1 | 3 | 4:9 | 7 |
| ფარერები | 5 | 0 | 1 | 4 | 4:10 | 1 |



REUTERS ტორსჰავნიდან

ფარერები — გერმანია. მიროსლავ კლოზემ კუნძულელებს ნანატრი გოლი გაუტანა და მალაყი გაჰქა, ფრედი ბობიჩის ჯერი ერთი წუთის მერე დადგა

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი 11 ივნისი

## VI ჯგუფი

# დიდი აფეთქება

## IRA-ს ნურაფერს დააბრალებთ

### საბერძნეთი 1:0 უკრაინა

1:0 ხარისტიასი (86)

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, ფისასი, დაბიზასი, დელასი, კაპსისი, ზაგორაკისი (ცარტასი 72), ვრიზასი (ხარისტიასი 46), ლაკისი (ხუტოსი 65), კარაგუნისი, იანაკოპულოსი

**უკრაინა:** შოვკოვსკი, ნესმაჩნი, ფიოდოროვი, გოლოვკო, ტიმოშჩუკი, შევჩუკი, გუსინი, ზაკარლიუკა, ვორონინი, შევჩენკო, რებროვი (ვორობეი 61)

**მსაჯი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

15 000 მაყურებელი

### ჩრდ. ირლანდია 0:0 ესპანეთი

**ჩრდ. ირლანდია:** მ. ტეილორი, ბაირდი, კენედი, ა. ჰიუზი, მაკკარტნი, დ. გრიფინი, ტ. დოჰერტი (ტონერი 80), დ. ჯონსონი, ჰილი, ჯ. სმიტი (მ. უილიამსი 90), ს. ჯოუნსი (მაკვეიგი 73)

**ესპანეთი:** კასილიასი, მარჩენა, ხუანფრანი, სერხიო (ხოაკინი 66), პუიოლი, ელგერა, რაული, ბარახა, ვალერონი, ვისენტე (მორიენტესი 66), ხ. ეჩებერია (დე პედრო 79)

**მსაჯი:** კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

11 365 მაყურებელი

მატჩის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ბერძნული — კაზაკური დაშნებიც პირველი წუთებიდანვე ერთურთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეჭდვნენ.

მე-16 წუთზე სერგეი რებროვმა ანდრეი შოვკოვსკის სამეთვალყურეო არეალიდან ფრიად ახლოს წააქცია შეტევაზე წამოსული ფისასი და ბელგიელი არბიტრისგან პენალტიც დაიმსახურა. ათენელები ბედნიერი წამის მოლოდინში გაირინდნენ, მაგრამ შოვკოვსკიმ იანაკოპულოსის პენალტი მოიგერია.

თუმც ბერძენი ფეხბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ მძიმე ეპიზოდმა ისინი ვერ გატეხა, გამუდმებული შეტევები არ შეუწყვეტიათ და მოწინააღმდეგე მცველებსაც დიდი საზრუნავი გაუჩინეს. შევჩენკოს ორჯერ ჰქონდა შანსი, ტაბლოზე ანგარიში კაზაკთა სასარგებლოდ შეეცვალა, თუმცა ელინებით გარშემორტყმულმა ბურთის რიგიანად დამორჩილებას ვერ აჰერხებდა.

საერთო სურათი არც მეორე ნახევარში შეცვლილა და რომ არა, შეცვლაზე შესული ხარისტეასი, თითქოს ყველაფერი უგოლო ფრით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ დაძაბული შერკინების 87-ე წუთზე ცარტასის კარგი გადაცემის შემდეგ იღბლიანი სათადარიგო ელინი სწრაფად დაუსხლტა მცველებს და შოვკოვსკის ახლო მანძილიდან გაუტანა.

ესპანეთის ნაკრები კი თავისი შავბნელი მატჩების რიგს აგრძელებს. სარაგოსას ბერძნულ მარცხს ახლა ბელფასტის ირლანდიური ფრე მოჰყვა.

იმ თამაშით კი, რაც საესის ბიჭებმა ბელფასტში აჩვენეს, მეზობელი პორტუგალია შეიძლება ჩინეთს მიღმაც მოეჩვენოთ. აკი აღნიშნა კიდეც ესპანურმა „მარკამ", ასე ვერსად წავალთო. ისიც ეწერა, ჩვენმა ნაკრებმა ჩრდილოეთ ირლანდიაში თავი აიფეთქაო.

მატჩის გმირი კი მასპინძელთა კარის დარაჯი მაიკ ტეილორი გამოდგა. ჩრდილო კელტების მეკარეს ესპანელთა მეორე ადგილზე ჩამოქვეითებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. რაული, მორიენტესი, ბარახა, ეჩებერია — ვერც ერთმა ამ სენიორთაგან ტეილორისთვის გოლის გატანა ვერ მოახერხა.

იკერ კასილიასსაც საკუთარი მცველების გამო ხშირად უწევდა თავის გამოჩენა. მასპინძელთა შესანიშნავი კომბინაციის შედეგად სმიტი ძლიერ ახლოს იყო სენსაციურ გოლთან, მაგრამ „რეალის" ახალგაზრდა ცერბერმა და საფეხბურთო ფორტუნამ მსგავსი რამ არ ინებეს.



საბერძნეთი — უკრაინა. მასპინძელთა მონდომებამ ანდრეი შევჩენკოს იერიშებს სიმწვავე მოაკლო

ფრიად ნაღვლიანი ჩანდა ინაკი საესი: „ბელფასტის თამაშმა მიმახვედრა, რომ უფრო ბრძოლისუნარიანი ფეხბურთელები მჭირდება, რომელთა ძებნასაც უახლოეს ხანში შევუდგები."

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 6:4 | 12 |
| ესპანეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:3 | 11 |
| უკრაინა | 6 | 2 | 3 | 1 | 10:8 | 9 |
| სომხეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | 4 |
| ჩრდ. ირლანდია | 5 | 0 | 2 | 3 | 0:6 | 2 |

## VII ჯგუფი

# კინაღამ განსვენებული ერიქსონი

## თურქებს გაქართველებას უპირებენ



ინგლისი — სლოვაკეთი. მაიკლ ოუენმა საგმირო საქმეები ჩაიდინა

### ინგლისი 2:1 სლოვაკეთი

0:1 იანოჩკო (31), 1:1, 2:1 ოუენი (62პ, 73)

**ინგლისი:** ჯეიმსი, მილსი (ჰარგრივსი 43), საუთგეიტი, აპსონი, ე. კოული, ჯერარდი, ფ. ნევილი, სქოულზი, ლამპარდი, ოუენი, რუნი (ვასელი 58)

**სლოვაკეთი:** კონიგი, პეტრაში, ზემანი, ლაბანტი (დებნოვი 39), ჰანეკი, დემო (მინტალი 55), ზაბავნიკი, მიხალიკი, იანოჩკო, ვიტეკი, ნემეტი (რიტერი 75)

**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

35 000 მაყურებელი

### თურქეთი 3:2 მაკედონია

0:1 გროზდანოვსკი (23), 1:1 ნიჰათი (27), 1:2 შაკირი (29), 2:2 კარადენიზი (48), 3:2 შუქური (59)

**თურქეთი:** რუშთუ, ემრე (კარადენიზი 43), ბიულენთი, ფათიჰი, ალფაი (აჰმეთი 72), ერგუნი, ტაიფუნი (ოკან ილმაზი 46), თუგაი, ჰ. შუქური (არსლანი 78), იბრაჰიმი, ნიჰათი

**მაკედონია:** მილოშევსკი, ბოჟინოვსკი (პოპოვსკი 76), ვასოსკი, სედლოსკი, იანჩევსკი, მიტრესკი, სტოიკოვი, სუმოლიკოსკი, გროზდანოვსკი (ნუჰიი 56), შაკირი, ლაზარევსკი

**მსაჯი:** რობერტო როზეტი (იტალია)

22 000 მაყურებელი

ინგლისელებმა მეტოქეზე იერიში თავიდანვე მიიტანეს, თუმც ერთბაშად რამდენიმე ძირითადი ფეხბურთელის არყოფნა მასპინძლებს მაინც ეტყობა. ისე კი, როგორც წესი, სლოვაკებს ბურთი თავზე „დააბერტყეს", კირსებიც ატრიალებინეს ჰაერში წაღმა-უკუღმა, მაგრამ პირველ ტაიმში ვერ გაუტანეს.

დამხვდურთა შეტევები ოდნავ განელდა და სლოვაკებმა მოწინააღმდეგის ნახევარს მერელა მიაკითხეს. თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათი იყო გასული, ვლადიმირ იანოჩკომ ინგლისელი ფანები წამიერად რომ დაადუმა — დევიდ ჯეიმსის კარისკენ საკმაოდ შორიდან მზაკვრულად დაარტყა. ბურთმა ყველას და ყველაფერს გადაუფრინა და კარში შეფრინდა.

სვენ გორან ერიკსონის შეგირდებმა გასათანაბრებლად გაათკეცებით შეუტიეს, მაგრამ შესვენებამდე ამაოდ დაშვრნენ. სტუმრები კი დევიდ ჯეიმსს კიდევ ორჯერ პირისპირ შეხვდნენ და მომენტები რომ არ გაენიავებინათ, ინგლისელთა ყოფნაარყოფნის საკითხი დადგებოდა.

შარშანდელი შემოდგომა გავიხსენოთ. მაშინ ბრატისლავაშიც იგივე მოხდა. ჯერ სლოვაკები დაწინაურდნენ, მერე კი ბრიტანელებმა სათავისოდ შეაბრუნეს თამაშის ბედი.

მიდლსბროშიც ბრატისლავური სცენარი განმეორდა. გამორჩეულად მაიკლ ოუენი დაქროდა. ეს მისი 50-ე, საიუბილეო მატჩი იყო და რასაკვირველია, გოლის გატანას ეშურებოდა.

მეორე ტაიმში ოუენს გარჯა გერმანელმა არბიტრმა ვოლფგან შტარკმა დაუფასა. მისივე წაქცევისათვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი ლივერპულელმა გოლბიჭამ თავად შეასრულა და სვენ გორან ერიკსონი სახეზე ოდნავ მოფერიანდა.

მასპინძლებმა სლოვაკთა საჯარიმოში ბურთით იმდენი „ქსოვეს", სანამ მიროსლავ კონიგს მეორეც არ გაუტანეს. ლივერპულელმა წყვილმა — სტივენ ჯერარდმა და მაიკლ ოუენმა — გამარჯვების გოლი გამოჩარხა. ჯერარდის განივი პასი ბიჭმა ზუსტი თავურით გოლად აქცია.

სვენ გორან ერიკსონი: „ვამაყობ ინგლისის ნაკრებით და მისი მებრძოლი სულით. ბიჭებმა მეორე ტაიმში ბრწყინვალედ ითამაშეს. ცოტაოდენი კი ვინერვიულე, მაგრამ გამარჯვებისა მჯეროდა. მადლობა ღმერთს, რომ სლოვაკებმა ასპროცენტიანი საგოლე მომენტი გააფუჭეს. 0:3-ზე ძალიან გაგვიჭირდებოდა. ბედნიერი კაცი ვარ, რადგან უეინ რუნისა და მაიკლ ოუენის დარ ფეხბურთელებთან ვმუშაობ."

სლოვაკთა თავკაცმა ლადისლავ იურკემიკმა პენალტზე დაიწუწუნა, მსაჯმა მასპინძლებს აჩუქაო, თუმც იქვე დასძინა, ჩვენივე ბრალია, ჯეიმსთან ორჯერ პირისპირ გასვლა უნდა გამოგვეყენებინაო.

სლოვაკებისა არ იყოს მეტოქის სახელი ვერც მაკედონიელს შეაშინებს. შარშან შემოდგომაზე ინგლისში იქაურებს ქულა წაართვეს, ახლა კი კინაღამ მსოფლიოს ბრინჯაოსანი შეიწირეს.

სტამბოლში, „ინომუს" სტადიონის ტრიბუნებიდან ნასროლი ხლამი რომ არა, ეგებ სტუმრებს კიდეც ემარჯვათ. მაკედონიელებს თურქი ფეხბურთელებისა ნამდვილად არ შეშინებიათ, მაგრამ ბოთლების, ტელეფონის, ნაირ-ნაირი ბასრი საგნების წვიმაში თამაში რთულია.

შენოლ გიუნეშს ოქან ბურუქი და ილდირაი ბაშთურქი დისკვალიფიცირებული ჰყავდა. მათი შემცვლელები კი მონახა, მაგრამ ვერ გაუმართლეს. სასო ლაზარევსკიმ პირველი ტაიმის შუაში ალფაი ოზალანი და ფათიჰ აკული შეცდომაზე გამოიჭირა და ვლატკო გროზდანოვსკის საგოლე პასი უბოძა.

თურქთაგან საუკეთესო, როგორც წინა, სლოვაკეთთან მატჩში, ნიჰათ კაჰვეჩი იყო. მან ოთხიოდ წუთში საჯარიმოს გარედან საფირმო დარტყმით გაათანაბრა.

ოსმალოთა სიხარული ჯერ არ განელებულიყო, ლაზარევსკის პასით არტიმ შაკირიმ სტუმრები ისევ რომ დააწინაურა. შაკირიმ მაკედონიელ ქომაგებთან მიირბინა და თავისი ქვეყნის დროშაც გაშალა. თურქები ამის გამო და გაცოფდნენ. ამ ეპიზოდს დამხვდურთა დიდი გაშმაგება მოჰყვა. ტრიბუნებიდან ათასგვარ ნაგავს ისროდნენ. ლაზარევსკის თავში რაღაც მოხვდა და ორი წუთის განმავლობაში გონზე მოჰყავდათ.

ვითარება თითქმის უმართავი გახდა. მასპინძელი ფეხბურთელები ფანებს დაშოშმინებას სთხოვდნენ, მერე კი, რომ არ გაჭრა, სტადიონზე მიკროფონით აცხადებდნენ, არეულობას თუ არ შეწყვეტთ, მატჩი ჩაიშლებაო.

ნაგიერები რომ ოდნავ ჩაცხრნენ, თამაში განახლდა.

შესვენებამდე ემრე ბელოზოღლუც დაშავდა და შეცვალეს. ეს იღბლიანი ცვლილება გამოდგა. ნაკრებში პირველად მოთამაშე გოკდენიზ კარადენიზმა („კარადენიზ" შავ ზღვას ნიშნავს) მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაიტანა. გაიტანა და გადაირია. დარბოდა, დახტოდა, ალარავის უჩერდებოდა, გზა-კვალი აერია.

ოსმალებმა გოლის შემდეგ გაილაღეს. მალე ნიჰათის პასით „ბოსფორის ბულამაც" იხეირა. ჰაქან შუქურმა 38-ე სანაკრებო გოლი მიითვალა და ცოლს კოცნა გაუგზავნა.

შეხვედრის მიწურულს თურქებს ორჯერ კიდევ შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ ორჯერვე ცუდად დაასრულეს შეტევა.

შენოლ გიუნეში: „უმნიშვნელოვანესი სამი ქულა რთულ ბრძოლაში მოვიპოვეთ. შემადგენლობის შერჩევისას შევცდი, მაგრამ საჭირო დასკვნებს გამოვიტან და აღარ გავიმეორებ. თუმცა მთავარია, რომ ბიჭები ყოველთვის მოსაგებად არიან შემართულნი. გამარჯვების სურვილი მათ უკვე სისხლში აქვთ."

სანამ თურქები ხარობდნენ, უეფას სტადიონზე ნასროლი საგნების შესახებ აცნობეს. უეფას საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა მაიკ ლიმ გუშინვე განაცხადა, რომ მომხდარის საფუძველზე გამოძიება უკვე დაიწყეს და გამორიცხული არაა, თურქებს ბოლო საშინაო მატჩის გამართვა ინგლისელთა წინააღმდეგ ცარიელი ტრიბუნების თანხლებით მოუწიოთ.

**რომან თურძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:5 | 15 |
| ინგლისი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 13 |
| სლოვაკეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 8:8 | 6 |
| მაკედონია | 6 | 1 | 2 | 3 | 9:11 | 5 |
| ლიხტენშტაინი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:15 | 1 |



ნიჰათმა გოლი გაიტანა და კაცის მკვლელის სახე მიიღო

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი 11 ივნისი

## VIII ჯგუფი

# ხორვატთა აღმოჩენა: ესტონეთი ძლიერი გუნდია

## ანდორას აღმოჩენა არ სჭირდება

**ესტონეთი 0:1 ხორვატია**

0:1 კოვაჩი (77)
**ესტონეთი:** პოომი, ალასი (ზაჰოვაიკო 82), სტეფანოვი, პიიროია, უ. როობა, ლეეტმა, მ. როობა (რეიუნმაე 71), კრისტალი, ზელინსკი, ოპერი, ლინდპერე (ლემსალუ 83)
**ხორვატია:** პლეტიკოშა, შიმიჩი (ტ. მარიჩი 61), შიმუნიჩი, ბაბიჩი (ლეკო 73), ტომაში, ჟივკოვიჩი, რაპაიჩი (როსო 79), სრნა, პრსო, ნ. კოვაჩი, ოლიჩი
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
6 000 მაყურებელი

**ბელგია 3:0 ანდორა**

1:0 გოორი (20), 2:0 სონკი (44), 3:0 გოორი (58)
**ბელგია:** დე ფლიგერი, დე კოკი, ტ. სიმონსი, ვან ბუიტენი, დეედენი (ვანდერჰიდენი 79), კლემენტი, ბასეჯიო, გოორი (სოტერსი 83), სონკი, ბუფელი (ს. მარტენსი 73), მ. მპენზა
**ანდორა:** პოლი, აიალა, ჩემა, ხონასი, ა. ლიმა, ი. ლიმა, გონსალესი (ალვარესი 70), ხული სანჩესი (ესკურა 58), ფერნანდესი, სონეხე (ლუჩენდო 81), მონტვანი
მსაჯი: სერგეი შმოლიკი (ბელარუსი)
12 000 მაყურებელი

ნიკო კოვაჩის გოლის წყალობით ბულგარელებმა ზურგს უკან ხორვატთა სუნთქვა იგრძნეს. ესტონეთის ძლევის შემდეგ ხორვატები ერთი ქულითღა ჩამორჩებიან ჯგუფის ლიდერს და მეორე-მესამეობას იყოფენ ბელგიელებთან, თუმცა ერთი თამაში მარაგში აქვთ.

ტალინის „ა ლე კოქ არენაზე" ხორვატებმა პირველივე წუთებიდან ხელთ იგდეს მატჩის სადავეები, მაგრამ ესტონელთა მეკარე მარტ პოომის ყოჩაღობის გამოისობით გოლამდე დიდხანს მოუხდათ ცდა. ნიკო კოვაჩმა კუთხურს მოყოლებული თავურით 77-ე წუთზე გაიტანა.

„ურთულესი მატჩი გვქონდა — აღიარა სტუმართა მწვრთნელმა ოტო ბარიჩმა — ესტონელებს საკმაოდ მაღალი კლასის გუნდი ჰყავთ, მაგრამ გამარჯვება ნაღდად დავიმსახურეთ."

პოომის გარდა ესტონელები ერთხელ მარკო კრისტალმაც გადაარჩინა, როცა კარში მიმავალ ბურთს ზედ ხაზზე გადაეფარა. საგოლე შანსი კი ბალტიელებს წამატებულ წუთებშიღა მიეცათ, როცა შეცვლაზე შესული ვიაჩესლავ ზახოვაიკოს დარტყმულს მეკარე პოტიკოშა დიდებულ ნახტომში გადაეფარა.

ესტონელთა მწვრთნელმა არნო პიიპერსმა კი ჯერ პოომი შეაქო და მერე დასძინა, მთელი მატჩი ისე რომ გვეთამაშა, როგორც ბოლო 25 წუთში შევძელით, საბოლოოდ სულ სხვა ანგარიშს მივიღებდითო.

გენტურ მატჩზე კი, ცხადია, ვრცელ და დეტალურ მიმოხილვას არ ელოდებით. ან რა უნდა ვთქვათ? ის, რომ ბელგიამ იოლად დაამარცხა პაწაწინა და უსუსური ანდორა? ეგ ხომ ისედაც იცოდით, ეგრე რომ იქნებოდა. ამიტომ უბრალოდ აღვნიშნოთ, რომ მასპინძელთა გოლებიდან ორი ბარტ გოორმა გაიტანა, ერთიც — უესლი სონკმა. და ერთიც — რომ არა ანდორელთა მეკარე აგუსტი პოლის სიჩაუქე, ანგარიში ბევრად დიდი იქნებოდა.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| ხორვატია | 5 | 3 | 1 | 1 | 7:2 | 10 |
| ბელგია | 6 | 3 | 1 | 2 | 7:8 | 10 |
| ესტონეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:2 | 8 |
| ანდორა | 6 | 0 | 0 | 6 | 1:12 | 0 |


REUTERS

ბელგია — ანდორა. ამ ფოტოს შეხედავთ და იფიქრებთ, უესლი სონკს (№ 9) და სტუმარ რობერტო ალონსოს ფიცხელი ბრძოლა გადახდათო. მსგავსი არაფერი ყოფილა

## IX ჯგუფი


REUTERS

ფინეთი — იტალია. მიკა ვაირინენს კრისტიანო ძანეტი კი გაექცა, მაგრამ ბურთი მაინც არ დაანება

# სკუადრას მენიუ ეგემრიელა

**ფინეთი 0:2 იტალია**

0:1 ტოტი (32), 0:2 დელ პიერო (73)
**ფინეთი:** იასკელაინენი, პასანენი, საარინენი, ჰიიპია, ტიჰინენი, ვალაკარი (რიიჰილაჰტი 82), ნურმელა (კოპტეფი 69), ვაირინენი, ფორსელი, ლიტმანენი, კოლკა (ჯ. იოჰანსონი 79)
**იტალია:** ბუფონი, პანუჩი, ნესტა, კანავარო (ლეგროტალიე 90), ძამბროტა, პეროტა, ძანეტი, ფიორე (ოდო 83), ტოტი, დელ პიერო, კორადი (დელვეკიო 85)
მსაჯი: ჟელკო სირიჩი (ხორვატია)
36 850 მაყურებელი

**აზერბაიჯანი 2:1 სერბეთი**

0:1 ბოშკოვიჩი (27), 1:1 გ. გურბანოვი (88პ), 2:1 ალიევი (90)
**აზერბაიჯანი:** კრამარენკო, აგაევი (ტაგიზადე 84), კერიმოვი, ახმედოვი, ე. გულიევი, კ. გულიევი, მ. გურბანოვი, გ. გურბანოვი (იადულაევი 90), სადიხოვი, ალიევი, მუსაევი (ისმაილოვი 59)
**სერბეთი:** ჟევრიჩი (ზილიჩი 46), მირკოვიჩი, მალბასა, ნიეგუსი, ნ. ჯორჯევიჩი, მიატოვიჩი (ნ. კოვაჩევიჩი 68), ვუკიჩი, დულიაი (მილოშევიჩი 88), დ. კოვაჩევიჩი, ბოშკოვიჩი, კრსტაიჩი
მსაჯი: კნუდ-ერიკ ფისკერი (დანია)
3 500 მაყურებელი

ფრანჩესკო ტოტის და ალესანდრო დელ პიეროს გოლებმა „სკუადრა აძურას" მეტად მნიშვნელოვანი სამი ქულა მოუტანა, თუმცა ისიც ვთქვათ, რომ ეს არ ყოფილა იოლი გამარჯვება.

ყოფილ იუგოსლავიელთა დამარცხების შემდეგ (რომელსაც ყველა ამარცხებს) ფინელებს მადა გაეხსნათ და მათ თვალსაწიერზე პორტუგალია ნათლად გამოჩნდა. იტალიაც და... მოკლედ, ანტი მიურინენმა სერბებთან გამარჯვებული შემადგენლობა არ შეცვალა და გუნდი 4-2-3-1 სქემით ათამაშა, რომელშიც გამოკვეთილი ცენტრფორვარდის ადგილი მიხაელ ფორსელმა დაიკავა. ჯოვანი ტრაპატონიმაც იგივე სქემა აირჩია, ოღონდ წინ დაშავებული კრისტიან ვიერის ნაცვლად ბერნარდო კორადი გაამწესა, რომელმაც, თუ გახსოვთ, ფინელებს საშინაო მატჩში ორი გოლი გაუტანა.

მატჩის მენიუში, განსაკუთრებით საწყის წუთებში, მთავარი კერძი შეტევა გახლდათ. ორივე გუნდი სწრაფი გოლით ცდილობდა ლიდერთან მიახლოვებას, ჯგუფის ლიდერი კი, მოგეხსენებათ, უელსია.

მე-15 წუთზე ფორსელმა ყუმბარისებური დარტყმით, ჯანლუიჯი ბუფონის კარის ბადე შეარხია, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა, ხორვატმა ჟელიკო შირიჩმა მყისვე ალამი აღმართა — იქამდე ბურთი კუთხურზე გასულა. მასპინძლები ამ ფაქტმა ვერ დაალონა და იმავე კუთხურიდან იმავე ფორსელმა კინაღამ გაიტანა. ამჯერად ბუფონმა ივარგა. მთლიანობაში კი იტალიელთა მეკარეს ბლომად საქმე ჰქონდა, თუმც 32-ე წუთზე ბურთი მისი ფინელი კოლეგის კარში აღმოჩნდა.

ასე მოხდა: კრისტიან პანუჩი მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და საჯარიმოში გამოზომილი პასი მისცა ფრანჩესკო ტოტის. ტოტიმ კი ისეთი საშინელი ძალით დაარტყა, მეკარე იუსი იესკელიანენს ლამის ხელები მოაწყვიტა და ბადე გაგლიჯა.

რამდენიმე წუთში თავად პანუჩის შეეძლო გატანა, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი მცველმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა.

შესვენების შემდეგ იტალიელებმა — და ეს გასაკვირი არ არის — ყურადღება თავდაცვაზე გადაიტანეს, შეტევაში კი სწრაფი კონტრიერიშებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. მიზანთან ახლოს იყვნენ ტოტი და დელ პიერო, თუმცა სიზუსტე აკლდათ.

თამაშის დასრულებამდე ოციოდე წუთით ადრე ფინელთაგან იოონას ფოლკას ჰქონდა ბრწყინვალე მომენტი, რომელიც საპასუხო გოლად ოდენ ჯანლუკა ძამბროტას თავგანწირვამ ვერ აქცია. მალე კი სტუმრებმა მეორეც გაიტანეს.

მაგრამ სანამ გოლს აღვწერდეთ, გავიხსენოთ, რომ მატჩამდე ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა ტოტი — დელ პიეროს წყვილს. ამბობდნენ, ისინი შეთამაშებულები არ არიან და მათი შეწყვილებით სარგებელი ნაკლები იქნებაო. ახლა კრიტიკოსები უნდა გაჩუმდნენ: „რომას" გამთამაშებელმა საკუთარი ნახევრიდან შენიშნა მარჯვენა ფლანგზე უმეთვალყურეო ტურინელი, უზუსტესი პასიც მისცა, დელ პიერო კი სრული სისწრაფით შეიჭრა საჯარიმოში და მეკარე ბარიერად არ გაიხადა.

ამის მერე იტალიელები საათზეღა იყურებოდნენ.

ახლა ვითარება ისეთია, რომ იტალია ორი ქულით ჩამორჩება თამაშნაკლულ უელსს, ფინელებმა კი პირველ ადგილზე გასვლის შანსი დაკარგეს და პლეი ოფისთვის თუ იბრძოლებენ — ესეც საეჭვოა.

მეორე მატჩის შედეგი კი, სატურნირო თვალსაზრისით, ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო — აზერბაიჯანის ჯგუფიდან გასვლა ისედაც ფანტასტიკა იყო და ყოფილ იუგოსლავიელებსაც არ ჰქონდათ ამის დიდი შანსი. შედეგი სხვა მხრივ იყო მნიშვნელოვანი: ერთი, რომ აზერბაიჯანმა ისტორიული გამარჯვება მოიპოვა, მეორე მხრივ, ექსიუგთა მწვრთნელი დეიან სავიჩევიჩი შეიწირა.

ისე, თუ გახსოვთ, ამათ პირველ მატჩშიც, პადგორიცაში, სერბები და ჩერნოგორიელები 2:0 იგებდნენ და ყურბან ყურბანოვის დუბლით ფრესლა დასჯერდნენ. არადა, ვინ იფიქრებდა, რომ სერბები საევროპო ბრძოლას აზერბაიჯანელებთან დაკარგული ხუთი ქულის გამო ჩამოშორდებოდნენ.

თუმცა, პირველი მატჩის მსგავსად, ანგარიში ბაქოშიც სლავებმა გახსნეს. გოლი „ცრვენა ზვეზდას" ფორვარდმა ბრანკო ბოშკოვიჩმა გაიტანა.

აღვნიშნოთ, რომ წინა შაბათს, ფინელებთან, დისკვალიფიკაცია აიკიდა სინიშა მიხაილოვიჩმა, მაგრამ ამ ფაქტს სტუმართათვის ხელი არ შეუშლია თამაშის კონტროლში.

სერბთა საჯარიმოში ცა ბოლო ოთხ წუთში მოიქუფრა, მას მერე, რაც არცთუ უკამათო ეპიზოდში მსაჯმა პენალტი დანიშნა, ყურბანოვმა კი ზუსტად დაარტყა.

აბა, სტუმრები ამას როგორ წარმოიდგენდნენ და დარჩენილ დროში ქაოსური იერიშებით სცადეს თამაშის გადარჩენა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ხომ იცით, როგორც ხდება: აფორიაქებულ ბალკანელებს შეცვლაზე შესულმა ფარუხ ისმაილოვმა გამარჯვებისა გაუტანა.

მატჩის გმირმა მოგვიანებით თქვა: „ეს მთელი აზერბაიჯანის გამარჯვებაა. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ პირველ მატჩში ფრისთვის შემთხვევით არ მიგვიღწევია".

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 12 |
| იტალია | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 10 |
| ფინეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:8 | 6 |
| სერბეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| აზერბაიჯანი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:14 | 4 |


REUTERS

ფინეთი — იტალია. მასპინძლებმა ჯანლუიჯი ბუფონს მოსვენება არ მისცეს

# იგნაშევიჩი აღარ დადგა



„ლოკომოტივი" „სპარტაკს" იოლად გადაახტა

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XII ტური

**ლოკომოტივი 2:1 სპარტაკი**
1:0 იგნაშევიჩი (15), 2:0 ევსეევი (43), 2:1 ბარანოვი (52)

**ჩერნომორეცი 1:0 რუბინი**
1:0 ტერიოხინი (30)

**კრილია სოვეტოვი 0:0 ურალანი**

**როსტოვი 1:1 დინამო**
0:1 კორჩაგინი (12), 1:1 ადამოვი (20პ)

**სატურნი 4:1 როტორი**
1:0 ბისტროვი (14), 2:0, 3:0, 4:0 მედვედევი (81, 84, 88), 4:1 ტრიფონოვი (90)

**სპარტაკ-ალანია 0:2 ზენიტი**
0:1 სპივაკი (71), 0:2 დენისოვი (90)

**ცსკა 2:2 შინიკი**
0:1 რუბინსი (16), 0:2 კუშევი (45), 1:2 კირიჩენკო (57), 2:2 გუსევი (61)

**ტორპედო-მეტალურგი 0:0 ტორპედო**

მოსკოვში დერბი გაიმართა. შარშანდელი ლიდერები, დღეს კი მაჩანჩალანი ერთმანეთს „ლოკომოტივის" სტადიონზე შეხვდნენ. რკინიგზელები ამ სეზონში ცუდად თამაშობენ, „სპარტაკი" — კიდევ უფრო უარესად. მიუხედავად ამისა, მატჩს გულშემატკივარი არ მოჰკლებია. ლუდ-არყით გაჟღენთილთა გასაკონტროლებლად ითხასამდე სამხედრო ფორმიანი, ორმოცამდე ცხენოსანი პოლიციელი და ასამდე სპეცდანიშნულების რაზმელი მიადგა სტადიონს, თუმცა ფანებს არ აურევიათ.

ქვეყნის ჩემპიონმა მეტოქეზე უკეთ დაიწყო და დაახლოებით ოცი წუთის განმავლობაში „სახალხო გუნდს" საკუთარი საჯარიმოდან ცხვირი არ გამოაყოფინა.

„ლოკოს" პირველივე შეტევა კინაღამ გოლით დასრულდა. დიმიტრი ლოსკოვმა მარატ იზმაილოვისგან კარგი პასი მიიღო და კარგადაც დაჰკრა. კარში მიმავალი ბურთი გზად მცველს გადაეყარა და მოედნის მიღმა აღმოჩნდა.

სპარტაკელთა მაროკოელ მეკარე ბაგის თავის მოსაფხანი დრო ნამდვილად არ ჰქონდა. ტაიმის მესამედი მილეულიყო. მოიზესს ფლანგზე ბურთი ლეკხეტომ აართვა, გვერდით ხაზთან ჩაიჩავარდა, ცენტრიდან ჩარბენილი სერგეი იგნაშევიჩი დალანდა და დასარტყმელადაც დაუგორა. შვეიცარიელებთან რუსეთისა და ვალერი გაზაევის მხნელმა ხუთი დღის მანძილზე მესამე გოლი მიითვალა. იგნაშევიჩმა ბაგის მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანა.

ოლეგ რომანცევის „თეთრ-წითლებმა" ამის შემდეგლა იკადრეს „ლოკომოტივის" სანახებში გადასვლა. მათი ერთ-ერთი შეტევა რკინიგზელთა საჯარიმოში შექმნილი „აჯაფსანდლით" დასრულდა და დიმიტრი სენიკოვს გაუმართლა, საკუთარ კარში რომ არ შეაგდო. ბურთი ხარიხამ აისხლიტა.

მალე სპარტაკელებმა ჩვეული კედელი გაითამაშეს და კოვტუნი ხელსაყრელ პოზიციაში დატოვეს. გოლი გარდაუვალი ჩანდა, რადგან ოვჩინიკოვმა კოვტუნის დარტყმულზე რეაგირება ვერ მოასწრო. სამაგიეროდ, ბურთი კარის ხაზზე ჩასაფრებულმა ლოსკოვმა მოიგერია.

„სახალხო გუნდმა" ტაიმის მიწურულს მოქმშპეს მძლავრად შეუტია. თითქოს გოლი ჩემპიონის კარში უნდა გასულიყო, მაგრამ პირიქით მოხდა.

ეგორ ტიტოვმა რკინიგზელთა კონტრიერიში საკუთარ საჯარიმოსთან ჩაშალა, მაგრამ ბურთი კვლავ ლოკომოტიველ ვადიმ ევსეევს მიუცუცქდა. მან კარისკენ ზურგით მდგომ უინსტონ პარკსს დაუგორა, რომელმაც ქუსლით სინქარუკარეული ევსეევს დაუბრუნა. მის დარტყმულს მაროკოელი მეკარე ვერ შეწვდა — 2:0.

შესვენებამდე სპარტაკელთაგან მხოლოდ ვეტერანმა ვასილი ბარანოვმა გაიფაფხურა — შორიდან სცადა ბედი, მაგრამ ბურთს უხეიროდ დაჰკრა.

მეორე ნახევრიდან „სახალხო გუნდმა" ღონივრად შეუტია და ოვჩინიკოვი ზედიზედ სამჯერ დაასაქმეს. ალექსანდრ დანიშევსკის, მოიზესისა და ეგორ ტიტოვის განატყორცნი ბურთები რუსთა ნაკრების მეკარემ მოიგერია.

ოლეგ რომანცევის გუნდს მონდომება მაინც დაუფასდა. ერთ-ერთი გაჭიანურებული შეტევისას დიმიტრი სმირნოვმა ბარანოვს დაუგორა და მანაც საკმაოდ მახვილი კუთხიდან გაიტანა — 2:1.

დარჩენილ დროში „სპარტაკის" ყველა მცდელობა ანგარიშის გათანაბრებისა ამაო გამოდგა.

შეხვედრის მიწურულს ჯერ იზმაილოვმა, მერე კი სენიკოვმა ორი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი დაღუპეს და ოლეგ რომანცევი დიდი სხვაობით მარცხს გადაურჩება.

ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას" ახალმა მწვრთნელმა, იგორ იანოვსკიმაც ვერ უშველა. გუნდმა ყველაზე მეტი, 8 მარცხი მოაგროვა 12 შეხვედრაში.

სანკტ პეტერბურგის „ზენიტისა" და ვლადიკავკაზელთა მატჩის სანახავად მისულ ქომაგთა უმეტესობას სტადიონზე ჩათვლიმა, რადგან საინტერესო არაფერი მომხდარა. პეტერბურგელები მასპინძელთა ვაი-შეტევებს გაუმკლავდნენ და მეორე ტაიმის ბოლო თხუთმეტ წუთში კერჟაკოვის ორი საგოლე პასით სამი ქულა მიითვალეს.

მოსკოვის „დინამო" როსტოვში იქაურებთან ფრეს დასჯერდა, რითაც რამენსკოეს „სატურნმა" ისარგებლა, ვოლგოგრადის „როტორი" დედაქალაქის მისადგომებიდან გაანადგურა და მეორე ადგილზე წამოსკუპდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 12 | 9 | 2 | 1 | 23:10 | 29 |
| სატურნი | 12 | 6 | 4 | 2 | 19:11 | 22 |
| დინამო | 12 | 6 | 3 | 3 | 24:12 | 21 |
| ზენიტი | 12 | 5 | 3 | 4 | 10:15 | 18 |
| როსტოვი | 12 | 4 | 6 | 2 | 12:11 | 18 |
| კრილია | 12 | 4 | 5 | 3 | 16:10 | 17 |
| ტორპედო | 12 | 4 | 4 | 4 | 14:14 | 16 |
| რუბინი | 12 | 4 | 4 | 4 | 12:12 | 16 |
| ლოკომოტივი | 12 | 4 | 3 | 5 | 15:17 | 15 |
| ჩერნომორეცი | 12 | 3 | 6 | 3 | 13:14 | 15 |
| შინიკი | 12 | 2 | 8 | 2 | 15:13 | 14 |
| როტორი | 12 | 3 | 4 | 5 | 14:17 | 13 |
| სპარტაკი | 12 | 3 | 4 | 5 | 14:17 | 13 |
| ალანია | 12 | 4 | 0 | 8 | 9:23 | 12 |
| ტ მეტალურგი | 12 | 2 | 4 | 6 | 10:11 | 10 |
| ურალანი | 12 | 1 | 4 | 7 | 5:18 | 7 |

Copa Toyota Libertadores 2003

## ლიბერტადორესის თასი 2003

### ნახევარფინალი. 1 მატჩი

**ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 2:0 ამერიკა დე კალი (კოლუმბია)**

1:0 სკიავი (41), 2:0 ტევესი (89)

ბოკა ხუნიორსი: აბონდანსიერი, იბარა, სკიავი, ბურდისო, კ. როდრიგესი, ბატალია (რ. ესტევესი 88), კასკინი, კანია (ვილიარეალი 61), დონეტი (კანეო 46), მარსელო დელგადო, კ. ტევესი

ამერიკა დე კალი: საპატა, პ. ნავარო, ტიერადენტრო, ა. გონსალესი, ბუსტოსი, კ. ანგულო, ფ. ვარგასი, ჯ. კანო, დ. ფერეირა, ხ. კასტილიო, ვასკესი (ლ. მორენო 71)

გაძევება: იბარა (82), კასტილიო (82), ბუსტოსი (86)

მსაჯი: ეპიფანიო გონსალესი (პარაგვაი)

55 000 მაყურებელი



როლანდო სკიავი

# ჩასცხე მაგას!

## ჩხუბი კოლუმბიელთა წესია

**საშინაო** მატჩში მოპოვებული ორბურთიანი უპირატესობა ვინძლო საკმარისი აღმოჩნდეს „ბოკა ხუნიორსისთვის" ლიბერტადორესის თასის ფინალში გასასვლელად. „ბოკა", არგენტინის ყველაზე პოპულარული კლუბი, ოთხჯერ ფლობდა სამხრეთ ამერიკის უმთავრეს თასს, მაშინ როცა მისი მეტოქე „ამერიკა" სულაც პირველად გავიდა ნახევარფინალში. ისიც აღსანიშნავია, რომ კოლუმბიელებმა ზედიზედ მეორე მატჩი ჩაამთავრეს ცხრა ფეხბურთელით — მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრაში, არგენტინულსავე „რივერ პლეიტთან" მათ ხელჩართული ჩხუბისთვის ორი ფეხბურთელი გაუგდეს და მწვრთნელიც ზედ მიაყოლეს.

ამჯერადაც გაგდების მიზეზი ჩხუბი გახდა. ბოკელმა მარჯვენა მცველმა უგო იბარამ ხაირო კასტილიო დასცა, რის პასუხადაც მკერდში წყვილი წიხლი მიიღო. ცხადია, რომ ინციდენტი ამით არ ამოიწურებოდა, ჯგუფურ ჩხუბში გადაიზარდა და ორივე მოთავე ფეხბურთელი გააძევეს, თამაშის განახლება კი ხუთი წუთის დაგვიანებით მოხერხდა.

თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე კი რუბენ ბუსტოსმა კარლოს ტევესი სცემა, ჩემი თანაგუნდელი პაბლო ნავარო რად წააქციეო. ბუსტოსიც გასახდელის გზას გაუყენეს.

ამ გაძევებების შემდეგ, ბოლოსწინა წუთზე, დაჩაგრულმა ტევესმა „ბოკას" მეორე გოლი გაიტანა: სამი მცველი დაიბრიყვა, მეკარე რობინსონ საპატა კარიდან უალაგოდ გამოვარდნილი შენიშნა და ისიც იოლად დაჯაბნა.

როგორც აღვნიშნეთ, ეს „ბოკას" მეორე გოლი იყო, ანგარიში კი პირველი ტაიმის მიწურულს როლანდო სკიავიმ გახსნა — უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა მარსელო დელგადოს ზუსტის პასი შეირგო.

დავძინოთ, რომ არგენტინელებს ამ მატჩში აკლდათ მთავარმეგოლე გილერმო ბაროს შელოტო, ხოლო „ლა ბომბონერას" მინდორი თამაშის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე ფერადფერადი ფურცლებით მოიფინა, როგორც არგენტინელებს სჩვევიათ-ხოლმე. პირველი გოლის მერე კი, ტრიბუნებიდან რაიმეს გარჩევა საძნელო საქმე შეიქნა, გიჟმაჟმა გულშემატკივრებმა მაშხალებით ისეთი ბოლი დააყენეს.

**კოტე კეკელია**



REUTERS

მაივონ დუგლასმა და ლუიზაო და სილვამ თასი ჩაიბარეს

# ლუშემბურგომ გაიხარა

## ბრაზილია

### თასის ფინალი
### საპასუხო მატჩი

**კრუზეირო 3:1 ფლამენგო (1:1)**

1:0 დეივიდი (1), 2:0 არისტიზაბალი (15), 3:0 ლუიზაო (28), 3:1 ფერნანდო ბაიანო (64)

„**კრუზეირომ**" 3:1 მოუგო „ფლამენგოს" ბრაზილიის თასის საპასუხო მატჩში და თასსაც დაეუფლა. პირველი მატჩი რიო დე ჟანეიროს „მარაკანაზე" 1:1 დასრულდა და ორი მატჩის ჯამში გამარჯვებული „კრუზეირო" დარჩა.

„კრუზეიროს" და ნაკრების ყოფილი სკანდალური მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგო ამ ტიტულით მეტად გახარებული დარჩა. „კოპა ბრაზილი" 1989 წლის შემდეგ ტარდება და „კრუზეირომ" იგი მეოთხედ მოიგო, რითაც კიდევ ერთხელ დაიმტკიცა სათასო გუნდის რეპუტაცია. თანაც, ამ თასის მოგებამ „კრუზეიროს" გზა გაუხსნა კიდევ ერთი თასისკენ — საგაისოდ „კრუზეირომ" ლიბერტადორესის თასის საგზურიც დაიბევა.

ლუშემბურგოს ხელქვეით, მელიებად წოდებულმა კრუზეიროელებმა იანვრის შემდეგ ერთადერთხელ წააგეს.

საპასუხო სათასო თამაშში „კრუზეირომ" ნახევარ საათში გაურკვია „მენგოს", ვინ იქნებოდა თასის მფლობელი. დეივიდის, კოლუმბიელი ვიქტორ უგო არისტასაბალის და ტრავმის შემდეგ მობრუნებული ლუიზაოს სამმა ზუსტმა თავურმა სათამაშო თითქმის აღარ დატოვა. ფერნანდო ბაიანოს ერთადერთი საპასუხო, ცხადია, პრესტიჟისა უფრო იყო.

**ლუკაუ დე მოზკაუ**

## ამხანაგური მატჩები

**ჰონდურასი 1:2 ჩილე**
1:0 პინედა (16), 1:1 ე. ტაპია (45პ), 1:2 მ. გონსალესი (60)

**ეკვადორი 2:2 პერუ**
1:0 ო. ტენორიო (26), 1:1 რ. სილვა (42), 1:2 ა. მენდოსა (55), 2:2 ო. ტენორიო (61)

**იაპონია 0:0 პარაგვაი**

**სამხრეთ კორეა 0:1 არგენტინა**
0:1 სავიოლა (43)

**ნიგერია 0:3 ბრაზილია**
0:1 გილი (34), 0:2 ლუის ფაბიანო (38), 0:3 ადრიანო ლეიტე (81)

ნიგერია: ენიეამა, ენახირე, იკონგი, ორჯინტა, უდეზე, ოკორონკვო, უტაკა, ოკოჩა, ლავალი, აიეგბენი (ობოდა 46), კანუ (ნვორგუ 85)

ბრაზილია: დიდა, ბელეტი (ედუარდო კოშტა 75), ლუსიო, ჟუანი (ფაბიო ლუსიანო 86), კლებერი (ჟილბერტო სილვა 81), ემერსონი, კლებერსონი, რიკარდინიო, რონალდინიო, ლუის ფაბიანო (ადრიანო ლეიტე 71), გილი (ადრიანო დე სოუზა 71)

მსაჯი: ალექს კვარტი (განა)

30 000 მაყურებელი

სიახლე საქართველოში!
35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები,
აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის,
ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით,
საცალო და საბითუმო ფასებში
სარო-არტპრინტი
ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები



## ნილს ლიდჰოლმი
# მოხუცი ბარონი ვენახში

მან ბურთი მიიღო, თავი ასწია, თანაგუნდელთა და მეტოქეთა განლაგებას თვალი შეავლო და... პასი შეცდომით გადააწოდა. აი, აქ დაიწყო სასწაული: თითქოს ნიშანი მისცესო, მთელი სტადიონი ფეხზე წამოიჭრა, რათა ხუთ წუთიანი ოვაცია მოეწყო. გულშემატკივარი თავგადაკლული უკრავდა ტაშს თავის საყვარელ ფეხბურთელს, რომელმაც ბურთი შეცდომით მოწინააღმდეგეს მიაწოდა — უკრავდა, რადგან მან რვა წლის განმავლობაში პირველად ვერ გათვალა პასის სიზუსტე. უკრავდა, რადგან ამით რვა წელიწადს აჯამებდა.

ნილს ლიდჰოლმმა იმ დღის შემდეგ კიდევ ოთხი წელიწადი დაჰყო „სან სიროზე". შვედი „მილანის" ლიდერი გახლდათ.

ასეთია ლეგენდა, რომელიც, ალბათ, ძალიან ახლოსაა სინამდვილესთან და ასეთი იყო ნილს ლიდჰოლმი, გონივრული ფეხბურთის დიდოსტატი, გამთამაშებელი და ფორვარდი, ადამიანი, რომელმაც დიდი კარიერა განვლო და საყვარელ საქმეს ღრმა კვალი დააჩნია.

ლიდჰოლმი სამშობლოდან იტალიაში 26 წლისა გადაბარგდა. ამ დროისთვის მას „ნორჩიოპინგის" შემადგენლობაში უკვე ორგზის ჰქონდა მოპოვებული ჩემპიონის ტიტული და 1948 წლის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალოსანიც გახლდათ. ერთი სიტყვით, ჭაბუკი და გამოუცდელი არ ყოფილა, სამაგიეროდ ახალ სიმაღლეებთან ჭიდილის წყურვილით გახლდათ შეპყრობილი. ეს მოხდა 1949 წელს, მისი „სან სიროდან" წასვლამდე 12 წლით ადრე.

მაშინ „შავ-წითლებს" გუნდის უცხოურ ტრიოზე აგების პირველი მცდელობა ჰქონდათ და ეს ტრიო ლიდჰოლმისგან, გუნარ გრენისა და გუნარ ნორდალისგან შედგებოდა. ნორდალი გოლდამშენი გახლდათ, გრენი ტაქტიკოსი ფეხბურთელი, ლიდჰოლმი კი ყველაფერი პლუს დაუმარცხებელი ბუნება. ტრიოს მილანში გრე-ნო-ლის უწოდებდნენ. და მართალია, ეს წერილი „მილანს" არ ეძღვნება, მაგრამ ბარემ ხელსაყრელი მომენტია და გავიხსენოთ 80-იანი წლების ბოლო, როდესაც „შავ-წითლებმა" მორიგი ტრიო, რუუდ გულიტი, ფრანკ რაიკარდი და მარკო ვან ბასტენი გამოძებნეს, რათა მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ულამაზესი და უძლიერესი გუნდი შეექმნათ.

მაგრამ ჩვენ პირველ ტრიოს, უფრო სწორად კი ლიდჰოლმს დავუბრუნდეთ: 50-იან წლებში „მილანმა" ოთხჯერ მოიგო სკუდეტო, ხოლო საერთაშორისო ასპარეზზე კინაღამ ჩემპიონთა თასი მოიპოვა — 1958 წელს, შეჯიბრების ფინალში მხოლოდ დამატებით დროში დამარცხდა, და თუ იკითხავთ ვისთან, ეს დამარცხება აღარ გაგიკვირდებათ, დი სტეფანოს თაობის მადრიდის „რეალთან".

183 სანტიმეტრიანი სიმაღლის, 82 კილოგრამიანმა სპორტსმენმა „მილანის" შემადგენლობაში 350 შეხვედრა ჩაატარა და 81 გოლი გაიტანა, თუმცა ეს შთამბეჭდავი მონაცემები მაინც სტატისტიკაა და ასეთის მოტანა სხვა მოთამაშეებზე საუბრისასაც შეიძლება. სხვა საქმეა, მისი პიროვნება და მნიშვნელობა — სწორედ იგი გახლდათ ერთ-ერთი პირველი ფეხბურთელთაგან, რომელმაც გამძლეობისა და ფიზიკური მომზადების მნიშვნელობა შეიგრძნო. იგი მიხვდა, რომ იმის მისაღწევად, რაც სურდა, დამატებითი დატვირთვა და ვარჯიში იყო საჭირო.

„იმხანად ფეხბურთელები კვირაში ერთი-ორჯერ ვარჯიშობდნენ, მე კი ფიზიკური წვრთნის ორი გაკვეთილიც დავიმატე. კერძოდ, დავრბოდი 100 და 300 მეტრზე, ვვარჯიშობდი ბირთვისა და შუბის ტყორცნაში, სიმაღლეზე ვხტებოდი" — იგონებს მოხუცი.

რა შუაში იყო შუბი და ბირთვი? ხომ არ გგონიათ, რომ აუტის შორს, პირდაპირ საჯარიმოში ჩაწოდება ახლანდელი ფეხბურთელების მოგონილია? მერედა ფეხით 50 მეტრიან პასებს ნორდალის მიმართულებით, როგორი ნარბენ-ნავარჯიშები კუნთები სჭირდებოდა?

ალბათ, სწორედ დაბეჯითებით ვარჯიშმა, დაყინებამ გაუხანგრძლივა ლიდჰოლმს კარიერა. 1958 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე, მან 36 წლისამ მოიპოვა ვერცხლის მედალი. მაშინ შვედები ფინალში ბრაზილიას შეხვდნენ. იმ ბრაზილიას, რომლის შემადგენლობაშიც ჭაბუკი პელე გაბრწყინდა.

და ასეთი გონების, ხასიათისა თუ საქმისადმი დამოკიდებულების მქონე კაცის მწვრთნელობა ვინმესთვის გასაკვირი იქნებოდა? ცხადია, არა — ლიდჰოლმი მწვრთნელი გახდა, მუშაობა ჯერ „ვერონაში" დაიწყო, შემდეგ „ვარეზეში" გააგრძელა და ორივე გუნდი ზედა ლიგაში აიყვანა. ამის შემდეგ იგი „სან სიროზე" დაბრუნდა, „მილანი" ჩაიბარა.

ნილს ლიდჰოლმმა ცოლად იტალიელი თავადის ქალი შეირთო. შეერქვა კიდეც მეტსახელად „ბარონი" და უკვე ასეთი მეტსახელით გახადა „შავ-წითელი" გუნდი სკუდეტოს მფლობელი. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მისი ხელმძღვანელობით მილანელები კიდევ უფრო მაღლა აფრინდებოდნენ, მაგრამ შვედი რატომღაც „რომაში" წავიდა.

და კიდევ ერთი სკუდეტო, ისიც სერია A-სთვის ფრიად უჩვეულო ტაქტიკით, ზონური დაცვით.

შემდეგ წელიწადს ლიდჰოლმის „რომა" ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდა და იქ „ლივერპულთან" წააგო. ერთი სიტყვით, ლიდჰოლმს გულში ხინჯად მხოლოდ ევროპული ჯილდო აქვს დარჩენილი, თუმცა ადამიანისთვის, რომელმაც მსოფლიო ფეხბურთს ბევრი ახალი იდეა აჩუქა, შესაძლოა, ეს იმდენად მნიშვნელოვანი ამბავი არც იყოს.

„დღეს ფეხბურთი შეიცვალა, უპირველესად იმით, რომ ბურთის სიახლოვეს მოთამაშეები ძალიან სწრაფად დარბიან — ამბობს 80 წელს გადაცილებული ლეგენდა — დააკვირდით, ბურთისგან შორს ძყოფნი არ დარბიან, ახლოს კი კისრისტეხვაა. ასეთ თამაშს ერთი დიდი პრობლემა აქვს, ეს ბურთის კორექტულად წართმევა გახლავთ. სწორი ვარჯიში მოთამაშეს ბურთის სუფთადართმევაში წვრთნის, რაც, სხვათაშორის, გაცილებით ძნელია, ვიდრე ადამიანის წაქცევა. სიყმაწვილეში მე ასე მავარჯიშებდნენ და ამიტომაც იყო, რომ კარიერაში ძალიან იშვიათად მაფრთხილებდნენ".

ნილს ლიდჰოლმი სამუდამოდ დარჩა იტალიაში. მწვრთნელობასაც რომ შეეშვა, ვენახი იყიდა და იმ ვენახს ახლა მისი ვაჟი უვლის. როდესაც შეუძლია, ოღონდ იშვიათად, სტადიონზე მიდის სერია A-ს თამაშების სანახავად, თუმცა უჩვეულო რაღა უნდა ნახოს, ფეხბურთელობისა და მწვრთნელობისას ხომ ეგ სერია A ათასჯერ და უფრო მეტჯერ იხილა. იქ ბევრი რამ მისი მოგონებულია.

**პაპუნა ძიდია**



ეს ფოტო იმდროინდელია, ნილს ლიდჰოლმმა „რომას" სკუდეტო რომ მოაგებინა



# პოში და ქმარი

*სელებრითის სამყაროში, სადაც ბრიტანელი ფეხბურთელები დიზაინერებს, სუპერმოდელებს და პოპ ვარსკვლავებს ტოლ-სწორად უდგანან, მეფე დევიდ ბექჰემია, ოღონდ ერთია: ამ ტახტრევანზე იგი მეუღლემ, ყოფილმა „პოშ სფაისმა", ვიქტორია ადამსმა აიყვანა. დიახ, მან და უპირველეს ყოვლისა სწორედ მან აქცია ბექჰემი ფეხბურთელიდან პლანეტის ვარსკვლავად და ამიტომ მისი „ბარსელონაში", „რეალში", „მილანში" თუ სხვაგან გადასვლის ამბავი შესაძლოა ვიქტორიას ბოლო სიტყვაზე იყოს დამოკიდებული.*

ლონდონური გაზეთის, „ივნინგ სტანდარდის" პირველ გვერდზე დიდი ასოებით წერია: ბოლო სიტყვა პოშისაა.

„სანამ რამეს გადაწყვეტს, დევიდი მეუღლეს უნდა ეთათბიროს და ნახოს, ის რას იტყვის" — ეს სიტყვებიც „ივნინგ სტანდარდში" იკითხება და ის ბექჰემის მამას, ტედს ეკუთვნის.

სანამ ვიქტორიას გადაეყრებოდა, ბექჰემი სასიამოვნო გარეგნობის, ნიჭიერი და მოსაწონი ფეხბურთელი იყო, რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედში" დიდ მომავალს უქადდნენ, მაგრამ მეტი არაფერი. 1999 წელს კი ბექჰემმა და ვიქტორიამ ბომონდურად იქორწინეს და მას მერე ბრიტანელ ყმაწვილ ქალვაჟებს კერპი სპორტული სამყაროდან გამოუჩნდათ. ბევრის მტკიცებით, ის ქვეყნის უპოპულარულესი ადამიანიც კი გახდა.

„ერთად რომ გამოჩნდებოდნენ, დევიდი ცოლს აშკარად ჩრდილავდა — ამბობს უორვიკის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი ენდრიუ პარკერი — თვალშისაცემია, რომ ვიქტორიამ ქმარი ახალ წრეებს გააცნო და დევიდი სწორედ მისი წყალობით გახდა სოციალურად გამორჩეული ფიგურა. ბექჰემი თვალის დახამხამებაში გადაიქცა უმაღლესი რანგის სელებრითად. ხოლო მომდევნო ოთხ წელიწადში პოპულარული კულტურისა და განთქმულობის თვალსაზრისით მეუღლეს გადაასწრო. ჩვენ ვიყავით ვაჟის კარიერის აღმასვლის და ქალის კარიერის დაღმასვლის მოწმენი."

ინგლისური ტაბლოიდები ვრცლად და საფუძვლიანად ამტკიცებენ, რომ „ბექინგემ პალასის" მაღალი გალავნისა და რკინის ჭიშკრის გადაღმა ცოლ-ქმარს შორის შარვალი ვიქტორიას აცვია. ამ მხრივ ყველაზე ნიშანდობლივი მათი ვაჟის, ბრუკლინის გრიპიანობის დროს ბექჰემის შინ დარჩენისა და ვარჯიშის გაცდენის ამბავი გამოდგა. ამტკიცებენ, რომ ბავშვის მოვლა დევიდს ვიქტორიამ უბრძანა.

პოში და „იუნაიტედის" მწვრთნელი, ალექს ფერგიუსონი პირისპირ არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს, ფერგიუსონი კი იმიტომ ვახსენეთ, რომ იგი ფეხბურთელის გადაგვარებასა და შოუბიზნესური ცხოვრებით მოწამვლაში — აქ გასაკვირი რაა — ქალს ადანაშაულებს. ამ გაზაფხულზე ფერგიუსონის ნასროლმა ბუცმა დევიდს წარბი გაუხეთქა — ასეთი იყო მწვრთნელის მატჩისშემდგომი მძვინვარება. მეორე დღეს ბექჰემი ვარჯიშზე უკან გადავარცხნილი თმით მივიდა, რათა იარა ფოტოგრაფებს იოლად გადაეღოთ.

გაზეთები ამბობენ, რომ ინციდენტის გახმაურება ფერგიუსონის შერცხვენისა და კუთხეში მიმწყვდევის მიზნით ვიქტორიამ მოიფიქრა.

ახლა, ივნისში, აშშ-ში მოგზაურობის დროს, პოში თავის მეუღლეს დიდი მონდომებით ატრიალებდა ამერიკული პუბლიკის წინაშე, მაშინ, როდესაც ამერიკელებს ფეხბურთის ხიბლი არ ესმით და „ოლდ ტრეფორდის" პარკინგზე მანქანა რომ დააჯახონ, ვერ იცნობენ. დიახ, ვიქტრია თვითონ უკანაც კი იხევს, ოღონდკი „პოშ ენდ ბექზის" პროექტი წამოსწიოს წინ.

„ეს კოლექტიური ამბიციაა — ამბობს პარკერი — რომლის მიხედვით სულერთი უნდა იყოს, კონკრეტულ მომენტში რომელია უმაღლესი რანგის სელებრითი, რადგან ერთის სახელი მეორეს აუცილებლად დაჩრდილავს."

მაშ, ვიქტორია დევიდს „ბარსელონაში" გადასვლაზე წაახალისებს?

პოშს მანჩესტერი გულზე არასდროს ეხატებოდა და კონტინენტზე გადასვლის ეშხით დევიდი ბრიტანეთიდან რომ წაიყვანოს, არავის გაუკვირდება, თუმცა ქალისთვის ბარსელონას მალაი სჯობს, მსოფლიოში აღიარებული ფეშენ-სახლებით, სადაც იგი თავადაც პირველ პლანზე იქნება და ქმარსაც გაქაჩავს.

**გედეონ ლონგი, *როიტერი***

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია C1/B. პლეი ოფი** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 19.30 | 001 | პესკარა-მარტინა | 1,7 | 2,9 | 5,3 | 1,07 | 1,28 | 1,87 |
| | | **იტალია. სერია C1/A. პლეი ოფი** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 19.30 | 002 | ალბინოლეფე-პიზა | 2,0 | 2,7 | 4,4 | 1,14 | 1,37 | 1,67 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVII ტური** | | | | | | |
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 006 | ვალიადოლიდი-რაიო | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 003 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 22.00 | 004 | ოსასუნა-ალავესი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 24.00 | 005 | უელვა-მაიორკა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 24.00 | 007 | ბილბაო-დეპორტივო | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 24.00 | 008 | ატლეტიკო-რეალი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 24.00 | 009 | სელტა-სოსიედადი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 24.00 | 010 | მალაგა-სევილია | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 24.00 | 011 | ბეტისი-რასინგი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 24.00 | 012 | ვალენსია-ბარსელონა | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXXX ტური** | | | | | | |
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 22.30 | 013 | ეიბარი-სპორტინგი | 1,95 | 2,8 | 3,6 | 1,14 | 1,26 | 1,57 |
| 21.30 | 014 | ხეტაფე-ელჩე | 2,1 | 2,5 | 3,8 | 1,14 | 1,35 | 1,5 |
| 21.30 | 015 | ტენერიფე-მურსია | 2,6 | 2,6 | 3,0 | 1,3 | 1,39 | 1,39 |
| 21.30 | 016 | ფეროლი-ლევანტე | 1,6 | 3,0 | 3,4 | 1,04 | 1,08 | 1,59 |
| 23.00 | 022 | ალმერია-ლეგანესი | 2,1 | 2,4 | 4,2 | 1,12 | 1,4 | 1,52 |
| 21.30 | 023 | ნუმანსია-ლას პალმასი | 2,2 | 2,8 | 3,5 | 1,23 | 1,35 | 1,55 |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 15.00 | 017 | სარაგოსა-ალბასეტე | 2,0 | 2,5 | 4,2 | 1,11 | 1,35 | 1,56 |
| 21.30 | 018 | ბადახოსი-ხერესი | 2,45 | 2,7 | 3,1 | 1,28 | 1,36 | 1,44 |
| 21.00 | 019 | კომპოსტელა-კორდობა | 2,0 | 3,0 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,59 |
| 21.00 | 020 | ოვიედო-სალამანკა | 1,6 | 3,0 | 3,4 | 1,04 | 1,08 | 1,59 |
| 22.00 | 021 | ტერასა-ხიხონი | 1,5 | 3,0 | 4,0 | 1 | 1,09 | 1,71 |
| | | **ჰოლანდია. პლეი ოფი** | | | | | | |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 23.00 | 024 | დენ ბოსხი-ვოლენდამი | 2,0 | 3,4 | 3,3 | 1,25 | 1,24 | 1,67 |
| 23.00 | 025 | ემენი-დორდრეხტი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 23.00 | 026 | ოდენი-ზვოლე | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| | | **დანია. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 20.00 | 032 | ესბიერგი-კოპენჰაგენი | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 18.00 | 033 | ფარუმი-ოდენსე | 2,1 | 3,4 | 3,1 | 1,29 | 1,25 | 1,62 |
| 18.00 | 034 | მიდტიულანდი-ორჰუსი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.00 | 035 | კოგე-ბრონდბი | 5,0 | 3,6 | 1,6 | 2,09 | 1,21 | 1,1 |
| 18.00 | 036 | სილკებორგი-ვიბორგი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 20.35 | 037 | ნორდშელანდი-ოლბორგი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. X ტური** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 20.00 | 049 | სუნდსვალი-ორგრიტე | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,65 |
| 20.00 | 050 | ჰამარბი-ესტერი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 20.00 | 051 | ლანდსკრონა-ჯურგორდენი | 3,3 | 3,3 | 2,05 | 1,65 | 1,26 | 1,26 |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 052 | აიკ-ჰელსინგბორგი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 22.00 | 053 | ენჩეპინგი-ელფსბორგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.00 | 054 | გეტებორგი-ორებრო | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **ნორვეგია. X ტური** | | | | | | |
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 055 | როზენბორგი-მოლდე | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 056 | როზენბორგი-მოლდე 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 057 | ოლესუნდი-ბოდოი გლიმტი | 2,5 | 3,4 | 2,4 | 1,44 | 1,22 | 1,4 |
| 21.00 | 058 | ვიკინგი-ლილესტრომი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 21.00 | 059 | სოგნდალი-ოდ გრენლანდი | 1,95 | 3,5 | 3,3 | 1,25 | 1,22 | 1,69 |
| 21.00 | 060 | ტრომსო-ლინი | 2,45 | 3,4 | 2,45 | 1,42 | 1,22 | 1,42 |
| 21.00 | 061 | ბრანი-სტაბეკი | 2,5 | 3,4 | 2,4 | 1,44 | 1,22 | 1,4 |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 062 | ვოლერენგა-ბრინი | 1,75 | 3,5 | 4,0 | 1,16 | 1,21 | 1,86 |
| | | **ფინეთი. VII ტური** | | | | | | |
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 19.00 | 063 | ჰამეენლინა-ოულურიტი | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 20.30 | 064 | ალიანსი-მიუპა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 20.30 | 065 | ჰაკა-ტურკუ | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 20.30 | 066 | ინტერი-ჰიკ | 3,8 | 3,4 | 1,8 | 1,79 | 1,22 | 1,17 |
| 20.30 | 067 | კტპ-ტამპერე | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| 20.30 | 068 | კუოპიო-იარიო | 2,15 | 3,3 | 3,1 | 1,3 | 1,26 | 1,59 |
| 20.30 | 069 | ლაჰტი-ჯაზი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| | | **პორტუგალია. თასი. ფინალი (ლისაბონში)** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 21.15 | 070 | პორტუ-ლეირია | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **რუსეთი. თასი. ფინალი (მოსკოვში)** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 16.00 | 071 | სპარტაკი-როსტსელმაში | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | **კალათბურთი NBA** | | | | | | |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | 602 | ნიუ ჯერსი-სან ანტონიო | 1,8 | 12,0 | 1,8 | 1,56 | 1 | 1,56 |
| | | **კალათბურთი. იტალია** | | | | | | |
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 19.45 | 605 | ბენეტონი-სკიპერი | 1,25 | 12,0 | 3,1 | 1,13 | 1 | 2,46 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 609 | უნიკახა-ვალენსია | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,71 |
| | | **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 20.00 | 614 | პანათინაიკოსი-აეკ | 1,4 | 12,0 | 2,4 | 1,25 | 1 | 2 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 2004 | ბილბაო-დეპორტივო | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 24.00 | 2005 | ატლეტიკო-რეალი | 4,6 | 2,2 | 2,2 | 1,48 | 1,48 | [illegible] |
| 24.00 | 2006 | სელტა-სოსიედადი | 3,1 | 2,05 | 3,2 | 1,23 | 1,57 | 1,24 |
| 24.00 | 2007 | ვალენსია-ბარსელონა | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **15 ივნისი** | | |
| 24.00 | 2304 | ბილბაო-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 24.00 | 2305 | ატლეტიკო-რეალი | 1,65 | 1,95 |
| 24.00 | 2306 | სელტა-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |
| 24.00 | 2307 | ვალენსია-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **15 ივნისი** | | |
| 24.00 | 2404 | ბილბაო-დეპორტივო | 1,8 | 2,0 |
| 24.00 | 2405 | ატლეტიკო-რეალი | 2,6 | 1,5 |
| 24.00 | 2406 | სელტა-სოსიედადი | 1,9 | 1,9 |
| 24.00 | 2407 | ვალენსია-ბარსელონა | 1,7 | 2,2 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ივნისი** | | | |
| 24.00 | 2504 | ბილბაო-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 2505 | ატლეტიკო-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 2506 | სელტა-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 2507 | ვალენსია-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **15 ივნისი** | | |
| 24.00 | 2204 | ბილბაო-დეპორტივო | 1,95 | 1,65 |
| 24.00 | 2205 | ატლეტიკო-რეალი | 1,95 | 1.65 |
| 24.00 | 2206 | სელტა-სოსიედადი | 1,9 | 1,7 |
| 24.00 | 2207 | ვალენსია-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ივნისი** | | | | | | | | | |
| 24.00 | 2104 | ბილბაო-დეპორტივო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 24.00 | 2105 | ატლეტიკო-რეალი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 24.00 | 2106 | სელტა-სოსიედადი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 24.00 | 2107 | ვალენსია-ბარსელონა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## ფორმულა 1. კანადა. 14 ივნისი (13.00)

| 4001 გამარჯვებული | სამეული | ექვსეული | 4002 უსწრ. წრე |
|---|---|---|---|
| მ.შუმახერი 1,6 | 4101 1,15 | 4201 1,1 | 1,6 |
| ბარიკელო 5,0 | 4102 1,55 | 4202 1,2 | 4,0 |
| რაიკონენი 6,0 | 4103 1,7 | 4203 1,25 | 4,6 |
| კულტჰარდი 8,0 | 4104 1,9 | 4204 1,25 | 7,0 |
| მონტოია 8,0 | 4105 2,0 | 4205 1,25 | 4,6 |
| რ.შუმახერი 15,0 | 4106 3,3 | 4206 1,3 | 12,0 |
| ალონსო 25,0 | 4107 3,6 | 4207 1,3 | 25,0 |
| ტრული 35,0 | 4108 6,0 | 4208 1,8 | 35,0 |
| ბატონი 75,0 | 4109 15,0 | 4209 2,3 | 100,0 |
| ფრენცენი 75,0 | 4110 15,0 | 4210 3,0 | 100,0 |
| ჰაიდფელდი 75,0 | 4111 15,0 | 4211 3,0 | 100,0 |
| ვილნევი 75,0 | 4112 15,0 | 4212 3,0 | 100,0 |
| ფიზიკელა 75,0 | 4113 15,0 | 4213 3,0 | 100,0 |
| პანისი 75,0 | 4114 15,0 | 4214 3,0 | 100,0 |
| ვებერი 75,0 | 4115 15,0 | 4215 3,0 | 100,0 |
| და მატა 75,0 | 4116 15,0 | 4216 3,0 | 100,0 |

| 4301 გამარჯვებული გუნდი | |
|---|---|
| ფერარი | 1,4 |
| მაკლარენი | 3,3 |
| უილიამსი | 5,0 |
| რენო | 15,0 |
| ზაუბერი | 40,0 |
| ბარ | 40,0 |
| ჯორდანი | 50,0 |
| ტოიოტა | 50,0 |
| იაგუარი | 50,0 |
| მინარდი | 200,0 |


## სამ თბილისურ გუშროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

კროკოს შემდეგზე სამუშაო დრო გახანგრძლივდა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30

# NBA PLAY OFF ფინალი

## სან ანტონიო 2:2 ნიუ ჯერსი

# მოგეწონა აიწონა-დაიწონა? ხომ თქვა ვოვამ...

11 ივნისი. ისტ რეზერფორდი. კონტინენტალ ეარლაინზ არენა

### ნიუ ჯერსი 77:76 სან ანტონიო

16:18, 29:16, 11:23, 21:19

| ნიუ ჯერსი | წთ. | 2-ქ | 3-ქ | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯ. კიდი | 47 | 5-14 | 0-4 | 6-6 | 8 | 9 | 0 | 0 | 3 | 16 |
| ქ. კიტლზი | 35 | 2-6 | 0-4 | 0-0 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 4 |
| რ. ჯეფერსონი | 40 | 8-15 | 0-0 | 2-4 | 10 | 1 | 0 | 2 | 1 | 18 |
| კ. მარტინი | 40 | 7-16 | 0-0 | 6-12 | 13 | 3 | 1 | 3 | 5 | 20 |
| ჯ. კოლინზი | 10 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 2 | 1 | 1 | 1 | 4 | 0 |
| ა. უილიამსი | 17 | 2-6 | 0-0 | 4-5 | 7 | 1 | 0 | 4 | 3 | 8 |
| დ. მუტომბო | 21 | 1-3 | 0-0 | 2-2 | 3 | 0 | 2 | 3 | 3 | 4 |
| ჩ. როჯერსი | 11 | 2-5 | 0-0 | 0-0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 4 |
| ე. ჯონსონი | 4 | 0-0 | 1-1 | 0-0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 |
| ლ. ჰარისი | 15 | 0-4 | 0-0 | 0-0 | 4 | 3 | 0 | 0 | 1 | 0 |
| სულ | 240 | 27-69 | 1-9 | 20-29 | 53 | 19 | 5 | 13 | 22 | 77 |

| სან ანტონიო | წთ. | 2-ქ | 3-ქ | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტ. პარკერი | 31 | 1-10 | 0-2 | 1-2 | 4 | 3 | 0 | 0 | 3 | 3 |
| ს. ჯეკსონი | 28 | 1-5 | 1-4 | 2-3 | 4 | 3 | 1 | 1 | 3 | 5 |
| ბ. ბოუენი | 40 | 2-4 | 1-5 | 0-0 | 7 | 1 | 2 | 0 | 2 | 5 |
| ტ. დანკანი | 39 | 10-23 | 0-0 | 3-3 | 17 | 2 | 1 | 7 | 4 | 23 |
| დ. რობინსონი | 24 | 4-5 | 0-0 | 6-7 | 7 | 1 | 1 | 1 | 6 | 14 |
| ე. ჯინობილი | 28 | 1-4 | 2-6 | 2-3 | 2 | 1 | 4 | 1 | 1 | 10 |
| ს. კლაქსტონი | 17 | 3-6 | 0-0 | 4-4 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 10 |
| ქ. ვილისი | 16 | 2-7 | 0-0 | 2-2 | 5 | 0 | 0 | 1 | 3 | 6 |
| მ. როუზი | 15 | 0-8 | 0-1 | 0-0 | 4 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 |
| ს. კერი | 1 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 |
| დ. ფერი | 1 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სულ | 240 | 22-72 | 4-18 | 20-24 | 53 | 14 | 10 | 10 | 27 | 76 |

„ნიუ იორკში მივფრინავ ფინალის მეოთხე მატჩის სანახავად" — გვითხრა გუშინ ინტერვიუში „მაიამი ჰითის" ქართველმა ცენტრმა ვოვა სტეფანიამ და იქვე პროგნოზიც გააკეთა — თუმცა „სან ანტონიო" ძლიერია და ჩემპიონიც ალბათ ის გახდება, მაგრამ ასე მგონია, მეოთხე თამაშს „ნიუ ჯერსი" მოიგებსო.

ასე აგიხდეთ ყველა რეალური ნატვრა, როგორც სტეფანიას ნათქვამი ახდა. „ნიუ ჯერსიმ" იწვალა, იბრძოლა, ცოტა იღბალიც დაეხმარა და მოიგო. ახლა ანგარიში 2:2 გათანაბრდა და ძალათა თანაფარდობაც ერთიანად შეიცვალა. წაგების და სერიაში 1:3 ჩამორჩენის შემთხვევაში „ნიუ ჯერსი" პრაქტიკულად კარგავდა საჩემპიონო მწვერვალზე საიერიშო ბაზას, მაგრამ გამარჯვებამ საერთო ანგარიში და საჩემპიონო შანსები გაათანაბრა.

ვის სურდა მოვლენათა მსვლელობის ეს მოულოდნელი შემოტრიალება? ალბათ ყველას წაგებული სანანტონიოელების და მათიანების გარდა. ფინალის გარედან მაყურებლები დაძაბული ბრძოლის ცქერით ვისიამოვნებთ, თავად ნიუჯერსელებს ხომ უნდოდათ და უნდოდათ. შემდეგი თამაში რომც ვერ მოიგონ, საამაყოდ ესეც ეყოფათ, ფინალში ყურები არ ჩამოვყარეთო. ხალხიც გულმავიწყია, აღარ გაიხსენებს წინა ფინალს, რომელიც შარშან „ნეთსს" 0:4 წაუგია „ლეიკერსთან". ეს უარეს შემთხვევაში, თორემ „ნიუ ჯერსი" ჯერ არ დამარცხებულა, პირიქით, რეალური შანსი აქვს, კლუბის ისტორიაში ეს წელი ოქროვანი შრიფტით ჩაბეჭდოს.

ტრადიციულად იმედიანადაა „ბადეთა" კოხტაპრუწა მწვრთნელი ბაირონ სკოტი — „ამ საღამოს ჩვენ სერიაში პირველად ვითამაშეთ ჩვენთვის სასურველი თამაში, მეტოქე ჩვენს რიტმს ავაყოლეთ და ჩვენს ნახევარზე დაგებულ დაცვის ხაფანგში გავაბით. ჩვენი დაცვა ფანტასტიკური იყო და, რაც მთავარია, ღღევანდელი კარგი თამაში ყველაზე ნაკლებად ჰგავდა ერთჯერად გამოვლინებას. არ მაქვს საფუძველი, ვიწერვიულო, რომ მომავალ შეხვედრაში ასე ვერ ვითამაშებთ. მე ასე ვიტყოდი — ჩვენ ალბათ ასე ან უკეთესად ვითამაშებთ."

არც ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს ასე არ მოხდება. „ნიუ ჯერსი" ღირსეული მოწინაალმდეგეა „სან ანტონიოსთვის" და ბევრისთვის მოულოდნელად მხოლოდ წინააღმდეგობაზე კი არა, გამარჯვებაზე ფიქრობს.

გამარჯვებაზე იფიქრებს და იმუშავებს ამ ღამითაც. მით უმეტეს, რომ ეს თამაში შინ აქვს.



მანუ ჯინობილიმ ლამის მაისურა შემოიხია, მაგრამ რა...

REUTERS-ის ფოტოები

შინ კი რა ხდება? ჩამოსული გუნდებისთვის კარგი არაფერი. „ნიუ ჯერსისთვის" „ეალინზ არენა" ეს ორი წელია, ჭეშმარიტ შინაურ სარბიელად იქცა, სადაც მშვიდობიანი ამერიკელები მხოლოდ თამაშის სანახავად კი არა თავიანთი გუნდის საქომაგოდაც მიდიან. „ნეთსმა", მანამდე მუდმივად საშუალო ან უარესმა გუნდმა, ბოლო ხანს დაიმსახურა ხალხის პატივისცემა და გაიმრავლა აბონემენტის მყიდველი ანუ მუდმივი ქომაგი, ბევრი უფროს ნახევარძმას, „ნიუ იორკ ნიქსსაც" მოსტაცა რომელსაც „ნეთსის" საპირისპიროდ, ეს ხანია, საქმეები აეწეწა.

ხალხი დადის „ეალინზ არენაში" და ქომაგობს „ნეთსს", მიუხედავად იმისა, რომ ეს გუნდი არც ძალიან თვალსასეირო თამაშს აჩვენებს, მით უმეტეს, ფინალში, სადაც აუცილებელიცაა შეცდომების რისკის მინიმუმამდე შემცირება. თუმც ახლა ისტ რეზერფორდში გემოვნებაზე ნაკლებად დავობენ და არ დაეძებენ სრულყოფილებას „ნეთსის" ბურთაობაში. რა დროს ფრენა და აკრობატიკაა, როცა „ნეთსი" ღიდ გამარჯვებებს მიაღვა? სხვათა შორის, ნიუჯერსელებმა ჯეისონ კიდმა და კენიონ მარტინმა ამ სერიის მხოლოდ მეოთხე თამაშში შეასრულეს თავიანთი „საფირმო ტრიუკი", როცა პირველი კიდი კალათთან უკიდებს ბურთს მარტინს და ესეც ჰაერში იჭერს და ტენის.

11 ივნისსაც ისტ რეზერფორდის 19 ათასმა მკვიდრმა ბეჯითად შეავსო დარბაზის ყველა სკამი და ზომიერი სიმხურვალით უქომაგა თავის გუნდს. თამაში კი არც თუ სანახაობრივი, მაგრამ — თქმაც არ უნდა — დაძაბული იყო და სპორტული მუხტი სულ უკანასკნელ წამამდე მიჰყვა.

თანაბარ ბრძოლაში დაწყებული თამაში მასპინძელმა „ნეთსმა" მეორე მეოთხედში გარდატეხა და სოლიდური უპირატესობით დაწინაურდა. ტაიმი „ნიუ ჯერსის" დარჩა — 34:45. მასპინძლებმა მეორე მეოთხედში უკეთ გამართეს შეტევა, რისი პირდაპირი მიზეზიც მათი თეთრი ლიდერის ჯეისონ კიდის ეფექტიანი თამაში გახლდათ. კიდი კვლავ ბევრ ნასროლს აცილებდა, მაგრამ აცილებდნენ სხვებიც, მისანები თუ სხვისიანები.

უხეირო სროლებს ობიექტური გამართლება აქვს: „ნეთსიც" და „სფურზიც" ინტენსიურ დაცვას თამაშობენ და შეტევაში ბევრ ენერგიასაც ვეღარ ხარჯავენ. ამის გამოა, რომ ნბა-ს ფინალებში ანგარიშები ევროპული თამაშების შედეგებს ჰგავს. როგორც ამერიკელები იტყვიან, მარტო ანგარიშები აგიცრუებთ გულს. ფინალური სერიაც შეიძლება ისე დასრულდეს, ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოაგროვოს თუნდ ერთ თამაშში ასი ქულა. ახლა „სან ანტონიომ" სროლების 28,9 პროცენტი ჩააგდო, რაც თითქმის კატასტროფული მაჩვენებელია. ბევრად უკეთ არც „ნიუ ჯერსის" წაუვიდა საქმე — ჩაგდების 35,9 პროცენტს შეტევაში ნბა-ს ყველაზე უბადრუკი გუნდი „დენვერიც" დაიწუნებდა...

...კიდზე ვსაუბრობდით. კიდმა აცილა 18 სროლიდან 13, მაგრამ ძნელია აუგი დაგცდეს, როცა მან 16 ქულა მაინც მოუპოვა გუნდს და თანაც 9 პასიც გაჩარხა. ეს მაჩვენებლები, დიახაც, აღემატება კიდის სანანტონიოელ ოპონენტ ტონი პარკერისას, რომელმაც ამ სერიაში პირველი თამაში ჩააფლავა — 1 სროლიდან 1 ჩაგდება და ოდენ 3 ქულა. გამთამაშებლისთვის არც 3 პასია საამაყო მონაგარი.

პარკერის შეცდომებით სავსე გარჯამ „სან ანტონიო" ღიდ შესვენებამდე 11 ქულით ჩამოარჩინა მეტოქეს და მეორე ტაიმის დასაწყისში ამ სხვაობას კიდევ 4 მიემატა. სტუმართა მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა კარგა ხნით დასვა პარკერიც და უკანა ხაზში მისი მეწყვილე და მისებრ არაეფექტური სტივ ჯეკსონიც, მათ ნაცვლად კი „სფურზის" უკანა ხაზი სპიდი კლაქსტონსა და მანუ ჯინობილს ჩააბარა. კატასავით მოქნილ ჯინობილის შეტევათა დაგვირგვინება დაევალა და მართალია, ბოლომდე მანაც ვერ გაარღვია „ნიუ ჯერსის" დაცვის კედელი, მაგრამ კი დაბზარა და ეს ბზარები „სფურზის" მაღლებმა ტიმ დანკანმა და დევიდ რობინსონმა გააფართოვეს.

„სან ანტონიომ" შესანიშნავად ჩაატარა მესამე და მეოთხე მეოთხედების შესაყარი, მესამის დასასრული 12:0 და მეოთხის დასაწყისი 5:0 მოიგო და ექვსი ქულით დაწინაურდა. „ნეთსმა" რამდენიმე წუთი შეძლო სხვაობის გაქვითვას.

ბოლო ექვს წუთში კი ნაღდი ძიძგილაობა გაიმართა. ვერც ერთი გუნდი ვერ მოსწყდა მეორეს სამ ქულაზე მეტით. ეს დრო „ნიუ ჯერსიმ" იღბალურად არა, მაგრამ მეტოქეზე ოდნავ უკეთ ჩაატარა. მართალია, მასპინძლებმა ბოლო ოთხ წუთში თამაშიდან ბურთი ვერ ჩააგდეს, მაგრამ დაცვაში მეტწილად უშეცდომოდ ირჯებოდნენ, ხოლო მეტოქის ფარზე მოხსნილმა ორმა ბურთმა მათ ბოლო წამებზე მინიმალური უპირატესობა შეუნარჩუნა.

საფინალო სირენამდე 9,1 წამით ადრე ჯეისონ კიდი ორი საჯარიმოთი 75:72 აწინაურებს მასპინძლებს. „სან ანტონიო" მოხერხებულად ათამაშებს ბურთს და 4,8 წამით ადრე ტიმ დანკანი კვლავ მინიმუმამდე ამცირებს სხვაობას. ღროის მოგების მიზნით სტუმრები კვლავ ჯარიმდებიან კიდზე, „ნეთსის" ლიდერიც შანსს ხელიდან არ უშვებს და ისევ სამი ქულით წყვეტს თავისიანებს მეტოქეს.

აქ „ნიუ ჯერსი" კიდევ ერთხელ შეცდა. მასპინძლებმა ხელი ვერ შეუშალეს სტუმრებს ბურთის გადმოტანაში და სამქულიან ხაზთან „სფურზის" არგენტინელი მანუ ჯინობილიც გამოჩნდა. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, ჯინობილიმ სროლაც მოასწრო, ხოლო მისიანმა ტიმ დანკანმა ამ ბურთის მოხსნა და ჩაგდება. ესე იგი „სფურზმა" ხუთ წამზე ნაკლებ დროში ორჯერ ისროლა ბურთი, მაგრამ „ნეთსი" გადარჩა. დანკანის ჩაგდებული ხომ ორიანი იყო, „ნეთსი" კი სამი ქულით იგებდა, ასე რომ...

**ირაკლი ფირცხვილი**





აქეთ სიხარული იქით ნაღველი: კენიონ მარტინი და ტიმ დანკანი

REUTERS-ის ფოტოები

*ევროპის „ქართული" კლუბებიდან ამ დღეებში ცუდი ცნობები მოდის. ფინალურ სერიებში ჩაბმულმა ქართველ ლეგიონერთა ყველა გუნდმა წააგო, მაგრამ თუ ეს უიღბლობა ზოგიერთს სერიაში ჩამორჩენად დაუჯდა, ზაზა ფაჩულიას „ულქერს" თურქეთის ჩემპიონობის შანსი საბოლოოდ წაერთვა*

# ქართველებს უცხოეთში ოქროს ართმევენ

ეს მოხდა გუშინწინ საღამოს სტამბოლში, ტაბილდულების უზარმაზარი ფაბრიკის საკალათბურთო დარბაზ „აბდი კომერჯანში". საამერიკოდ გამზადებული ზაზა ფაჩულიას ნანებული შანსი [illegible] თურქული [illegible] მკერდამშვენებული გამოცხადებულიყო, რადგან მოსის „ულქერის" ფინალურ სერიაში ორწაგებიანი ჩამორჩენა გაუქმა „ეფესს", ხოლო გადამწყვეტ მატჩს შინაურ [illegible] თამაშობდა და ფსიქოლოგიური უპირატესობაც მის მხარეზე იყო. თანაც შარშანწინდელი ჩემპიონი „ულქერი" შარშან სწორედ „ეფესმა" დაამარცხა და ფაჩულიას გუნდს გულით სწადდა ტიტულის დაბრუნება. არ გაუმართლა, [illegible] ტრიბუნებიდან გამომდინარე ენერგიამ ულქერელებს [illegible] შეაჯამება [illegible] მოთალება, მერე კი „ეფესელების" შემზღუდველი მასპინძლისაგან ვერავინ გამოდგა.

ეფესელებს სულზე მოუსწრო ქაია პეკერმა, რომელიც წინა შეხვედრაში ზაზა ფაჩულიასთან ჩხუბის გამო ერთი მატჩით იყო დისკვალიფიცირებული. პეკერმა გადამწყვეტ შეხვედრაში არცთუ ბევრი, 12 ქულა მოუგროვა „ეფესს", მაგრამ ამერიკელი მარტინ გრანჯერის შემდეგ (21 ქულა) საუკეთესო იყო სტუმართა შემადგენლობაში.

პეკერის ამბავი იმად მოვყევით, რომ იმ ჩხუბის გამო მასავით ერთი მატჩით იყო დისკვალიფიცირებული ზაზა ფაჩულიაც, მაგრამ ქართველმა ვერაფრით გამოიჩინა თავი. ანუ დისციპლინარები ცოტა მკაცრნი რომ ყოფილიყვნენ და ბუნტისთავებისთვის არც გადამწყვეტ მატჩში მიეცათ თამაშის უფლება, ეგებ „ულქერი" გაჩემპიონებულიყო. ისე კი, [illegible] ამერიკელებს ნაკლებად [illegible] ფაჩულიას მკერდზე ოქროს მედალი ეკიდება თუ ვერცხლის, [illegible] ტიტულებით აღარ ზომავენ, მით უფრო, [illegible]...

ახლა კი იმ ქართველებზე ვიქვათ, რომლებსაც ჯერაც შენარჩუნებული ჩემპიონობის შანსი. თუმცა სანამ ამ სტრიქონებს წაიკითხავთ, ეგებ კიდევ ერთი ქართველი გამოემშვიდობება ჩემპიონობას. [illegible] ნაცვლიშვილის „ოლიმპიაკოსი" [illegible] საჩემპიონო სერიაში 0:2 აგებდა შარშანდელ ჩემპიონ „პანათინაიკოსთან". [illegible] საჩემპიონო სერია სამ მოგებამდეა, „ოლიმპიაკოსი" — „პანათინაიკოსის" მესამე შეხვედრა კი წუხელ გვიან ღამით დასრულდებოდა და წინა მატჩების შემხედვარე — „ოლიმპიაკოსში" ორჯერვე შინ შერცხვა — ძნელი სათქმელი, თუ ნაცვლიშვილის გუნდის სტუმრად წაგება [illegible].

[illegible] ნახევარფინალზე გადავინაცვლით და ტრევიზოს „ბენეტონში" მოთამაშე მანუჩარ მარკოიშვილისა ვთქვათ. უფრო სწორად, მარკოიშვილის გუნდის ამბებს გამცნობთ, რადგან ქართველზე არაფერია სათქმელი — მარკოიშვილს ფინალური სერიის არც ერთ შეხვედრაში არ უთამაშია.



ვლადიმერ ბოისას სლოვენიის ჩემპიონობისთვის მართლა ბრძოლა მოუწევს

„ბენეტონს" სკუდეტოში ბოლონიური „სკიპერი" ეცილება. სერიის სადებიუტო მატჩში შინ გამარჯვების შემდეგ ტრევიზოელებმა მომდევნო შეხვედრა ბოლონიაში წააგეს და საერთო ანგარიში გათანაბრდა — 1:1. ჩემპიონობა სამ გამარჯვებამდეა. გუნდები დარჩენილ მატჩებს მორიგეობით უმასპინძლებენ. მესამე შეხვედრა ხვალ ტრევიზოშია.

ბოლოს ოლიმპიელ ვლადიმერ ბოისაზე ვთქვათ, რომლის სლოვენიაში გაჩემპიონება ყველაზე რეალურად მოჩანდა და თურმე სულ პირიქით ყოფილა საქმე. სლოვენიის ჩემპიონობაპრივატიზებულ ოლიმპიელებს ნოვომესტოელებმა პირველი დარტყმა რეგულარულ ოქრო მიაყენეს. პროვინციული, ნოვო მესტოს „კრკა" მეტად კერკეტი გუნდი გამოდგა და დედაქალაქელებს არც გადამწყვეტ საპლეიოფო სერიაში შეეპუა. შინ პირველი მატჩის მოგების შემდეგ კრკაელები ლიუბლიანაში ისე გაითელნენ, ბევრს ეგონა, ფარმაცევტთა საჩემპიონო სულისკვეთება წამალივით ცოტა იყო და გაიავდა. ნოვომესტოელთა იმ დარბევაში ჩვენებურმა ვლადიმერ ბოისამ ლომის წილი დადო, როცა 16 ქულა მოუნაგრა ოლიმპიელებს. თუმცა ჩავიდნენ ნოვო მესტოში და კვლავ წააგეს ლიუბლიანელებმა, ბოისამ ამჯერად 9 ქულა მოაქუჩა.

„ოლიმპია" 1:2 ჩამორჩა სერიაში და ერთი მატჩიც რომ წააგოს, ხახამშრალი დარჩება. ისე კი, ჩემპიონი ალბათ მეხუთე გადამწყვეტ შეხვედრაში ნოვო მესტოში გაცხადდება, რადგან მომდევნო შეხლა ლიუბლიანაშია დანიშნული და სავარაუდოდ ოლიმპიელები გაიმარჯვებენ.

**ირაკლი პერტაია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლეიტონი ბალახს ეპარება



**STELLA ARTOIS CHAMPIONSHIPS**

**ლონდონი. ბალახი**

**საპრიზო 800 ათასი ევრო**

**მეორე წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — რაემონ სლოიტერი (ჰოლანდია) 7:6 (8:6), 3:6, 7:6 (7:3); სხენგ შალკენი (5, ჰოლანდია) — ტოდ მარტინი (აშშ) მარტინს არ უთამაშია; სებასტიან გროჟანი (9, საფრანგეთი) — მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:3, 6:4; მარკ როსე (შვეიცარია) — იარკო ნიემინენი (9, ფინეთი) 7:5, 7:5; ტოდ რიდი (ავსტრალია) — ჟან-მიშელ გემბილი (10, აშშ) 6:1, 7:5; ტაილორ დენტი (11, აშშ) — სისილ მამიტი (აშშ) 6:4, 6:4; სირილ სოლნიე (საფრანგეთი) — მაქს მირნი (12, ბელარუსი) 7:6 (7:2), 6:4; გრეგ რუზედსკი (ბრიტანეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:4, 6:4**

ლეიტონ ჰიუიტი ტურნირის ზედიზედ სამგზის ჩემპიონია და წლეულს იქ მიჯრით მეოთხედ გაჩემპიონებასაც გეგმავს. ოღონდ, მომდევნო მატჩებშიც ისევე ოკრობოკროდ თუ გაირჯა, როგორც რომ ჰოლანდიელთან სლოიტერთან, ეგ ამბავი ვინძლო ძვირად გამოუვიდეს.

თავადვე ხედავთ, მეტოქის მოსათელად კისკას ოზბიჭს იმ დღეს ორი ტაიბრეიკიანი სეტის მოგება მოუხდა, თანაც ისე, რომ პირველ ტაიბრეიკზე სულაც სეტპოინტი მოიგერია.

შეხვედრამ 2 საათზე მეტს გასტანა და ამქრის პირველმეჩოგნეს 58-ე საბალახსაფრო მატჩში უკვე 49-ე გამარჯვება მოუტანა.

ჰიუიტის ამგვარ არადამაჯერებელ ჩოგნაობას თავისი ახსნა აქვს. ჯერ ერთი — ლეიტონი პარიზში თავის ნანდაურ კლაისტერსის სლემფინალს ესწრებოდა და ლონდონში ჩასვლა მხოლოდ კვირას შეძლო. ეს მის სათანადოდ მოუმზადებლობაზე აისახა.

მეორეცაა და, მათი ერთადერთი წინა დაპირისპირება სწორედ დაჩკაცის სასარგებლოდ დასრულებულიყო. მართალია, ეს (შარშან) სტოკჰოლმურ ჭერქვეშა საფარზე მოხდა, მაგრამ დადებითი ბალანსი დადებითი ბალანსია, გინდა 10:9 იყოს, გინდა 1:0.

და კიდევ — სლოიტერმა შარშან მხოლოდ ნახევარფინალში, ტიმ ჰენმანთან წააგო და, როგორც ჰიუიტი იგონებს, იმ მატჩში უნდა ემარჯვა კიდეც...

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, 22 წლის ოზბიჭი მომდევნო წრეშია და მეოთხე ტიტულისთვის ბრძოლას განაგრძობს.

სხვაფრივ — გულბოყვი დაიჭიმა და სლოიტერის თვისტომ შალკენთან სათამაშოდ ვერ გავიდა 32 წლის ამერიკელი ტოდ მარტინი, ვისაც 1994-ში იქაური ბალახი საჩემპიონოდ გაუჯეგავს.

სამაგიეროდ საახალამბებო სათაურებში აღზევდა ჰიუიტის თვისტომი და მარტინის სეხნია რიდი, იუნიორთა შორის უიმბლდონის შარშანდელი ჩემპიონი. რიდმა პირველ წრეში კარიერის პირველი საეიტიპიო გამარჯვება მოიხვეჭა ფრანგ მაუს ძლევით, ახლა კი მე-10 ნომრად განთესილი გემბილი აოტა.

გუნება გამოიკეთა 29 წლის ბრიტანელმა გრეგ რუზეცკიმ, რომელმაც შარშან ოქტომბერში რომ ფეხის ოპერაცია გაიკეთა, ამ მარტში დასტაქრებს მტკივანი მუხლიც გააკვეთინა. სეზონი მან მხოლოდ როლანგაროსობაზე დაიწყო და იქაც პირველსავე წრეში ჩაჩოგნეს.

**GERRY WEBER OPEN**

**ჰალე. ბალახი**

**საპრიზო 800 ათასი ევრო**

**მეორე წრე**

**რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) — რაინერ შიუტლერი (2, გერმანია) 6:4, 6:7 (6:8), 6:3; ირჟი ნოვაკი (3, ჩეხეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 6:3; მიხაილ იუჟნი (6, რუსეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4, 7:5; ნიკოლას კიფერი (გერმანია) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:1, 3:6, 7:5**

შარშანდელ ჩემპიონ ევგენი კაფელნიკოვს კორტის იქით ადგილობრივთა ჯილა, ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი რაინერ შიუტლერიც მიჰყვა.

რადეკ სტეპანეკი, ვინაც 2001 წელი რეიტინგსიის 547-ე საფეხურზე გაასრულა, ამ კვირაში კარიერის სარეკორდო, მე-40 ადგილზე ბოგინობს და შიუტლერის გამოდგდების შემდეგ კარიერისავე პირველ საბალახო მეოთხედფინალში გაირჯება.

შიუტლერის მაგივრად გერმანელ ქომაგებს ყოჩად ტურნირის 1999 წლის ჩემპიონი და შარშანდელი ფინალისტი ნიკოლას კიფერი დაურჩათ. კიფერმა იმ დღეს ჭაბუკ ესპანელ ლოპესს სძლია და შარშანდელი ოქტომბრის შემდეგ პირველად მოახერხა, ზედიზედ ორი მატჩი მოეგო.

**ლევან ძელაურაძე**



# აზმაიფარაშვილი: იქნება თუ არა ფოტოფინიში?

*დღეს საღამოს, სტამბოლში ცნობილი გახდება ევროპის ახალი ჩემპიონი ვაჟის და ქალის ვინაობა. ჩვენდა სასიამოვნოდ, ვაჟებში ჩემპიონობის ყველაზე რეალური შანსი ქართველ დიდოსტატ ზურაბ აზმაიფარაშვილის აქვს. მან სატურნირო მდგომარეობა გუშინ ჰოლანდიელი დიდოსტატის ლუკ ვან ველის ძლევით განიმტკიცა*





ზურაბ აზმაიფარაშვილმა ბოლოსწინა ტურში ლუკ ვან ველს სძლია

პარტია ქართველმაც და ჰოლანდიელმაც დედოფლის გამბიტით დაიწყო და თამაში ორმხრივ შეტევებში გაგრძელდა. მეოცე სვლაზე ჰოლანდიელმა სახიფათოდ შეუტია აზმაიფარაშვილის მეფის ფლანგს. ამ თამაშის მსვლელობისას ცნობილი გახდა ვლადიმირ მალაკოვის მოგების ამბავი. რუსმა დიდოსტატმა 8,5 ქულა დააგროვა და ჯერ კიდევ 8-ქულიან აზმაიფარაშვილს გაუსწორდა. ლიდერობის შესანარჩუნებლად მოგება აუცილებელი იყო. ზურამ ფიგურების გაცვლა დაიწყო და სათამაშო უპირატესობას დაეუფლა. მას მეფე, ლაზიერი, ეტლი და ოთხი პაიკი შერჩა, მეტოქეს კი მეფე, ლაზიერი, კუ და ხუთი პაიკი. ამ დროს ასევე ცნობილი გახდა გერმანელი დიდოსტატის ალექსანდრ გრაფის გამარჯვებაც. გერმანელმაც ნახევარი ქულით გადაუსწრო ქართველს, როგორც შემდეგ გაირკვა, მცირე ხნით.

თამაში სასტიკად დაიძაბა. ვან ველი თავგანწირვით ცდილობდა პაიკის გაყვანას და სახიფათოდაც მიუახლოვდა აზმაიფარაშვილის პოზიციების ზურგს. აზმაიფარაშვილმა მეტოქის ფიგურების დასარბევად ლაზიერი მიუშვა, რომელმაც დავალება პირნათლად შეასრულა და სათამაშო უპირატესობა ისევ ქართველს დაუბრუნდა. ბოლოს და ბოლოს — ეს კი 86-ე სვლაზე მოხდა — ზურამ გამარჯვება მოიპოვა. მისი საერთო მონაგარიც 9 ქულამდე გაზარდა და ჩვენებური კვლავ ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

აზმაიფარაშვილის გარდა, ჩემპიონობის შანსი ასევე მეორე ქართველს, გიორგი ყაჭეიშვილსაც გაუჩნდა. მეთერთმეტე ტურში გიორგიმ თბილისში დაბადებულ-გაზრდილი, ახლა კი სლოვაკეთის სახელით მოასპარეზე სერგეი მოვსესიანთან გაიყო ქულა და ლიდერს კვლავ ქულით ჩამორჩება.

ქალთა განაკვეთში ქართველთაგან ჩემპიონობის მოპოვების შედარებით კარგი შანსი მაია ლომინეიშვილს ჰქონდა. ბოლოსწინა მეათე ტურში იგი რუს დიდოსტატ ნადეჟდა კოსინცევას შეხვდა. თამაში მაიამ დედოფლის გამბიტით დაიწყო და ცენტრში ფიგურების განლაგებას შეუდგა, მოწინააღმდეგემ კი მეფეს დებიუტშივე საიმედო დაცვა დაუყენა, როქი გააკეთა და ქართველის ფიგურებს მიეძალა. დიდი და ფართომასშტაბიანი გამოდგა რუსის იერიში, თუმცა მაიამ ყოჩაღად მოიგერია მოწინააღმდეგის შეტევა და ერთი-ორი თვითონაც უბწკინა რუსს. კოსინცევამ რომ შეატყო, მეტოქის დაცვას ვერაფერს მოვუხერხებო, 33-ე სვლაზე მაია ყაიმზე დაითანხმა.

ამ ყაიმით ლომინეიშვილს 6,5 ქულა დაუგროვდა და ლიდერებს უიმედოდ ჩამორჩა. ამრიგად ქართველმა ქალებმა წლეულს ევროპის ჩემპიონობის ყოველგვარი შანსი დაკარგეს და ახლა პირველ 17-ეულში დამკვიდრებისთვის გააგრძელებენ ბრძოლას. შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ პოზიციაზე გასული ქალები მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ.

რაც შეეხებათ ქალთა ლიდერებს, მეათე ტურში მათთან ყველაფერი აირია. ორი ტურის წინ ცხრილს ერთპიროვნულად მოთავეობდა რუსი დიდოსტატი ალისა გალიამოვა მთელი ერთი ქულით და ჩემპიონობის ყველაზე რეალურ პრეტენდენტადაც ის ითვლებოდა, თუმცა მეცხრე-მეათე ტურებში ალისამ ორი მარცხი იწვნია და 7 ქულით მესამე-მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა.

ახლა ჩემპიონობის ყველაზე რეალური პრეტენდენტები გალიამოვას მძლეველი და თანამემამულე ტატიანა კოსინცევა და ლიტველი ვიქტორია კმილიტე არიან, მათ ორივეს 8-8 ქულა აქვთ და საუკეთესოს გამოსავლენად ამ საღამოს ერთმანეთს შეეჭიდებიან.

ჩემპიონობის თეორიულ შანსს ინარჩუნებენ მარია სებაგი და პია კრამლინგი, რომლებიც ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან.

**ლაშა ბეგეჭკორი**

*28-29 ივნისს თბილისი ევროპის შვიდკაცა ტურნირის მეორე ეტაპს უმასპინძლებს. თბილისში 10 ქვეყნის ამდენივე ნაკრები და 240-მდე მორაგბე ჩამოვა. ამ შეჯიბრის თაობაზე „სარბიელი" არაერთხელ წერდა, ახლა კი ტურნირის ფორმატსაც გთავაზობთ.*

# თბილისური შვიდკაცა ქართული ფორმატით

დავიწყოთ იმით, რომ თბილისში ჩამოვლენ შავი ზღვისპირა აუზის ქვეყნების საუკეთესო ნაკრებები: რუსეთი, რუმინეთი, უკრაინა, ბულგარეთი. როგორც მასპინძელი და ერთ-ერთი ფავორიტი, ცხადია, მათ შორის იქნება საქართველო. ამათ დაემატებიან იტალია, საფრანგეთი, მოლდავა, სომხეთი და ისრაელი.

სხვათა შორის სომხეთის ნაკრები სომხური წარმოშობის ფრანგი მორაგბეებით იქნება დაკომპლექტებული. ამით სომხები გვარიანად გაძლიერდნენ, და ჩვენი ამიერკავკასიელი მეზობლები ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტებიც კი იქნებიან.

ეს 10 ნაკრები რეიტინგის მიხედვით ორ ჯგუფში განაწილდება. ფავორიტები შეძლებისდაგვარად ასცდებიან ერთმანეთს. ტურნირის ფორმატი იმგვარია, რომ ყველა ადგილი თამაშდება.

ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილზე გასულები თასისთვის აგრძელებენ ბრძოლას. ჯგუფებში მესამე-მეოთხე ადგილზე გასული გუნდები სინისთვის (მე-5 ადგილი) დაეჯახებიან ერთმანეთს. არც ჯგუფის მაჩანჩალები დარჩებიან ხელცარიელნი, ბოლოადგილოსნები ერთმანეთში ფიალას (მე-9 ადგილი) გაითამაშებენ.

ტურნირს ბევრი, და რაც მთავარია ძლიერი სპონსორები ეყოლება. ამით საპრიზო ფონდი და შეჯიბრის სანახაობრივი მხარეც იხეირებს.

დაზუსტებით ცნობილია, რომ 28-29 ივნისს, „ლოკომოტივის" სტადიონზე 100-მდე ტურისტი მივა. მათ ნაღდად არ დარჩებათ მოწყენის დრო. ჯერ იქნება ტურნირის საზეიმო გახსნა, მერე კი ემხიანი შეჯიბრი, რომლის მატჩებს შორის ქომაგს ქართული ესტრადის ვარსკვლავები გაართობენ.

და კიდევ, საქართველოს ნაკრები ამ ტურნირზე უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებს. ბორჯღალის შვიდეული ჩვენში უძლიერესი მორაგბეებით შეიკრიბება.

**ბაჩო სვანიძე**





მაქს მოსლი მორიგი სიახლით „იმუქრება"

# მოსლის ფორმულა ფეხბურთი ჰგონია

## რა დასამალია და, პრეზიდენტებიც ამბობენ ზოგჯერ სისულელეებს

**საერთაშორისო** საავტომობილო ფედერაციის (FIA) ხელმძღვანელობა დღენიადაგ ეძებს გზებს ფორმულა 1-ის ჩემპიონატებისადმი ინტერესის გასაზრდელად. ხან საკვალიფიკაციო და ქულების დარიცხვის სისტემის შეცვლით, ხანაც ბოლიდებში პილოტის დამხმარე ელექტრონიკის მორიგი აკრძალვით, რაც, ბოსთა აზრით, გუნდების ძალთა ნიველირებისთვისაა მოფიქრებული. ამჯერად კიდევ ერთი ორიგინალური პროექტით გააკვირვეს საფორმულო საზოგადოება.

FIA-ს პრეზიდენტ მაქს მოსლის მორიგი რევოლუციური იდეის არსი ის გახლავთ, რომ ფორმულაშიც, ვთქვათ, ფეხბურთის ანალოგიურად, ორი — უმაღლესი და პირველი ლიგა ჩამოყალიბდეს. გერმანულ ჟურნალ „აუტო, მოტორ უნდ შპორტ"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში არც ისე ხანდაზმულმა ავტოშეფმა მთელი სერიოზულობით განაცხადა, რომ ახლო მომავალში ამ სიახლის ხორცშესხმა სულაც არაა რეალობისგან შორს: „ფორმულა 2 ოთხივე დაბალი კლასის ავტორბოლას გააერთიანებს, მათ შორის „მცირე ფორმულა" F 3000-ს. ყოველი სეზონის შედეგებით ფორმულა 2-ის საუკეთესო საჯინიბო უმაღლეს დივიზიონში ასპარეზობის უფლებას მიიღებს, ხოლო იქ უსუსტესი დაბალ ლიგაში ჩამოქვეითდება".

საკითხავი ისაა, ის საწყალი მეორელიგოსანი ჩემპიონები როგორ მოახერხებენ უმაღლეს ფორმულაში საჯიროთოდ აუცილებელი ვეშაპური ბიუჯეტის მოქუჩებას. ამის საშუალება რომ ჰქონდეთ, ხომ ახლავე იქროლებდნენ „სამეფო რბოლებში", რადგან დღეს საამისოდ მეორე ლიგაში შესარჩევი ბოლიალი სულაც არაა აუცილებელი.

**გია ახალაძე**





# პატარა ფული, დიდი გული

## ერთხელაც ვახსენოთ ეშმაკი

*ამ გუნდს მშობლიური ქალაქი არ აქვს. ზვიადი ნიუ იორკი ოდესღაც ჭაობიან ადგილზე დასახლებული საზოგადოების მიმართ დიდ ინტერესს არ იჩენს. გუნდის არენაც, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებშია აშენებული, ერთობ არქაულად გამოიყურება, უფრო თვითმფრინავების ანგარს წააგავს, ვიდრე დარბაზს. თუმცა წლიდან წლამდე შემადგენლობა ხშირად იცვლება, გუნდში მაინც იშვიათად წააწყდებით საყოველთაოდ ცნობილ სახელს მრავალმილიონიანი კონტრაქტით. მიუხედავად ამისა, „ეშმაკები" ისეთი წარმატებებით მოინონებენ თავს, როგორებიც ბევრ ბობოლას არც დაესიზმრება*

ნიუ იორკის გარეუბან ისტ რეზერფორდის „ნიუ ჯერსი დევილსი" დიდი გამარჯვების შემოქმედია — „ეშმაკებმა" შეძლეს ის, რაც ლიგის ისტორიაში მხოლოდ 5 გუნდს მოუხერხებია, 10 წლის განმავლობაში სამჯერ აიღეს თასი.

ამ ხუთეულისგან წლევანდელ ჩემპიონს მხოლოდ დეტროიტს თუ შევადარებთ. დიადი მონრეალიც კი ასეთ წარმატებებს შორეულ 50-იანსა და 70-იან წლებში აღწევდა, მაშინ, როცა ლიგაში გაცილებით ნაკლები გუნდი იყო. აბა, სად ექვსეულში პირველობა და სად 30 გუნდში ყველას დამარცხება.

„დღესდღეობით მოგება ისე გაძნელდა, რომ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე გავიმეორებდით ძველ ტრიუმფს. მაგრამ ჩვენ მთელი წლის განმავლობაში ვეძებდით მოგების ფორმულას და ვიპოვეთ კიდეც" — ნიუ ჯერსის კაპიტანმა სკოტ სტივენსმა მთელი ეს გზა გუნდთან ერთად გაიარა და კარგად იცის, რა ძნელია გაჩემპიონება მეორედ, მესამედ...

„ეშმაკები" ყოველ წელს ეძებდნენ მოგების გზებს და აი შედეგი — ეს მათი მესამე ფინალია ბოლო ოთხ წელიწადში. თუმცა ზედიზედ ჩემპიონობებზე ლაპარაკი მაინც ნაადრევია და ამასვე აღნიშნავს ნიუ ჯერსის მეკარე მარტინ ბროდო. ბროდო წონიანი სახელია ნჰლ-ში, მაგრამ მას ჯერაც არ მოუგია ლიგის მთავარი პრიზებიდან ერთ-ერთი — არასდროს ყოფილა სეზონის საუკეთესო მეკარე. სამაგიეროდ, მას გუნდთან ერთად სამჯერ აღუმართავს თასი, რითაც ეს-ესაა პენსიაზე გასული პატრიკ რუა თუ დაიკვეხნის.

ნიუ ჯერსი სწორედ ის დიდი გუნდია, რომელშიც სოლისტობაზე თავს არავინ დებს, თითოეული მათგანი ერთ სხეულად შერწყმული კოლექტივის მნიშვნელოვანი წევრია და უკლებლივ ყველამ იცის თავისი საქმე.

აღსანიშნავია, რომ ეს სამი თასი „ეშმაკებმა" სხვადასხვა მწვრთნელის ხელში მოიპოვეს. 1995 წელს გუნდს ჟაკ ლემერი თავკაცობდა, 2000-ში — ლარი რობსონი, წლეულს — პეტ ბიორნსი, მაგრამ სამჯერვე გენერალური მენეჯერი ლუ ლამორიელო გახლდათ. კაცი რომელსაც ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე ხელმომჭირნე შეფ-ადმინისტრატორის რეპუტაცია აქვს და მისი „წუწურაქობის" გამო არაერთ ჰოკეისტს დაუტოვებია კლუბი. თუმცა ყველაზე გულნატკენებიც კი ვერ დაუკარგავენ ლამორიელოს კადრების შერჩევს განსაკუთრებულ უნარს.

ცოტა უკან მივიხედოთ და გავიხსენოთ, რომ 2002 წლის ზაფხულში ნიუ ჯერსის მომდევნო სეზონის ფავორიტად არავინ მიიჩნევდა. პირიქით, ბევრი მის კრახს ვარაუდობდა. ჯერ ჯეისონ არნოტის, მერე კი პეტრ სიკორას წასვლის შემდეგ დაიშალა გუნდის სიამაყე და 2000 წლის თასის ტრიუმფატორი პირველი სამეული. სხვა ცვლილებებმაც მასშტაბური უკმაყოფილება გამოიწვია. ამბობდნენ გუნდი ძალიან „დაპატარავდა" (ბევრმა ტანმორჩილმა ჰოკეისტმა მოიყარა თავი) და აღმოსავლეთის ბობოლებს ველარ დაუპირისპირდებაო, მაგრამ დრომ გამოაჩინა ლამორიელოს სიმართლე „ეშმაკთა" ახალმა თაობამ დაამტკიცა, რომ შეეძლო გუნდის ტაქტიკურ სქემებთან მორგება და ღირსეულად დაუმშვენა გვერდი სტივენსს, ბროდოს და სხვა ვეტერანებს. თუმცა მარტო ლამორიელო რას გახდებოდა, გვერდით პეტ ბიორნსის დარი სპეციალისტი რომ არ ჰყოლოდა. რაგა თქმა უნდა, ბიორნსის გუნდში მისვლაც ლამორიელოს დამსახურებაა. ბიორნსმა, ყოფილმა პოლიციელმა სამწვრთნელო საქმეს უმკაცრესი დისციპლინა და ორგანიზებულობა შეუხამა და მისმა საქმიანობამ საოცარი შედეგი გამოიღო. ყველა მისმა გუნდმა უმალ მიაღწია პროგრესს. ლიგის ისტორიაში ბიორნსი ერთადერთია, რომელმაც წლის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული სამ სხვადასხვა გუნდში მოიპოვა. „რკინის პეტს" ერთი მთავარი ჯილდო აკლდა, სტენლის თასი და მიზნის მისაღწევად მან ყველაფერი გაიღო, მთელი სეზონის განმავლობაში არ გაუღიმია. მხოლოდ ბოლო მატჩის შემდეგ მისცა თავს მოშვების უფლება და მთელი წლის ემოციებმა ერთბაშად ამოხეთქა.

„რა გგონიათ, ადვილი იყო, ბიჭებთან ასე მკაცრად დამჭირა თავი? ეს ყველაფერი იმან შემაძლებინა, რომ ვიცოდი, არ მქონდა ქომაგთა გაწბილების უფლება" — თქვა უკვე ჩემპიონმა ბიორნსმა და ლამის აცრემლდა... ქებათა ქება მწვრთნელს, რომელმაც გაახარა თავისი გულშემატკივრები და უძლეველი გუნდი შექმნა. ასევე დროს ნიუ ჯერსიმ ერთხელაც უარყო ის საყოველთაო აზრი, რომ გუნდი უინტერესო, მოსაბეზრებელ ჰოკეის თამაშობს. სინამდვილეში ეს ასე არაა, უბრალოდ, „ეშმაკებმა" შეიგნეს, რომ მოკრძალებული ბიუჯეტისა და არცთუ ჭარბვარსკვლავიან გუნდებს ერთადერთი გზა აქვთ — მწვრთნელების მითითებების ზედმიწევნით შესრულება და მაქსიმალური კონცენტრაცია დაცვაში.

უთუოდ იფიქრებთ, ეს ყველაფერი ხომ ანაჰაიმსაც ახასიათებდაო. საქმე ისაა, რომ ფინალისტი ანაჰაიმისგან განსხვავებით, ბიორნსმა კიდევ ერთ მნიშვნელოვან უპირატესობას მიაღწია — მისი ოთხივე ხაზი მეტოქისთვის ერთნაირად სახიფათო იყო და ყოველი მოგებული თამაშის სულისჩამდგმელი სხვადასხვა ჰოკეისტი და სამეული გახლდათ. 2003 წლის ნიუ ჯერსიმ ყველაზე რაციონალური თამაში აჩვენა, სწორედ ისეთი, რომელიც ჩრდილოამერიკის მოედნებზე ყველაზე ეფექტურია.

P.S. იქნებ გაგიკვირდეთ — ამ წერილს ნიუჯერსელთა საზეიმო აღლუმის ფოტოები არ ახლავს. ეს იმიტომ, რომ აღლუმი არ გამართულა. ისტ რეზერფორდის ნბა-ს გუნდი „ნიუჯერსი ნეთსიც" ფინალშია და იმავე არენაზე ატარებს ფინალურ მატჩებს, რომელზეც „ეშმაკებმა" ჩემპიონობა გაიფორმეს, ზეიმისთვის შესაფერისი სხვა ადგილი კი ისტ რეზერფორდში არ არსებობს. ისე, ეს რა პრობლემაა, ხალხი იოლად მოიცდის და ეს დღეც მალე დადგება.

ფინალში დამარცხებულმა ანაჰაიმელმა „მძლავრმა იხვებმა" კი უკვე გამართეს ფინალში გასვლის აღსანიშნი საზეიმო ცერემონია, რა თქმა უნდა, ნაკლები პომპეზურობით, ვიდრე მათი მძლეველი „ეშმაკები" გეგმავენ.

**სამველ ღარიბიანი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# როკე ცოლს ირთავსო

როკე სანტა კრუზი ცოლს ირთავსო. „ბაიერნის“ პარაგვაელი ვარსკვლავი ახლა შვებულებაშია და ქალაქ ასუნსიონში საქველმოქმედო სადილს ესწრება. გოგოს კი, რომელიც მართლაც ლამაზია და მართლაც გიყვდება თავის საქმროზე, გიზელე ესტეფანია ტავარელი ჰქვია. 4 ივნისიდან ესტეფანია სენიორა სანტა კრუზად გადაიქცევა და გერმანიაში გაჰყვება ქმარს.



REUTERS ასუნსიონიდან



REUTERS სეულიდან

# დროებით გაცვალეს

მეფორმულე ხუან პაბლო მონტოიამ და ნასკარის განთქმულმა მძღოლმა ჯეფ გორდონმა (მარჯვნივ) ერთი სათხუნჯო რამ გაითამაშეს ინდიანაპოლისის „მოტორ სპიდვეიზე“. მონტოია გორდონის სარალო მანქანას „დიუპონ შევროლეს“ საჭეს მიუჯდა, გორდონი კი მონტოიას „ბმვ უილიამსის“ ბოლიდის საჭეს. ეს ამბავი ორი სხვადასხვა ავტოსახეობის გუნდებს მოუწყვიათ თავიანთი მორიგი ჩვენების დროს.





REUTERS ინდიანაპოლისიდან

# კრესპო სამშობლოში, არგენტინა კორეაში

ევროპაში საფეხბურთო სეზონი გაილია, სამხრეთ ამერიკაში კი თამაში გრძელდება. მილანის „ინტერის“ თავდამსხმელი ერნან კრესპო მშობლიურ არგენტინაში ჩასულა და მონატრებულ ბაირესულ ფეხბურთს მისძალებია. „მონუმენტალის“ სტადიონზე კრესპო „რივერ პლეიტისა“ და „სან ლორენცოს“ მატჩს დასწრებია, სტადიონის დერეფნებში კი თურმე მრავლად იყვნენ მისი ფანები, პატარა ბიჭები, რომლებისთვისაც ერნანმა კაი სალამი და მოფერება არ დაიშურა, კრესპო თან არ ახლდა ქვეყნის ეროვნულ გუნდს, რომელმაც სამხრეთ კორეაში იქაურებმა 1:0 მოუგო. ამ მოხდენილ და ფეხბურთზე გადარეულ აზიელ გოგოს კი, მგონი, დიდად არ სწყენია თავისიანების მარცხი.



REUTERS ბუენოს აირესიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge